# არილი

№14 (177) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 9 აგვისტო
ფასი 80 თეთრი

1134
2001

#14
2001



მე მქვია ვულფი
მე ამერიკელი ვარ

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი



მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ქილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - მიხეილ ჩიტაძე
*კომერციული დირექტორი* -
გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№14 ხუთშაბათი, 9 აგვისტო, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## ლიტერატურა


ზაზა თვარაძე
Tyrannosaurus Rex....1
ბესო ხვედელიძე
თევზის ხე....3
დალილა ბედიანიძე
ლექსები....10
ნოდარ გურაბანიძე
სტალინი თამაშობს "თეატრალურ რომანში"....11
ჯონ ჩემპლინ გარდნერი
ლიტერატურის მორალური პასუხისმგებლობის შესახებ....14
ლუიჯი პირანდელო
როცა ერთმანეთისა ესმით....17
მიხეილ ქვლივიძე
ამერიკული გაკვეთილი....19


## პერსონა


თომას ვულფი
მე 38 წლის ვიყავი....20
ანდრო ბუაჩიძე
თომას ვულფი საუბრობს ლიტერატურაზე....22
ზაალ სამადაშვილი
მაშინ, ოცდახუთი წლის წინ....24
ჯეიმს მანდელი
თომას ვულფი: მოგონებები....25
ელიზაბეთ ჰარდუიკი
ვულფის შემოქმედებითი ნიაღვრები....27


## ინტერნეტიდან გუტენბერგამდე


ალექსანდრ პიატიგორსკი
წიგნის როლის ცვლილება საზოგადოებაში....31
უმბერტო ეკო
ინტერნეტიდან გუტენბერგამდე....32


## 26 ივლისი


ზაზა შათირიშვილი
სიტყვის მნიშვნელობა....35
ზურაბ ჟიაბერაშვილი
დაკარგული რეალობის ძიებაში....36
დავით პაიჭაძე
ეჭვი და შიში....38
ზაზა ფაჩუაშვილი
ჩვენ და გიორგი....39

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზაზა თვარაძე

# TYRANNOSAURUS REX



ღამეა. შემომიცვივდნენ
Tyrannosaurus Rex-ები
გადაიკითხეს ხარხარით
ჩემი ბედასლი ლექსები
მუცლები ხელით ეჭირათ:
ვაი, ამ ბრიყვის ბრალიო!
მე ჩემს მაგიდას ვუჯექი
ვწუწნიდი ჩამქრალ ყალიონს
თან რკინის ჯოხსაც ვიბჯენდი
მივდევდი ფიქრთა მარათონს -
ხანდისხან მსგავსი ფიქრები
შავი თოვლივით დამათოვს
(შავი თოვლივით დამათოვს
შავი ბანგივით დამათრობს -
როგორც გენებოს, ისე თქვი
ამაზე ნულა ვკამათობთ)
არ გამიგია კაკუნი
არც ფრთხილი, არც შემპარავი
პირდაპირ შემომიცვივდნენ
რექსები - და სხვა არავინ
ვიფიქრე: ახა, ნარინჯო
სვედავსებულო დედიჯან
რალა უნდა ქნა, ვაჟიშვილს
რეპტილია თუ შეგიჭამს
ან მე რალა ვქნა, ამქვეყნად
რომ ვერაფერი შევქმენი
შეხედე, როგორ მიღრენენ
ტირანი-ხვლიკი მეფენი
მიმზერენ ნეოლითიდან
გადმოკარკლული თვალებით
მიმზერენ პალეოლითის
მთლად გამოსაბურთალებით
მკერდებზე უჩანთ საზარი
დანახეთქები, ბზარები
თითქოს დამდგარან მოზარედ
თვისტომთა გადაგვარების
და მაშინებენ, მაშინე-
ბენ, მაშინებენ, მაშინე-
ბენ! დედი, ეგებ მიჯობდა
მოვმკვდარიყავი მაშინვე...

მიყურეს, ამწონ-დამწონეს
თქვეს: არა! მოწამლულია!
არ გამოდგება საკბილოდ
თუმც სისხლი მეწამული აქვს
ეს ოჯახქორი სავსეა
მავნე ინგრედიენტებით
დაგვწამლავს-დავიწამლებით
მეორედ გადავშენდებით
არადა, როგორ გავუშვათ
რომ სული მისი ტკბილია
განა ამხელა მანძილი
ტყუილად გამოგვივლია
შორს რომ ვიყავით, ვნანობდით
იმ სიმარტოვეს ტირანულს
აწ სიახლოვეს ნუ დავთმობთ
ნუ მივეცემით სინანულს
თუ არ ვჭამთ - გავფატროთ მაინც
გადავუშიშვლოთ ჯიგარი
თუმც, სად ექნება ჯიგარი
ჩვენ რომ გვჭირდება, იმგვარი..
დამცინეს, გამაღადავეს,
გამიქიაქეს მერმისი
ხან "ზაზოზავრი" მეძახეს
ხან - "თვარაძოოპტერიქსი"
ჯერ იხარხარეს გლეხურად
მერმე კი, ჭმუნვით მეფურით
მიბრძანეს: ნუ ხარ ბეღურა!
იცხოვრე, ღმერთს ნუ ემდური!
ბავშვობასავით მანანეს
ბნელში დასობილს ნარცისად
პალეოლითის ეპოქა
და პერიოდი ცარცისა
იყაყანეს და გამშორდნენ
შემომიჯახეს კარები
გამისხლტნენ, როგორც ხვლიკები
როგორც ტირანოზავრები



21952
საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წავიდნენ მეზოზოური
ერის საზარელ მინდვრებში
გამშორდნენ მეფე-მკვლელები
ვის დაკარგვიხარ, ვინ გერჩის!
დავრჩი მარტოკა. გავყევი
შეჩვეულ ფიქრთა ქარავანს
ვფიქრობ - რამ შემქმნა ასეთად
რატო ისეთი არა ვარ -
ვეჟო, შე ასეთ-ისეთო
ხედავ, რა უქმად დაშვერი
ხედავ, მოგედო სახმილად
ის სიტყვა - შენი საშველი
შენი ბედნავსი ლექსები
ფანტომურ ცეცხლზე იწვიან
შენს თვალში კიდევ - დირეა
განა უბრალო ხიწვია
“დირეა, განა ხიწვია!
დირეა, განა ხიწვია!”
ყველა მომძახის, ვინც ქვეყნად
სასოწარკვეთა იწვნია
და მე ვერ ვიტან ჩემს შიგნით
ადამიანურ ბუნებას
მშრალ და ხორკლიან ქვასავით
სულზე რომ მეხახუნება
მიმსხდარან შავი მუშები
ზედ არყის წვეთებს ასხამენ
და მარგალიტის ექსკრემენტს
სიგიჟის სიმზე ასხამენ
ველურ მძივების ჩხრიალით
ცეკვავენ თერგდალეული
და მიკვირს - რად არ მერღვევა
ესრედ მაგარი სხეული
მიკვირს, სხეულის ნასახებს
როგორ ჩაუდგეს შეგნება
და არსად როგორ დამსახეს
კაინოზურმა ღმერთებმა
როგორ დაჭიმეს ძარღვები
და ააჟღერეს ქნარივით
და მერე როგორ დამმარხეს
მკვდარი ტირანოზავრივით
მეც იმათსავით ხვლიკი ვარ
და ხორცშესხმული ტირანი
ჯერ სიახლოვეს ვერ ვძლებდი
ეხლა სიშორეს ვინანი
მეც იმათსავით მჩვევია
ოდნავ გლეხური ბაასი
და მუსაიფი მეფური
და შიგ ჩართული რვაასი
წლის მწუხარება ქართული
და უცნაური ოცნება
რომ - მოვკვდეთ ყველა მძინარე
და გავიღვიძოთ ცოცხლებმა
შენ იცი - სისხლი ცივი მაქვს
შენ იცი - ტვინიც ცივია
შენ იცი - ჩემი ფიქრები
ცივ ხვლიკებივით წივიან
წივიან როგორც მწერები
და მწერებს მიაქვთ ქვეყანა
სადაც უთქმელმა განგებამ
მე და შენ ერთად შეგვყარა
უსიტყვო დილა. უსიტყვო
ცის შემზარავი სინათლე
ტანს კიდევ ერთხელ ავითრევ
და სამარემდე მივათრევ
ხსოვნას, სიგიჟეს, სინანულს
გადავიწყებულ სანახებს
გადაშენებულ თვისტომებს
სამარხებში რომ დამარხეს
ცარცის ცარიელ ველებზე
გავირბენ, როგორც ზმანება
ცარცის ცარიელ ველებზე
სიცოცხლე დამენანება
დამენანება პლანეტის
ქალწულებრივი სიზმარი
სისხლის ყოველი წვეთი და
განცდის ყოველი მისხალი
ეს იურული ტყეები
ეს გიგანტური ბაღები
სადაც მეწამულ გვიმრებში
ბილიკებს ველარ გავყვები
სადაც ბილიკის ბოლოში
ველარ ვიფიქრებ იმედით
რომ ქვეყნად ჯერ არ შექმნილან
სიზმრები, მთები, ირმები
ჯერ არ შექმნილა დედის რძე
და ფრინველების ძახილი
სიტყვები - როგორც საშველი
სიტყვები - როგორც სამხილი
ჯერ არსად შემფეთებიან
ორსახიანი მონსტრები
ღმერთმანი, ძველი მეგობრის
დაღუპვას ჯერ არ მოვსწრები -
ვარ! გრძნობით ჯერ არ დავმთვრალვარ
არც განშორების წვალებით
არ შევრყეულვარ ჩემი ცის
მთლად გამოსაბურთალებით
არავინ არ მყვარებია
არც ვყვარებივარ არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარავიც კი არ დამიდგამს
მამაო, თავსა მფარავი
ჯერ ცნობადის ხით ნამეხარს
არ მომსწრებია ხარება
და მდუმარება ღამეთა
და დღეთა იავარება
მიდგამენ ცარცის ცარიელ
მინდვრებში პირქუშ ენიგმებს
მე ჩემი თავის ძაღლი ვარ
(დამბადებელო, შემინდე)!
მე ჩემი თავის ძაღლი ვარ
და ჩემი ძაღლის ტირანი
ერთხელ იქნება გავწყვიტავ
ჯაჭვნი რომ მასხენ, რკინანი
მეზოზოური თვალებით
ავხედავ ცისკენ ალიონს
რომ გამყივანი სიცილით
გზის სიმარტოვე გავლიო
რომ ვულკანური ფერფლიდან
ალმოვაცენო ვარსკვლავი
და ფიქრი, ზედ რომ მემსხვრევა
აზუზუნებულ სკასავით
მივცე ქარებს და ვარსკვლავებს
მათ უმარტივეს სიმართლეს
საითაც, აი, მივდივარ
და მთელი ტანით მივათრევ
ხსოვნას, მონაგარს, დანაკარგს
მკერდზე დაჩენილ დანახეთქს
გადაშენებულ მეგობრებს
რომ დახვრიტეს და დამარხეს
მივათრევ ცარცის ცარიელ
ველებზე მე ჩემს საკბილოს
რომ ლეთარგიით გამომტყვრალ
ფანტომებს ცივად ჩავკივლო
გრძელი რექსული კივილით
და გავიშიშვლო ჯიგარი
იქ არი ჩემი სიგიჟე
ჩემი ედემიც იქ არი
მეც იქ მივდივარ, გზადაგზა
ვულკანურ ტინებს ვაწყდები
ვაწყდები, სანამ ერთხელაც
გადავშენდები, გავწყდები
ჩემი ბედკრული ლექსები
მაშინღა დაისვენებენ
სხვა ტირანოზავრ-რექსები
ძმასავით გამიხსენებენ.

არილი




ბესო ხვედელიძე

# თევზის ძე

## პირველი ნაწილი



საპანაშვიდე მღელვარებით ეპყრათ ხელთ ვერცხლის დანა-ჩანგალი სტუმრებს. შეექცეოდნენ თეთრი აქლემის ცურის მწვადს პირის მორიდებული წკლაპუნით და გაბმულადაც ისმოდა სასტუმრო დარბაზში ბროლის ჭიქების თალხი წკარუნი დარბაზის კუთხეში მთლად შიშვლად მდგარი შავკანიანი მონა ქალის არფაზე აკრეფილი ჰანგითურთ.

სუფრაზე მორიგი კერძი რომ შემოაციმციმეს, ლანგარი ძმებს ლიმნის ნაჭრებშემორაგული შემწვარი თეთრგულა თევზით თავად სიმამრმა დაუდგა წინ. ფიცხლად აიკაპიწეს უფოლაქო სახელოები ძმებმა, სქელი ენებით მოისველეს დახეთქილი ტუჩები, ერთდროულად დასუნეს მორთმეულ კერძს და შემწვარ თევზს უმალ ლიმნის ნაჭრებიანად მოუღეს ბოლო.

თვალები ჭყიტეს სტუმრებმა ამის დანახვაზე. წარბებთან მოცეკვავე გაკვირვებით მოუთვალიერეს ძმებს ხმაურით მოძრავი ყბები. ისეთი ყინულოვანი სიჩუმე ჩამოლღვა სუფრაზე, მონა ქალმაც კი შეწყვიტა არფაზე ჰანგის კრეფა. სახელოებითვე შეიწმინდეს ცხიმიანი ტუჩები ძმებმა და სუფრას მაძლარი მზერა მოავლეს. გაოგნებულები შესცქეროდნენ ძმებს სიმამრი და პატივცემული სტუმრები. მერე სტუმართაგან ერთ-ერთს, უგერგილო ხვიხვინი წასკდა და უმალ ღვარძლიანად აქირქილდა მთელი სუფრაც.

ვერაფერს მიხვდნენ ძმები - უფროსმა წინმატი გალეჭა, უმცროსმა კვლავაც სახელოთი შეიხოცა ტუჩები და ცხვირიც ააცმაცუნა. მათი ცოლები - ერთ ბალჩაში მოსული ნესვებივით ერთმანეთის მსგავსი, გონებასუსტი, თუმცა კი მზეთუნახავი გარეგნობის ტყუპები ჯილდა და ლილიტი სუფრის მილმა, რბილ მუთაქებზე ისხდნენ და ერთმანეთში "ქალაქობანას" თამაშობდნენ.

- კაპერნაუმ! - იძახდა ჯილდა.
- მინსკ! - ამბობდა ლილიტი.
- კაპერნაუმ! - ისევ იძახდა ჯილდა.
- მინსკ! - პასუხობდა ლილიტი და ასე

გრძელდებოდა უკვე კაი სამ საათს.

ქალაქის ქუჩებმა მთვარის ავადმყოფური ციალით რომ გაინათეს თავიანთი სივიწროვე, ძმებმა ცოლებს თამაში შეაწყვეტინეს, სტუმრებსა და სიმამრს ოფლიანი ხელისგულები დაანახეს და მერყევი ნაბიჯით გაეცალნენ იქაურობას.

- ადის-აბება! - მთელი გზა იძახდა ჯილდა.

- ალმა-ათა! - პასუხობდა ლილიტი.

- ადის-აბება! - ისევ იძახდა ჯილდა.

- ალმა-ათა! - იმეორებდა ლილიტი.

მეორე დღეს, ზღვაში თეთრგულა თევზზე სათევზაოდ გასულმა ძმებმა სიმამრთან სტუმრობისა და თეთრი აქლემის ცურის მწვადის დაგემოვნების შესახებ ძმაბიჭ მებადურებში დაიტრაბახეს. დოინჯიც ამაყად შემოიყარეს. თავიანთ დაჭერილ და საჩუქრად მიტანილ თეთრგულა თევზის ჭამაზეც მოჰყვნენ. მერე ის უცნაური ქირქილიც გაიხსენეს და სახტად დარჩნენ - ლიმნის ის ნაჭრები, საჭმელად კი არა, თევზის ხეთქვის შემდეგ თითების შესახოცად იყო თევზს გარშემო შემოწყობილიო. - აბუჩად აიგდეს ძმები ძმაბიჭმა მებადურებმა.

სახტად დარჩენის შემდეგ, ძმებს შეურაცხყოფის გრძნობა დაეუფლათ.

- ხელის შეხოცვა შარვალზე ვიცი მე, - თქვა უმცროსმა და ბადე ნავიდან წარბშეკრულმა მოისროლა.

- მთელი ცხოვრება თევზის ჭერა-ჭამაში ვართ! - ხმამაღლა დაამატა უფროსმა, მაგრამ აღარ გაუგრძელებია - ნასროლი ბადე კაუჭით მოაბა ნავს და ფეხზე წამოდგა.

* * *

ქვიან სანაპიროზე, ერთმანეთის მეზობლად მდგარ, ტირიფის წნელებისგან დაწნულ ქოხებში ცხოვრობდნენ ძმები და ცოლებად ტყუპი და გონებასუსტი, თუმცა კი მზეთუნახავი გარეგნობის დები, ჯილდა და ლილიტი ესვათ.

თეთრგულა თევზზე სანადიროდ ყოველდღე გადიოდნენ ძმები ზღვაში და სეზონის მანძილზე ერთი თეთრგულას მონადირებაც კი მათთვის დიდი ამბავი იყო - თევზს წმინდად ალესილი დანით აჭრიდნენ თავს, მერე სხეულს ეშიგნავდნენ და ტანის ღრუს ნოყიერი მიწით უვსებდნენ. შავი მიწით ამოვსებული თევზის ტანში ძმები ტალახისფერფოთლება მცენარის მოყავისფრო თესლსა ჩურთავდნენ და ეზოში მკლავის სიღრმეზე ფლავდნენ. ზუსტად ერთი თვის თავზე მიწიდან ტალახისფერი მცენარე ჰყოფდა თავს - ჩატანებული თეთრგულა თევზის ფოსფოროვანი მადლი, პაწაწინა მცენარეს სულ რაღაც რამდენიმე კვირაში იმოტოლა ხედ აქცევდა, რომ კიბით უწევდათ ძმებს ხეზე ძრომიალი. ბალახოვანი მცენარის ხედ ქცევის ეს რეცეპტი, იმ მიდამოებში მხოლოდ მათ იცოდნენ და არც არავის უმხელდნენ - ტანაყრილი ტალახისფერი ხის დაკბილულ ფოთლებსა და მტვრიან თავთავებს თაფლიან რძეში ხარშავდნენ, იქიდან გამოწურულ ხაკისფერ წვენს იაფად ყიდდნენ ქალაქში და თავს ამით ირჩენდნენ.

თევზაობიდან გვიან ღამით მობრუნებულებს, ზურგზე ცოცხალი თევზით სავსე გოდრები ეკიდათ - წვრილი თევზეული ყოველთვის შემოჰქონდათ სახლში, რაც მუდამ უხვად მოჰყვებოდა თეთრგულა თევზზე ნადირობისას ნასროლ ბადეებს. გოდრებს შემოსასვლელში ტოვებდნენ ძმები, კაბას უწევდნენ ცოლებს და მარჯვენა მენჯს უმოწმებდნენ - უმცროსის მეუღლეს, ლილიტს, მარჯვენა მენჯთან ტყლიპი უნდა ჰქონოდა - მათზე ორსულობისას, დედამაგათს, ქათმის ნაღველიანი ხელი ბარძაყზე შეეხოცა, რაც შემდეგ, მენჯზე, ტყლიპად გამოჰყოლოდა ტყუპად შობილი ქალიშვილებიდან ერთ-ერთს.

ქმრების მოლოდინში თავთავიანთი ქოხების ზღურბლებზე ისხდნენ ჯილდა და ლილიტი და მწივანა გადაძახილით მთელი დღე "ქალაქობანას" თამაშობდნენ.

- ისპაჰან! - იძახდა ჯილდა.

- ნაირობი! - პასუხობდა ლილიტი.

- ისპაჰან! - ისევ იძახდა ჯილდა.

- ნაირობი! - იმეორებდა ლილიტი და ასე ქმრების მოსვლამდე...



იმდენად ჰგავდნენ დები ერთმანეთს, რომ არათუ სხვებს, ხშირად თვითონვე ეშლებოდათ საკუთარი თავი ერთმანეთში - "ქალაქობანათი" გართულები თავისდაუნებურად ცვლიდნენ ხოლმე ადგილს და ამ შეცდომის გადამკიდე, შუაღამისას, კეფიდან ქუსლამდე ღონივრად აძარღვული მაზლის ბალნიან მკლავებში ჰყოფდნენ თავს - ბუნებას ისე მიემსგავსებინა ეს ორი ადამიანი გარეგნობითა და ქცევით ერთმანეთისთვის, რომ ქმრებსაც კი უჭირდათ ზუსტად ორ ერთნაირ ქალში საკუთარი ცოლის ამოცნობა და ამიტომაც ხშირი იყო - ცოლების მაგივრად, შეცდომით რძლებთან რომ უწევდათ ოხშივარადენილი ზეწრის თანხმოვნებიანი კვნესით სრესვა.

არაერთი იალლიშის შემდეგ, თითქოს გამოსავალიც მოინახა - შინ მობრუნებისას, ძმები ცოლებს მენჯებს უმოწმებდნენ და მერელა მშვიდდებოდნენ. თან უკვე შვილის ჩასახვის დროც ახლოვდებოდა და არცერთის გეგმებში არ შედიოდა, უფრო ზუსტად კი, არცერთს არ სურდა არასწორი მისამართით განეხორციელებინა მამაშვილური გასროლა.

* * *

იმ დღეს, სიმამრს, თავის ქარვასლაში გამართულ "მაღარიჩზე" ჰყავდა ძმები მიპატიჟებული - თეთრი აქლემი დაეკლა და ოჯახში საპატიო სტუმრები მოეწვია - უნდოდა სიძეები თავისი წრის წარმომადგენლებისთვის წარედგინა.

ქალაქის თვალისჩინს - ბოქაულ სვიმეონს სელაპივით ცოლი უმა უმშვენებდა მხარს. იქვე იყო სიმამრის ერთგული კომპანიონი ყვითელი ქვიშის ქვეყნიდან აქლემების გადმოყვანა-გასაღებაში ზ.ბებერაშვილი და მისი ლილიპუტი მეუღლე ნაზი ჰუზმან. დარბაზის შორეულ კუთხეში შიშველი მონა ქალი იდგა და უთანხმოვნებო ჰანგებს ჰკრეფდა არფაზე.

ძმების დაჭერილი თეთრგულა თევზით შემზადებული კერძიც რომ შემოატანინა სიმამრმა მდიდრულად გაწყობილ სუფრაზე, ძმებმა მსუყე ნერწყვი გადაყლაპეს - თევზით დამძიმებულ თეფშებს, ჭამის შემდეგ სუნის ხელიდან მოსაცილებლად დაჭრილი ლიმონი ჰქონდა გარს შემოწყობილი.

იმავე საღამოს ხმამაღლა ინანა სიმამრმა - ე რა გომბიო და მდაბიო ხალხისთვის გამიტანებია ჩემი გოგოცუნებიო, და სტუმრებმაც ერთხმად დაუკრეს კვერი.

- მმმ... - მრავლისმეტყველად აღმოხდა ყელეს დუნედ მნთქავ უმას.

- Кошмар! - ქალური სიკაპასე გაერია ხმაში სიმამრის კომპანიონმა ყვითელი ქვიშის ქვეყნიდან აქლემების გადმოზიდვა-გასაღებაში ზ. ბებერაშვილმა და გვერდით მჯდომ

ლილიპუტ მეუღლეს წაჰკრა მხარი. ნაზი ჰუზმანმაც მაშინვე დააკანტურა თავი თანხმობის ნიშნად და წვრილ ხმაზე დააცემინა.

შინ მყოფმა დებმა თავის მხრივ, ცეცხლს თივა შეუკეთეს - განუწყვეტლივ "ქალაქობანას" მოთამაშეებს, იმ დღიდან მოყოლებული, მიღებულზე ორჯერ ხშირად ეშლებოდათ ერთმანეთში თავი და ამას ისიც დაერთო, რომ ჯილდამ, მათ ქუჩაზე შემთხვევით ჩამოვლილ ბრმა მესვირინგეს - მე რითი ვარ ლილიტზე ნაკლებიო - მენჯზე ტყლიპის მაგვარი ტატუ ამოასვირინგებინა. ამის შემდეგ, მათი გარჩევა ყოველმხრივ შეუძლებელი შეიქნა და უკვე აღარც ძმებმა იცოდნენ, მართლა თვითონ ჰყავდათ თავიანთი ცოლები დაორსულებული, თუ რძლების გაბერვაში ჰქონდათ სამემკვიდრეო წვლილი შეტანილი.

* * *

ამ ამბიდან დაახლოებით ხუთი თვის უკან, ძმების მომავალ სიმამრს ყვითელი ქვიშის ქვეყნიდან აქლემები გადმოჰყავდა ბორანით და შუა ზღვაში საზარელი ქარიშხალი დაატყდა თავს. ერთგულ კომპანიონ ზ. ბებერაშვილთან ერთად ის ორმა მეთევზემ იხსნა - თეთრგულა თევზზე სანადიროდ გასულმა ძმებმა მომავალი სიმამრი და მისი კომპანიონი საკუთარ ნავებში გადასხეს და აქლემთა საკმაოდ შეთხელებული ჯოგიდან ოთხი შეშინებული პირუტყვის გადარჩენაც მოახერხეს.

ადგილზე მოუსვენრად ხტოდა ნაპირზე სალსალამათად გამოღწეული სასიმამრო და ძმებს მაჯებს უკოცნიდა. ზ. ბებერაშვილიც იქვე იდგა, თუმცა კრინტს არ ძრავდა და ათრთოლებული, გადარჩენილ აქლემებს ეფერებოდა.

რა აღარ შესთავაზა სასიმამრომ ძმებს შვილის საფასურად; საიდან აღარ მიუდგა, რა ხმოვან-თანხმოვნები არ ამოუშვა პირიდან, მაგრამ თავიდან მაინც ვერაფერი...

აქ ცხოვრებაში პირველად იგრძნო შეურაცხყოფილად თავი მომავალმა სიმამრმა და პირმოდორბლილმა, არც აცია, არც აცხელა - ძმებს, მათთვის მოულოდნელად, ჩასიძებაზე ჩამოუგდო სიტყვა.

ძმები უკვე იმ ასაკში იყვნენ, ქოხების კოხტად გამომგველი და გვარის პირდაპირი გამგრძელებელი სჭირდებოდათ; შვილს მათი საქმე უნდა განეგრძო და კარმიდამოსთვისაც მიეხედა. ძმების მარჯვენა ხელისგულებზე გაჩენილი ბებერები დღითიდღე მატულობდნენ, არაფრით ცხრებოდნენ და ძმებს ტვინსა და გონებას უშრობდნენ. ცოლის მოყვანაზე ადრეც ეფიქრათ, მაგრამ სანაპიროზე მათი გემოვნების არავინ იყო - სულ კბილგამომპალი და ფეხებდაბრეცილი შაოსნები დაიარებოდნენ.



ჩასიძებაზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, ცალი წარბი აეპრიხათ ძმებს - ჯილდას და ლილიტის ჭკუასუსტობის ამბავს აქამდეც მოეწია, თუმცა, წინადადებას მომნუსხველი მხარეცა ჰქონდა - იმ მხარეში, ჯილდასა და ლილიტს გარეგნობით ტოლ-სწორი არ მოეძებნებოდათ და მათ მილმა, მამამაგათის სიმდიდრის ავად თვალისმომჭრელი ჭიატიც იგრძნობოდა.

მთელი დღე უტრიალა სასიმამრომ ძმებს, ბევრი ეწრუწუნა, მრავალგზის დაიჩქმიტა ხორცმეტებიანი ყელი და ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

ჯილდა და ლილიტი იმ საღამოსვე პირადი ეტლით მიჰგვარა სასიმამრომ სასიძოებს.

- ეს ჯილდაა, ამას ლილიტს ვეძახი, - გააცნო თავიანთი ქოხების წინ მდგომ თითქმის სიძეებს თითქმის სიმამრმა ქალიშვილები და განზე გადგა ფეხები.

ყურიდან ყურამდე გაიბადრა დების დანახვაზე უფროსი, ხელისგულზე დაიფურთხა და აჩეჩილი თმა გვერდზე გადაიგლისა. უმცროსმა ენით ჭიანი კბილი მოისინჯა და მორცხვად გაიხედა განზე.

- კეიპტაუნ! - ჩურჩულებდა ჯილდა.

- ნალჩიკ! - ჩურჩულითვე პასუხობდა ლილიტი.

- კეიპტაუნ! - იმეორებდა ჯილდა.

- ნალჩიკ! - განაგრძობდა თამაშს ლილიტი.

მლიქვნელური ღიმილით მიაჩერდა სასიმამრო ძმებს.

- შვილზე ძაღლის სახელის დარქმევა სადაური წესია? - უხერხული პაუზის კითხვით ამოვსებას შეეცადა უმცროსი, მაგრამ უფროსმა უჩუმრად გაჰკრა მხარი.

სასიმამრომ კითხვას წაუყრუა - სამაგიეროდ, იქვე მიგდებულ ბრტყელ კენჭს დასწვდა, სული შეუბერა და ცალი მხარე დაუნერწყვა.

- ესა ჯილდაა, - დაანახა ძმებს სასიმამრომ კენჭის სველი მხარე.

- აიშ! - აღმოხდა უმცროსს.

ცხვირშეჭმუხნულმა სასიმამრომ ცბიერად ჩაიღიმა და კენჭი მძიმედ ამოატრიალა.

- ქვობამდე ძალიან კი უკლია, თუმც მშრალი მაინც ლილიტი გამოდის, - თქვა და ძმებს კენჭი ცხვირისწინ დაუტრიალა.

- ხოდა... - დაიწყო სასიმამრომ.

- ხოდა?? - ერთდროულად გაუკვირდათ ძმებსა.

- მოკლედ, რომელი რომელს? - დააკონკრეტა სასიმამრომ და შვილებს გადახედა. ჯილდა და ლილიტი კვლავაც "ქალაქობანას" თამაშობდნენ.

- კონაკრი, - იძახდა ჯილდა.

- ირკუტსკ! - პასუხობდა ლილიტი.

- კონაკრი! - ამბობდა ჯილდა.

- ირკუტსკ! - იმეორებდა ლილიტი.

ჯერ ერთმანეთს შეაცქერდნენ ძმები, მერე ფეხისთითები შეითვალიერეს და ღრმადაც ჩაფიქრდნენ.

- მე - ზღვა, - დარცხვენით ჩაილაპარაკა კაი ხნის შემდეგ უმცროსმა და ხვანჯრის ღილს მორიდებით უწყო წვალება.

- იჰ, მეც რომი ზღვა? - განაწყენდა უფროსი და სისხლამდე მოიკვნიტა ქვედა ტუჩი.

გალიზიანებულმა სასიმამრომ კენჭი ხელში აათამაშა.

- ეგრე არ გამოვა...

- რათა? - აღმოხდათ ძმებს ერთდროულად.

- ორივეს თუ ზღვა, ხმელეთი ვინლა ტკეპნოს?! - შეჰკრა სასიმამრომ წარბი.

მოკლედ, ჯილდა უფროსს ერგო.

დამშვიდობებისას, უკვე სიმამრმა სიძეებს თავისთან სტუმრობის დღე დაუთქვა და ზღვისპირს გაეცალა.

* * *

ძმების სიმამრს ტაჰმაგიდო ერქვა და ყვითელი ქვიშის ქვეყნიდან ორ ტყუპ და გონებასუსტ, თუმცა კი მზეთუნახავი გარეგნობის ქალიშვილთან ერთად იყო გადმოხვეწილი.

იქ ცხოვრებისას ტაჰმაგიდოს ზეთისხილისფერი აივი ჰყავდა ცოლად, ვინც ერთმანეთის მიყოლებით შვიდი ქალიშვილი გაუჩინა - აქედან ბოლო ორი - ზღაპრული გარეგნობის, თუმცა კი სასტიკად გონებაშეზღუდული: ჩვილობის ასაკიდან "ქალაქობანას" თამაშით იყვნენ დაკავებული ჯილდა და ლილიტი და ამ ცხოვრებისა სულ არაფერი გაეგებოდათ.

- ისლამაბად! - ეუბნებოდა ჯილდა ლილიტს.

- დელი! - პასუხობდა ლილიტი დას.

- ისლამაბად! - იძახდა ისევ ჯილდა.

- დელი! - პასუხობდა კვლავ ლილიტი; დედამაგათი კი, ტაჰმაგიდოს ნება-სურვილით უკვე მერვე შვილზე იყო ორსულად; ქმარი სულაც არ კარგავდა ვაჟის შეძენის იმედს და ყოველდღე მოლოდინით აღსავსე ბოლთას სცემდა ეზოში.

ერთ ხვავრიელ დილას, ფეხმძიმობის

მეცხრე თვეზე მყოფ აივის ხელი მოჰკიდა ტაჰმაგიდომ და მის გიშერა თვალებში საკუთარი პირობა ჩაიღვარა - ქურუმთან მივიდეთ, თუ კიდე გოგოა და საერთოდ მოვიკვნეტ საოხრეს და გადავიკარგები აქედანო.

ქურუმმა საკუთარ შარდში შვიდი კბილი ნიორი ამოავლო, სათითაოდ გადაყლაპა და ტაჰმაგიდოს ამბავი ამცნო - შეგიძლია შურდული გამოკიდო ბანზეო. სიხარულის მეცხრე ცაზე მყოფმა ტაჰმაგიდომ აივი კაი გემრიელად ჩაპროშტნა და მოლოგინებამდე სულ თვალებში შესციცინებდა.

იმ დღიდან მოყოლებული, ტაჰმაგიდოსთან ბიჭის მოლოდინის სუფრა არ აკეცილა. ღია ფანჯრებიდან ყოველდღე ეფინებოდა არემარეს იქიდან გარდმომავალი ცეკვა-თამაშისა და ხორხოცის ხმა - ქეიფმა და სტუმრიანობამ იმატა ტაჰმაგიდოს სახლში. ბედნიერი მამა ძეობაზე დასაკლავად თეთრ აქლემს ამზადებდა - სულ ლორთქო რეჰანით ჰკვებავდა და მისივე რძით ასუქებდა.

მერე მეცხრე თვემაც განვლო. მეცხრეს მეათე მოჰყვა, იმას კიდევ მეთერთმეტე და მეთორმეტე - ზეთისხილისფერ აივის მუცელი სულ ებერებოდა, წინასამშობიარო ტკივილები კი არა და არ ეწყებოდა. ორსულობის მესამე წელიც რომ მიილია, გაცოფებულმა ტაჰმაგიდომ ისევ ქურუმს მიჰგვარა ცოლი - ბანზე ამდენ ხანს გამოკიდებული შურდულით ვის დავუბუშტო თვალიო.

უცნაურად ჩაიცინა ქურუმმა და პასუხის მოლოდინში მყოფი ცოლ-ქმარი პირდაღებულები დატოვა - ჯერ ტაჰმაგიდოს ცოლის ფეხის ნაბანში ჩაანერწყვა სამჯერ, მერე სულმოუთქმელად გადაჰკრა ეს სითხე და ბანჯგვლიანი ფეხები იმდენად სწრაფად გაფშიკა, რომ პირიდან ერთი სუნიანი ბოყინის მეტი არაფერი ამოსვლია.

შემდეგმა წელმაც რომ გაიხურა კარი, ტაჰმაგიდომ და აივიმ გადაწყვიტეს ყველაფერი დავიწყებისთვის მიეცათ და ცხოვრება, როგორც აივის ამ ორსულობამდე იყო, ისე განეგრძოთ; - შვიდიდან პირველი ხუთი გოგო ხომ უკვე გათხოვილ-დაოჯახებულები ჰყავდათ. ჯილდას და ლილიტს გონებასუსტობის გამო არავინ ეძლეოდა, თუმცა მშობლებს ტყუპების დარდი სულ არ ჰქონდათ. საფიქრალი სხვა იყო - აივის თავზარდამცემი სიწრაფით ეზრდებოდა მუცელი.

ორსულობის მეცხრე წელიწადს მისმა სიდიდემ ბოლოსწინა მეფის სამარხის სიმაღლეს მიაღწია. დაფეთებული ხალხი დედაბუდიანად აიყარა იმ ადგილებიდან და ტაჰმაგიდოც, უზარმაზარმუცლიან აივისთან ერთად მარტოდმარტო შერჩა იმ მხარეს - ჯილდა და ლილიტი სათვალავში არ იყვნენ ჩასაგდებნი. დები მთელი დღე თავისთვის ისხდნენ ქვიშის პატარა ბორცვაკებზე და საღამომდე ქალაქობანას თამაშობდნენ.

- კონაკრი! - იძახდა ჯილდა.
- ირკუტსკ! - პასუხობდა ლილიტი.
- კონაკრი! - ამბობდა ჯილდა.
- ირკუტსკ! - იმეორებდა ლილიტი.

* * *

საზარელი სიზმარი ნახა ერთ უმთვარო შუაღამეს დარდისგან გასავათებულმა ტაჰმაგიდომ - სიზმრად მას ჟღალთმიანი ქალის ხმაზე მოლაპარაკე საკუთარი თავი გამოეცხადა. ორეულმა ომში მოწინააღმდეგის მხარეზე გადასული შვილის დედის ღიმილით დაუქნია ტაჰმაგიდოს შუა თითი, ელვის სისწრაფით შემოიყარა მისი ფეხები მხრებზე და ვნებიანი ქოშინითა ჰქნა საქნელი.

ცივოფლდასხმულს გაეღვიძა ტაჰმაგიდოს და აღმოაჩინა, რომ მოჭმუჭნული ზეწარი უკანალში ჰქონდა გაჩრილი. ფრთხილად წამომდგარმა, რიჟრაჟის ბინდში ჩუმად შეკაზმა აქლემები, ყველაზე ბორცვკუზას მძინარე ჯილდა და ლილიტი აჰკიდა და ისე გაიპარა სახლიდან, რომ მშვიდად მძინარე აივის სულ არაფერი გააგებინა.

მართლაც ვერაფერი გაიგო ორსულობის მეცამე წელიწადში მყოფმა, უზარმაზარმუცლიანმა აივიმ და ცისმარე გარიჟრაჟზე უბრალოდდლ მუცლის ცხარე ტკივილმა გამოაღვიძა - ბურანნარევი მზერა მოავლო გამოცარიელებულ კარმიდამოს და ყველაფერს მიმხვდარს თვალები სისხლისფერი ცრემლით აევსო. თავიდან გულდამდუღრულმა დაიკბინა თანთალა მაჯები და ზუსტად ორ საათში მოილოგინა კიდეც. მისმა განწირულმა კივილმა ცაზე გაყურსული ღრუბლები ერთხმად დაადნო და კოკისპირულ წვიმად აქცია.

წვიმის სიგრილით დამცხრალმა აივიმ ქვის უზარმაზარი ქანდაკება შვა, ჭიპლარი ქვისავე ნატეხით გადაიჭრა და წყლის მჟავე გუბედ იქცა. გუბე უცებვე აორთქლა თაკარა მზემ, ცაში მომწვანო ღრუბლებად მიმოფანტა და ზუსტად იმ ზღვაში ჩააწვიმა, აქლემების ჯოგითა და მძინარე შვილებით გადახვეწილ ტაჰმაგიდოს ზედ მიმდგარს რომ დაათენდა თავზე.

ნაუცბათევად დააფხიზლა შვილები ტაჰმაგიდომ და აქლემების მიხედვა უბრძანა; თავად ტყეში შეიძურწა და ბორანის შესაკრავად მაღალი ხეების მოჩეხვას შეუდგა.

- კიროვაბად! - ისმოდა მთელი დღე ზღვის პირას.
- დონეცკ! - პასუხობდა ჯილდას ლილიტი.
- კიროვაბად! - იმეორებდა ჯილდა.
- დონეცკ! - იხტიბარს არ იტეხდა ლილიტი და თან, იქვე მდგარ ნაღვლიანთვალება აქემებს უღიმოდა.

ბორანი საღამოსკენ შეკრა ტაჰმაგიდომ, აქლემები ქალიშვილებიანად ზედ შეჰყარა და ზღვაში შესცურა. მისი გამოთვლებით იქითა ნაპირისთვის სამ დღეში უნდა ეწიათ, თუმცა არაფერი ნაპირის მსგავსი ბორანზე მდგომებს პირველი სამი დღის განმავლობაში არ შეუნიშნავთ. სულ რომ შემოეჭამათ სანოვაგე, ტაჰმაგიდომ ყველაზე პატარა აქლემი დაკლა და ბორანზე მწვადები ააშიშხინა.

ერთი კვირის თავზე, მკვდარი წყლის ქვეყნის უკაცრიელ სანაპიროზე სალსალამათად ფეხშედგმულ ტაჰმაგიდოს და მის ორ, გონებასუსტ ქალიშვილს მხოლოდ შვიდი აქლემი აკლდათ.

* * *

პირველივე შემხვედრ ქალაქში დაფაცურდა ტაჰმაგიდო. ადგილობრივ ბაზარზე ფიცხლად გაიგო აქემის ფასი და უმალ ხმაურიანი ვაჭრობა გააჩაღა.

- აბა, კაი აქლემი!! კაი ცალკუზა, ორკუზა, უკუზო აქლემი!! აბა, კაი ცხელ-ცხელი, ფენოვანი აქლემი!! - მთელი კვირა ისმოდა ბაზრობაზე ტაჰმაგიდოს ომახიანი ბარიტონი.

მეტად უცხო რამ იყო აქლემი მკვდარი წყლის ქვეყანაში. ჭალარა სოვდაგრების გარდა მისი მსგავსი არავის არაფერი ენახა და ტაჰმაგიდოსაც ერთ კვირაში ყველა საკმაოდ ძვირად გაეყიდა.

აღებული ფულით უმალ იქაური ქუდი ჩამოიფხატა თვალებზე ტაჰმაგიდომ - ქალაქის ცენტრში ორსართულიანი სახლი დაისაკუთრა ლოჯების მიშენების პერსპექტივით და ქალიშვილებიანად იქ დაბინავდა. შემდეგი დღეები კრიალა მაღაზიებში სირბილს მოანდომა, რათა თავაუტკივარი ცხოვრებისათვის საჭირო წვრილმანი და მსხვილმანი ნივთები შეეძინა.

სწორედ მსგავსი გადაადგილებისას გაიცნო მან ამ ქალაქში ხელის მოსათბობად ჩამოსული კომერსანტი ზ. ბებერაშვილი და მისი ლილიპუტი მეუღლე ნაზი ჰუზმან.

ცოლ-ქმარი თეატრალურ წარმოდგენას მართავდა ქალაქის ერთ-ერთ მიყრუებულ ჩიხში - კისერზე ეჯდა ნაზი ჰუზმანი მეუღლეს და თავში წკიპურტებს ურტყამდა. ყოველ წკიპურტზე ზ. ბებერაშვილს მუცელი გვრემდა და პირიდან ცალ კბილს იფურთხებოდა. ძირს დაცემისას კბილები მტრედებად იქცეოდნენ და ზ. ბებერაშვილისა და ნაზი ჰუზმანის თავზე რკალად ტრიალებდნენ.

პირდაფჩენილმა უყურა ამ სანახაობას ტაჰმაგიდომ და ყველაზე მეტად, სანახაობის ბოლო ნაწილმა მოხიბლა, როდესაც ზ. ბებერაშვილმა უკანასკნელი კბილი გამოაფურთხა და ყველა ჰაერში მოტრიალე მტრედი უსულოდ დაენაცხა მიწას. ნაზი ჰუზმანი სწრაფად ჩამოქვეითდა ქმრის კისრიდან და მტრედების წამოკრეფას შეუდგა. ყველა რომ შეაგროვა, უკბილოდ დარჩენილ ზ. ბებერაშვილს მიუტრიალდა და სათითაოდ გადაყლაპა ოცდათორმეტივე. მერე ზ. ბებერაშვილმა ფართოდ გაიღიმა და აღმოჩნდა, რომ ყველა კბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი თავის ადგილას ჰქონდა.

ტაში მხოლოდ ტაჰმაგიდომ დაუკრა და სხვანაირად ვერაფრით იქნებოდა, რადგან სხვა მაყურებელი წარმოდგენას არც ჰყავდა. ბევრი არ უფიქრია ტაჰმაგიდოს - მორიდებით გაეცნო ცოლ-ქმარს და ყვითელი ქვიშის ქვეყნიდან ბორანით აქლემების გადმოყვანა-გაყიდვაში ჩაიკომპანიონა.

გაცნობის დღესვე ტაჰმაგიდოს ორსართულიან სახლში შეიკეტნენ ტაჰმაგიდო და ზ. ბებერაშვილი ნაზი ჰუზმანთან ერთად და წამოსაწყები ფინანსური ოპერაციის ბიზნეს-გეგმა შეადგინეს.

დაადგინეს - ყვითელი ქვიშის ქვეყანაში გადასულებს პირველი ნადირობა აუცილებლად ტაჰმაგიდოს ნასახლარის მიმდებარე, დაუსრულებელ მიდამოებში მოეწყოთ. ამ ადგილებს ხომ საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა ტაჰმაგიდო.

ასეც მოიქცნენ.

პირველად, წითელი ხისგან შეკრული ბორანით წაცურდნენ ყვითელი ქვიშის ქვეყნისკენ ტაჰმაგიდო და ზ. ბებერაშვილი, ნაზი ჰუზმანი კი მკვდარი წყლის ქვეყნის სანაპიროზე დატოვეს და აქლემების დაგეგმილი იმპორტის თაობაზე ქალაქში წინასწარი ჭორის დაგდება დაავალეს.

მოსალოდნელზე ბრწყინვალედ გაისარჯა ნაზი ჰუზმან - ბაზარში ნაყიდი წითელი სალებავით ქალაქის ყველა შენობას შემდეგი ფრაზა წაათხაპნა - "ძირს აქლემებით ვაჭრობა! აქლემებით მოვაჭრეებო სასწრაფოდ გაფრინდით აქედან!" - და სწორედ ამის გამო იყო, მკვდარი წყლის ქვეყნის სილიან სანაპიროზე ტაჰმაგიდოს და ზ. ბებერაშვილის დაბრუნებას მთელი ქალაქი რომ ელოდა.

მალევე შეძლებულ დიდგვაროვნებად იქცნენ კომპანიონები და ნიანგის ტყავის შორტებშიც გამოიკვართეს სქელი დუნდულები, თუმცა ტაჰმაგიდო გონებასუსტ ჯილდასა და ლილიტს მაინც ვერაფრით ათხოვებდა - დები კვლავაც ძველებურად ირწეოდნენ ეზოში გაკიდულ აბრეშუმის ჰამაკებში.

- ინდიანაპოლის! - ამბობდა ჯილდა.

- სიდნეი! - პასუხობდა ლილიტი.

- ინდიანაპოლის! - განაგრძობდა თამაშს ჯილდა.

- სიდნეი! - იმეორებდა ლილიტი.

* * *

ჩასიძებიდან ზუსტად ხუთი თვის თავზე შედგა სიძეთა პირველი ვიზიტი სიმამრთან. სუფრასთან მომხდარის გამო, სტუმრების თვალში სასტიკად შერცხვენილმა ტაჰმაგიდომ გულში ჩაიმიწა, რაც არ უნდა დამიჯდეს, გოგოები უკან უნდა გამოვითხოვოო და აასრულა კიდეც - ძმების წასვლის შემდეგ, სუფრას შერჩენილ სტუმრებთან ორკვირიანი, თავაუწეველი განსჯა-კამათის შემდეგ, ფართოფარფლებიანი ქუდი დაიხურა, ორი კვირის მოუხოცავ ცხვირზე მზის სათვალე მოირგო, სანაპიროზე ეტლით ჩახრიგინებულმა ძმების სახლში არყოფნით ისარგებლა და ფეხმძიმე ქალიშვილები უკან წამოასხა.

მთელი გზა "ქალაქობანას" თამაშობდნენ ჯილდა და ლილიტი.

- არმავირ! - იძახდა ჯილდა.

- რიგა! - პასუხობდა ლილიტი.

- არმავირ! - ამბობდა ჯილდა.

- რიგა! - თამამად პასუხობდა ლილიტი.

- როსტოვ-ნა-დონუ!! - უფა!! - ალმა-ათა!! - ანდიჟან!! - ნიუ-იორკ!! - პირველად ამოუვიდა ყელში ქალიშვილების ჭკუასუსტობა ტაჰმაგიდოს და ქალაქების ღრიალით ჩამოთვლას შეუდგა. ჯილდა და ლილიტი უმალ დადუმდნენ და მფრთხალი მზერით ააცქერდნენ სახეშეცვლილ მამას. ტაჰმაგიდომ სახლთან ღრჭიალით შეაჩერა ეტლი და მსახურს სახლის ალაყაფის გაღება უბრძანა.

საღამოსკენ, თევზაობიდან სავსე გოდრებითა და თეთრგულა თევზით დაბრუნებულ, სახეგაბადრულ ძმებს მაგიდაზე მიგდებულ ქაღალდის ნაგლეჯზე ტაჰმაგიდოს ოკრობოკრო ნაჩხაპნი დახვდა:

"როდის იყო, სხვადასხვა წრის ხალხს ერთად ეჭამოთ ზეთისხილი?!"

- რამფერ ეტყობა, ომი მხოლოდ ტელევიზორში რომ უნახია. - ჩაილაპარაკა უფროსმა მშვიდად.

- ეგ კიდევ ბევრ სხვა რამეს ნახავს... ტელევიზორში... - ჩაეღიმა უმცროსს და თევზის წვენი ჯამიდან ხმაურით მოხვრიპა.

შებინდებულზე ძმებმა ეზოში ასვეტილ თევზის ხეს კიბე ააყუდეს და ხეს ოცდაორი მუჭა თავთავი შეაწყვიტეს.

- ესეც ცეცხლი და მახვილი! - თქვა უფროსმა და მცენარის სურნელი მთელი სხეულით შეისუნთქა.

- ერჩივნა, თევზი დანა-ჩანგლით შემოერაგა. - ჩაილაპარაკა უმცროსმა.

ფოთლები და თავთავები ჩამავალი მზის სისხლისფერ შუქზე მოხარშეს ძმებმა და ერთი ქვაბიდან ერთხმად შთანთქეს. მერე ერთმანეთზე ალესეს თევზის საჭრელი წვრილი დანები და ქამრებში გაირჭეს.

- მოკვლა ცოდვაა. - თქვა უფროსმა.

- ბნელ ოთახში უნდა ჩაკეტო და სამასსამოცდახუთი დღე დაუბანელი ფეხი ღრძილებს შორის ურტყა. - განავრცო უმცროსმა და ხელისგულზე დაიხედა.

ეზოდან ერთდროულად გავიდნენ ძმები და საღამოს ზღვას დასამშვიდობებლად მიეახლნენ.

- მაგას ჰგონია, მარჯვენა ხელზე რომ ხუთი თითი აქვს, ხუთივე თითია. - ალმოხდა უფროსს და ზღვას თვალი ჩაუკრა.

- როგორ ეტყობა, განავლის ჭამით ჯერ რომ არ მიმწვდარა თაფლის სიტკბოებას. - დააქნია თავი უმცროსმა და მზისგან დასისხლულ ჰორიზონტს მიანდო მზერა.

ზღვამ პასუხად ორი ნიჟარა გამორიყა, რომლებსაც ძმებმა ყურები მიაბჯინეს. ნიჟარებმა ძმებს ტაჰმაგიდოს ხვრინვა და ქალიშვილების ჩურჩული გააგონეს:

- იოხანესბურგ! - ეჩურჩულებოდა ჯილდა ლილიტს.

- გორი! - ჩურჩულითვე პასუხობდა ლილიტი.

- იოხანესბურგ! - იმეორებდა ჯილდა და თითქოს ტაჰმაგიდოს ხვრინვა ტეხდა წელში.

- გორი! - არაფერს თმობდა ლილიტი.

ნიჟარები ზღვას დაუბრუნეს ძმებმა და გატრიალებას აპირებდნენ, რომ მათ მხრებზე ვიღაცამ მსუბუქად ჩამოალაგა ოფლიანი ხელისგულები. ძმებმა უმალ მკვეთრი ბრუნი ქნეს და ხელთ სიმამრის ერთგული კომპანიონი ზ.ბებერაშვილი შერჩათ ლილიპუტ მეუღლე ნაზი ჰუზმანთან ერთად.

- თქვენა?! - გაუკვირდათ ძმებს ერთდროულად.

- ერთი, ელეთ-მელეთი, ერევანი, ენისეი, ევკალიპტი, ელექტრონი, ენოტი, ენდენი, ერეხელი, ერითრომიცინი... - დაიწყო ზ.ბებერაშვილმა ჩამოთვლა და თითების რიგრიგობით კეცვა. ლილიპუტი ნაზი ჰუზმან იქვე ცალ ფეხზე ხტოდა და წვრილ ხმაზე ასლოკინებდა.

ზ.ბებერაშვილმა ტაჰმაგიდოს ვერაგი განზრახვის შესახებ აუწყა ძმებს. მისი თქმით, იარაღასხმული ტაჰმაგიდო ქალიშვილებთან ერთად ძმების მოლოდინში ეზოს ბუჩქებში იყო ჩასაფრებული - საწოლ ოთახში მაგნიტოფონი ჩაერთო, რაში მოტრიალე კასეტაზეც ტაჰმაგიდოს ვითომხვრინვასთან ერთად ჯილდას და ლილიტის "ქალაქობანაც" იყო ჩაწერილი.

- შარვალი შემომაცვდეს! - დაიფიცა ზ.ბებერაშ-



ვილმა, - შარვალი შემომაცვდეს-მეთქი, თუ ვტყუოდე! და მართლაც, უეცრად ამოვარდნილმა ქარმა შარვლის ორივე ტოტი მუხლსქვემოთ შემოაკლანჭა.

- ვაიმე, რა კარგი შორტები... პიყ... ზაულიკ, რა კარგია... პიყ... შორტები!! - სლოკინ-ჭყლოპინი ატეხა ნაზი ჰუზმანმა. ქვედა ყბა წინ წამოსწია განრისხებულმა ზ.ბებერაშვილმა, მეუღლისკენ გაიქნია თავი და პირი იქვე მოამუწინა. მერე ძმების წინ დაეცა მუხლებზე და სლუკუნით აფორთხდა.

- ნახევარი ხომ გვეკუთვნის? ხომ გვეკუთვნის?? ხომ გვეკუთვნის??? - ქვითინებდა ზ.ბებერაშვილი და მას ნაზი ჰუზმანიც აჰყვა:

- ამდენი ოფლი უფასოდ და რა გამოვიდა... თქვენ სიმამრი გვერდზე გადააყენოთ... მისი სასახლე თავისი აქლემებიან-ქალიშვილებიანად, მაცივრებიან-ტელევიზორებიანად, სერვანდებიან-ლოგინებიანად, დანა-ჩანგლებიან-კოვზებიანად თქვენი და ჩვენ რა...??!

- ხომ კი.. ხომ კი... ხომ კი... - ძუკნა ძალლივით ფეხებში ებლანდებოდა ზ.ბებერაშვილი ქალაქისკენ მიმავალ ძმებს.

* * *

ტაჰმაგიდოს ყვითელი ქვიშის ქვეყნიდან გაქცევიდან ცოტა ხანში, აივის მიერ ქვადნაშობი, უზარმაზარი ქანდაკების ჩრდილქვეშ, სამი წლის შვილთან ერთად, მკვდარი წყლის ქვეყნიდან გადმოხვეწილმა ცოლ-ქმარმა, ჯოსემ და მირამ დაიდეს ბინა.

მთელი დღე კარმიდამოს აწკრიალებდა მირა და ყვითელ ჰორიზონტს ძველისძველ სიმღერებს უმღეროდა. ჯოსე უდაბნოში უთავბოლოდ მოჭენავე ველურ აქლემებს უგებდა ბაობაბის ხაფანგებს და პატარა ოჯახსაც არასდროს აკლდა აქლემის მომჟავო ხორცი და მწვანე რძე.

პატარა ბიჭს განსაკუთრებული გასართობი ჰქონდა - ალიონზე ფეხზე წამომხტარი, დედას შუბლზე აკოცნინებდა და ქვის უზარმაზარი ქანდაკების ჩრდილთან სათამაშოდ გარბოდა; ხშირად ქანდაკებაზეც ძვრებოდა და მისი უმაღლესი წერტილიდან ქვიშიან მიდამოს ავლებდა თვალს.

- მე მიწაზე რაც ქვიშაა, მარცვალ-მარცვალ დათვლილი მაქვს!! - ხმამაღლა ყვიროდა სამყაროს უკიდეგანობით აღტაცებული ბავშვი.

- ჩუმად! - ბრაზდებოდა დაბნეული მამა. - რაებსა ჰკივიხარ! გამოივლის ვინმე და მართლა გიჟი ეგონები!

სწორედ ამ დროს უდაბნოს დედალ ველურ აქლემთა ატროვებული ჯოგი გადაიშლიგინებდა.

- ყველა თავისუფალი გიჟია! - ბავშვური წივილით პასუხობდა ქანდაკების წვერზე მოქცეული შვილი და იქიდან სრიალით ეშვებოდა.

ჯოსე და მირა შვილის გამო იყვნენ მკვდარი წყლის ქვეყნიდან გამოქცეულები.

ჭკუიდან გადამცდარ მკვდარი წყლის ქვეყნის მეფეს ხმამაღლა ეკივლა - ყველა სამი წლის ლაწირაკს გული ამოაცალეთ, აგერ მომიტანეთ, მათი სისხლით უნდა გავიხეხო ჩაყვითლებული კბილებიო.

მეზობლის ნესტიან სარდაფში შვილთან ერთად გადამალულ ჯოსესა და მირას, მზის სრულმა დაბნელებამ გაუმართა ხელი. ისინი შეუმჩნევლად გაიპარნენ ქალაქიდან და ზღვისპირიდან აცინცლული მეთევზის ნავით გადავიდნენ ყვითელი ქვიშის ქვეყანას.

კაი ხნის სიარულის შემდეგ, პაპანაქება სიცხისგან გათანგულ ჯოსეს, მირასა და სამი წლის ბავშვს წურწურით სდიოდათ ოფლი. დაღლილებმა ეულად მდგარი ქანდაკების ჩრდილს შეაფარეს თავი და სული მოითქვეს. რომ მოისვენეს, გადაწყვიტეს ბინაც იქვე დაედოთ და მკვდარი წყლის ქვეყნის ჭკუაგადამცდარი მეფის სიკვდილისთვის რაღა შორს - აქვე მოეცადათ. მრავლად იყო ირგვლივ მიტოვებული სახლი და მეპატრონე-სულიერიც არავინ ჭაჭანებდა. ჯოსეს და მირას ბევრი არ უმარჩიელიათ: ცას ახედეს და საცხოვრებლად სწორედ ის სახლი აირჩიეს, რომელიც ქანდაკების ჩრდილქვეშ იდგა და სადაც, არც იმდენად დიდი ხნის წინ ტაჰმაგიდო სახლობდა.

* * *

ჯოსემ კაი ხნის შემდეგ შეამჩნია იმ ადგილებში უცხო - ვიღაც ქაჩალი და კიდევ მეორე, ყურებდატეხილი პირველები იყვნენ, ჯოსეს და მირას იქ დაფუძნების შემდეგ იქ რომ გამოჩნდა.

ტაჰმაგიდო და ზ.ბებერაშვილი უდაბნოში მავთულის ბადით მოვიდნენ, ათი აქლემი დაიჭირეს და გაუჩინარდნენ.

- ვა! - თქვა გაკვირვებულმა ჯოსემ და ხვლიკის მურაბის ხელით ჭამა განაგრძო.

ორი კვირის თავზე ქაჩალი და ყურებდატეხილი ისევ ბადეთი გამოჩნდნენ და კვლავ ათი აქლემი გაიყოლეს.

- გამარჯობა ეთქვათ მაინც. - ჩაილაპარაკა თავისთვის ჯოსემ და შვილს ახედა. ის ქანდაკების წვერზე იყო ამძვრალი და ცას ხელებგაშლილი აჰყურებდა.

- ცა მამაა ჩემი, მიწა დედაა ჩემი! - ათრთოლებული აჰკიოდა ბიჭი ცას და ადგილზე ბავშვურად ხტოდა.

- სულ გადავიდა ჭკუიდან! - აბუზღუნდა თავისთვის ჯოსე და ტუჩებზე ხელისგულებაფარებულ მირას თავზე ხელი გადაუსვა.

- დე! - უყვიროდა მირას შვილი. - მამას უთხარი, ზუსტად ის იფიქროს ჩემზე, რაც რომ მე უნდა ვიფიქრო მასზე!!

შებინდებისას, ჯოსე, მირა და ბავშვი, თვალდახუჭული სვამდნენ აქლემის ცივ რძეს და ყურს უდაბნოს სიბნელეს უგდებდნენ.

თავის ნასახლარზე მდგარი უზარმაზარი ქანდაკება რომ დაინახა ტაჰმაგიდომ, პირი დააღო და ახლოს მისვლა ვერაფრით გაბედა. მერე, ქანდაკების ჩრდილში დასახლებული ოჯახიც შეამჩნია და შუბლი შეკრა, თუმცა არაფერი უთქვამს - თავის კომპანიონს, ზ.ბებერაშვილს აქლემების დაჭერაში შემკრთალი სახით წაეშველა და პირველი სოვდაგრული რეისი გააკეთა მკვდარი წყლის ქვეყნისკენ. გაყიდული აქლემებით აღებული ფულის ნახევარი კომპანიონებმა ტოლსწორად გაინაწილეს, დარჩენილი თანხით კი ყვითელი ქვიშის ქვეყანაში მეორე გადასვლა განახორციელეს.

ქანდაკებამ მეორედაც რიხიანად შეაკრთო ტაჰმაგიდო - მის წვერზე მოკალათებულმა ათი წლის ბიჭმა ხომ საერთოდ გააოგნა.

- შენმა მარჯვენამ არ უნდა იცოდეს, რა დღეშია შენი მარცხენა!! - დაუყვირა ბიჭმა ამფსონებს.

- Ненормальный! - ჩაილაპარაკა შეშინებულმა ზ.ბებერაშვილმა და ბადე ერთბაშად სამ აქლემს წამოაცვა.

ტაჰმაგიდოს მთელი დღე თვალი უთამაშებდა.

- თავი სახლში ხომ არ გონია?! - ღრჭიალებდნენ მის

კბილებს შორის ჟანგიანი სიტყვები.

- ხელის დაბანამდე, - უყვიროდა ისევ მათ პატარა ბიჭი. - აუცილებლად ისუნეთ ხოლმე ხელისგულებზე! მათ ხომ ოფლის სუნი საერთოდ არ ასდით!!

- Не твое сабачье дело! - ამბობდა თავისთვის ზ.ბებერაშვილი და ბადეში კიდევ შვიდ ველურ აქლემს ხვევდა.

- აბა ისაა შრომა... - ველარ უთმენდა გული ტაჰმაგიდოს. - იქითა ნაპირზე ორი ბეყე მეთევზე რომ ცხოვრობს - ხეებს რომ ზრდიან და მის ფოთლებს და მტვრიან თავთავებს ქალაქად რომ ჰყიდიან??! - ვერ აგონებდა აქედან ბავშვს შეურაცხყოფილი ტაჰმაგიდო.

მესამეჯერ რომ ჩამოვიდნენ აქლემების წასაყვანად კომპანიონები, მოქუფრული ჯოსე დახვდათ.

- ვისაც თვალში ვეპატარავები, ხელი აწიოს! - თქვა ჯოსემ ცივად.

ხელის აწევა არც ტაჰმაგიდოს და არც მის კომპანიონს უცდია.

- მე ბავშვობაში აქა ვცხოვრობდი... - დაიწყო ახსნა დამფრთხალმა ტაჰმაგიდომ, მაგრამ ჯოსემ შეაწყვეტინა.

- ახლა სადა ბანაობ?

- იქით წყალი სულ არ იცის. - ლამის ატირდა ტაჰმაგიდო და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გაიშვირა თითი. მერე თვალცრემლიანმა დაიწყო მოყოლა აქ გატარებულ ბავშვობის წლებზე, სიჭაბუკეზე, თავის მშობლებზე და ცოლის შერთვაზე; შვიდ გოგოზე, რომელთაგან ხუთი ღირსეულად გაათხოვა, ორი კიდევ ჭკუასუსტობის გამო ახლაც სახლში უზის. მოკლედ, მოჰყვა ყველაფერს - გაპარვასა და აივის ვერაგულად მიტოვებაზე კი კრინტიც არ დასცდენია. მერე ზ.ბებერაშვილმა ჩამოართვა ტაჰმაგიდოს სიტყვა და მანაც იწრუწუნა მარადიულ ხეტიალზე ქალაქიდან ქალაქში, ბავშვობაზე, რომელიც საერთოდ არ ახსოვს; ხუთი წლის ასაკიდან ვირივით რომ იღვწის სცენაზე და ცოლად უშვილო ლილიპუტი ნაზი ჰუზმანი ჰყავს.

ჯოსემ ყურადღებით უსმინა სოვდაგრებს და თანაგრძნობისგან წამწამები დაუსველდა. ნოსტალგიისგან გულნაღრძობმა თავისი ჯოგიდან მეაქლემეებს ოცი აქლემი მისცა და დაპირდა - ყოველ ორ კვირაში ერთხელ, ოც აქლემს მე დაგახვედრებთ დაჭერილს, ოღონდ თქვენ წაიყვანეთ და სული მოუთქვით მკვდარი წყლის ქვეყნის ფეხით მოსიარულე მოსახლეობასო.

- გზა სიარულით ილევა!! - ჯოსესა და კომპანიონების გაცნობას ფონად ქანდაკების წვერზე მდგარი შვილის ბავშვური ყიჟინა სდევდა და სოვდაგრებიც ჯოსეს დაუფიქრებლად მოურიგდნენ.

* * *

მკვდარი წყლის ქვეყნის ჭკუაზე გადამცდარი მეფის სიკვდილის ამბავი ჯოსემ კომპანიონებისგან მათი სამასმეერთე სტუმრობისას შეიტყო.

მირამ და ჯოსემ იმავ საღამოს გადაწყვიტეს სამშობლოში დაბრუნება და ტაჰმაგიდოსაც პატიოსნად მოურიგდნენ - კომპანიონები ღამეს მათ ჭერქვეშ გაათევდნენ, დილით კი, აქლემებთან ერთად ჯოსეს მოკრძალებულ ოჯახსაც გადაიყოლებდნენ მკვდარი წყლის ქვეყანას.

ტაჰმაგიდო და ზ.ბებერაშვილი შემოთავაზებულ წინადადებას თავის კანტურით დაჰყაბულდნენ და მათთვის აფუებულ აქლემის ბეწვის ბალიშებზეც უდარდელად მიდეს თავები.

შუაღამისას ტაჰმაგიდო უცნაურმა ღუღუნმა გააღვიძა. ჩუმად წამომდგარი გარეთ გავიდა და ყური მიუგდო.

- შენ მამა ხარ ჩემი...!! - დაიგრგვინა ტაჰმაგიდოლს გასაგონად უზარმაზარმა ქანდაკებამ და ტაჰმაგიდოსაც სიმწრის ოფლმა დაასხა.

- აბა მამა? - იკითხა ტაჰმაგიდომ მექანიკურად და გუბე დააყენა.

ნაღვლიანად გაეღიმა ქანდაკებას და ტაჰმაგიდოს ქაჩალ თავზე მთელი ძალით დააფურთხა.

თავზარდაცემული ტაჰმაგიდო თავქუდმოგლეჯით შეიძურწა სახლში, სასწრაფოდ გააღვიძა ზ.ბებერაშვილი, რომელიც სიზმარში აქლემების გაყიდვიდან აღებულ ფულს ითვლიდა და ჩუმად გაპარვაზე დაითანხმა. კომპანიონები ფრთხილად მოახტნენ თავიანთ აქლემებს, ჯოსეს ყველა აქლემიც თან წაასხეს და გაიპარნენ.

ზღვის პირამდე ქენებით მისულმა ტაჰმაგიდომ და ზაურ ბებერაშვილმა აქლემები თავიანთ ბორანზე შეჰყარეს და მკვდარი წყლის ქვეყნისკენ ნაჩქარევი გადასვლა იწყეს, მაგრამ შუა გზაში თავს დატეხილმა საშინელმა ქარიშხალმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სწორედ ამ დროს შეამჩნიეს თეთრგულა თევზზე მონადირე ძმებმა აქლემებიანი ბორანი და უმალ ოსტატურად მიუდგნენ ნავებით.

უზარმაზარი ქანდაკების ქვეშ დილაადრიან გამოღვიძებულმა ჯოსემ და მირამ ტაჰმაგიდოს და ზ.ბებერაშვილის კვალსაც კი ველარსად მიაგნეს. აღარ იყო მათი საკუთარი, მოშინაურებული აქლემების ჯოგი.

- მოკვლა ცოდვაა. - თქვა ჯოსემ. - ბნელ ოთახში უნდა დაამწყვდიო და სამასსამოცდახუთი დღის მანძილზე ყოველდღე კბილებში პანჩური ურტყა.

მირამ ცრემლი მოიწმინდა და შვილს თავზე ხელი გადაუსვა.

- ცოდოა ის კაცი, მოფსმის დროსაც რომ ვერ დაიყენებ გვერდზე! - დაიძახა შვილმა და უზარმაზარი სათამაშოსკენ გაიქცა.

ჯოსემ მირას წარბშეკრულმა გადახედა.

- ამდენი ნაოჭი მაქვს და ეგეთ რაღაცეებს მეც ვერ ვამბობ. - თქვა ნაღვლიანად ჯოსემ.

- სადა? - იკითხა მირამ უგულისყუროდ.

- შუბლზე, სადა... - გაჯავრდა ჯოსე.

ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, ფეხით მიეღწიათ ზღვისპირამდე და მერე, ზღვის რამენაირად გადაცურვა ეცადათ. ბარგი-ბარხანის შეკვრას ჯოსე და მირა მთელ თვეს მოუნდნენ.

მკვდარი წყლის ქვეყნისკენ დაძვრამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი, რომ ქანდაკების სიახლოვეს ჯოსემ ვიღაც შეამჩნია.

ვიღაც აქლემის ქურქში იყო გახვეული, ველური ფუტკრის თაფლში ამოწობილ მწვანე კალიას ჭამდა და თვალები ბედნიერად უელავდა.

ჯოსე წინ გადაუდგა.

- საით?

- იმაზე ერთი დღით შორს იქიდან, სადაც ყოველდღე ვარ. - უპასუხა ვიღაცამ და ჯოსეს გამხდარ დერვიშად გაეცნო.

ჯოსემ და მირამ გამხდარ დერვიშს დახმარება სთხოვეს და შვილი მკვდარი წყლის ქვეყანას გაატანეს - ჩვენც ორიოდ დღეში ჩამოვალთ და იქნებ როგორმეო...

დერვიშმა ბიჭს ხელი ჩაჰკიდა და გათბა.

- ახლა ვინც ჩემსკენაა, ის შენსკენაცაა. - დაამშვიდა ის თითსტოლა ღლაპმა და გაუღიმა.

მათ გადაწყვიტეს პირდაპირ ევლოთ და ასე ჩასულიყვნენ დანიშნულების ადგილას. ასეც მოიქცნენ, თუმცა გზაარეულებმა ხუთი წლის სიარულის შემდეგ სულ სხვაგან ამოჰყვეს თავი.






ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლალილა ბედიანიძე

* * *

შენ იქნები ჩემი მშობლები.
შენ იქნები ჩემი და და ძმა.
შენ იქნები ჩემი უფროსი, ჩემი უმცროსი.
შენ იქნები ჩემი ნათესავი...
მეშინია ბედნიერების, მეშინია.
ჩემს გვერდით სხვისი ადგილი არ არის.
ახლა მივხვდი, რატომ უნდათ ჭამონ
ერთი კოვზით და ერთი ჯამიდან მეგობრებმა,
როგორ იყოფენ ერთი თხილის გულს...
მე რა ვიცი, რა არის ჩემში, რა არის მასვენებს!
ეგ შენ გეცოდინება და გამაგებინებ.
რა ზღაპრის მზეთუნახავი მე ვარ!
რა ზღაპრის გმირი შენ ხარ!
ჩვენ სხვის ზღაპრებთან რა გვესაქმება!
რამდენი ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ ერთად
და ერთ ენაზე ვილაპარაკოთ.
მე რა შენი მძებნელი ვარ. მე რა შენი მპოვნელი ვარ.
ნეტავ როდის დაეშვები ჩემს წინაშე
ერთის რაღაცა დიდის გრძნებით
და მეც წარვსდგები შენს წინაშე
ერთის რაღაცა დიდის გრძნებით!
ეს უკვე მოხდა.

### ლა-ლა-ლა ანუ ფიქრები ძილის წინ

ლა-ლა-ლა - ქარი ქრის და თმას მიწეწავს,
თითებით ვივარცხნი, ისევ მიწეწავს...
ქარსაც აინტერესებს ჩემი თმა.
ლა-ლა-ლა - ყოველ მშრომელ პატიოსან ადამიანს
ჩოლკა წესიერად უნდა ჰქონდეს,
რაც უნდა ქარმა ებრძოლოს -
შეებრძოლება და გადაებრძოლება.
ლა-ლა-ლა - რასაც არ უნდა ვაკეთებდე
თმა ჩამომეშლება და საქმეში ჩამერევა ხოლმე.
თმასაც აინტერესებს, თმასაც, რას ვაკეთებ.
ლა-ლა-ლა - როგორ არის შენი ჩოლკა?
თუმცა, შენ ყველაფერი გიხდება,
თვითონ უხდები ყველაფერს.
ლალალა - რომ დაგინახე, დამზრინა და გული გამისკდა.
არ შევხედავ-მეთქი და შემოგხედე.
ვაიმე, შემომხედა!
ლალალალა - ახალი ჩანთა მაქვს - ლალალა.
ხვალ გულმხურვალედ ვილოცებ, ზეგ გიორგობაა.
გნახავ? ვერ გნახავ?
დიახ, ასეა საქმე!
ძილი ნებისა! უფალი გფარავდეს!
ლალალა...

* * *

რამდენი ჭკვიანი გოგოა ქვეყნად!...
თუნდაც ჩემი ნაცნობი ქალი.
რა კარგად ლაპარაკობდა ნიცშეზე!
ვერავინ გააჩუმა. ყველას მოერია.
შინ რომ წამოვედი, ნიცშეს წიგნი გამოვიყოლე.
მეც გავიგო რამე ამ ქვეყნისა!
ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ შენ არსებობ.
შენ ნამდვილად გეცოდინება ნიცშე,
რამდენჯერ დაგინახე - ჭკვიან გოგოებთან ლაპარაკობ.
ვიკითხე ნიცშე, ვიკითხე და ვერაფერი ვერ გავიგე.
ავდექი და წიგნი თავზე დავიდე.
შენზე ფიქრი მერჩია - ისე, ნიცშეს გარეშე.
არ ვიცი, რა გირჩევია, ვსთქვათ, რომ გერჩიოს -
ნიცშეზე ცხარედ შეგეპაექრო, არ დაგითმო,
მედგრად დაგიდგე, ჭკვიანი ვიყო, როგორც შენი
შესაფერისი,
თუ ის მოგიყვე, რას ვიქსოვ ახლა ლიკრის ძაფით?
(ძაფი ჯერ არ მიყიდია - ვოცნებობ).
მერე ავდექი და ნიცშეს წიგნზე თავი დავდე.
მაინც ვერაფერი გავიგე.
მერე ეს ლექსი დავწერე - ლექსმა ცოტა დამამშვიდა:
მეც ვაკეთებ რაღაცას.
და საერთოდ შეიძლება, შენ ნიცშე არ გაინტერესებს.
წაღმაც მეჭირა ნიცშეს წიგნი და უკუღმაც -
რა გამოვიდა? სხვაგან ჰქროდა ჩემი გონება.
თქვენ კი, რომ მოდაშია, ნიცშე იცოდე.
დავმარცხდი ნიცშესთან, ვაღიარებ.
შენ? არაფერს არ აღიარებ?

* * *

ზეიმზე წადით, მეგობრებო,
დამტოვეთ მარტო ჩემს ოცნებებთან!
მე აღარა ვარ ამ ქვეყნისა,
ახლა მხოლოდ ოცნებისა ვარ.
გადიდებული თვალებით ვუმზერ სარკეში ჩემს თავს -
აბა, რამდენად შევეფერები მე ჩემს ოცნებებს...
ამ ქვეყანას და იმ ქვეყანას
მივეოცნებ-მოვეოცნებე.

* * *

როცა სუფრიდან შინ ბრუნდები
ნამღერს და ნაცეკვს
კიდევ უფრო მეტი გინდა
და უფრო მეტად გრძნობ მარტოობას.
როცა კარს აღებ შენი გასაღებით
და გიკვირს - დედა და მამა სად წავიდნენ?
რა უჩვეულო სიჩუმეა!
ისინი კი შეყუჟულან სამზარეულოში
და შენი შესვლა არც გაუგიათ
და მამაშენი დედაშენს უფცქვნის
მოხარშულ კარტოფილს და აჭმევს...
შენ კი არა გყავს,
ვისაც მოხარშულ კარტოფილს აჭმევ
და ლოგინზე პირქვე დამხობილი
მძიმე ხარ, მძიმე.




ლა-ლა-ლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გურაბანიძე




# სტალინი თამაშობს "თეატრალურ რომანში"

## მსოფლიოს მესამე თეატრალური ოლიმპიადა (21 აპრილი-29 ივნისი, 2001)

*დასაწყისი იხ."არილი" N10, 11, 12, 13*

ვგონებ, ვსევოლოდ მეიერჰოლდის შემდეგ არცერთ რეჟისორს არ აუფეთქებია შიგნიდან რუსეთის თეატრალური სივრცე ისე, როგორც ეს გააკეთა თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა რეჟისორმა იური ლუბიმოვმა. იგი სულით ხორცამდე მეამბოხე იყო (და ასეთად დარჩა დღემდე, მიუხედავად თავისი 83 წლისა), რომლის სპექტაკლები აღტაცებას, სკანდალებს და ხელისუფალთა უკიდურეს აღშფოთებას იწვევდა.

ახლა არავინ არ კრძალავს მის სპექტაკლებს, არავინ არ სთხოვს იდეოლოგიურ პიეტეტს, აღარ ეძიებენ მის სცენურ მეტაფორებში ნაგულისხმებ ფეთქებად ნაღმებს და მისმა თეატრმაც ტაგანკაზე დაკარგა ის აგრესიული, შემტევი სტილი, ის განსაკუთრებული სიმწვავე, რის გამოც იგი მთელი თაობის (განსაკუთრებით "ანდერგრაუნდის") სულიერი განწყობილების გამომხატველი იყო თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე.

მახსოვს, რა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ მაყურებელზე "ტაგანკას" პირველმა გასტროლებმა თბილისში, განსაკუთრებით მისმა შედევრმა, ბრეხტის "სეჩუანელმა კეთილმა ადამიანმა". ეს ანტიფსიქოლოგიური თეატრი, ეს პირობითობა, მოულოდნელი მეტაფორები, ე.წ. "ღია თამაში", "გაუცხოების ეფექტები", კარნავალური სტიქიურობა პოლიტიკური თეატრის ესთეტიკის, მისი დაუფარავი პათოსის გამომხატველი აღმოჩნდა.

მაშინ ჩვენშიც გაისმა საყვედურები, თითქოს, ლუბიმოვის თეატრის ტოტალიტარული რეჟისურა (ეს იყო სწორედ კონცეპტუალური რეჟისურის პირველი ნიმუში ყოფილ საბჭოთა სივრცეში) მსახიობის ხელოვნებას უგულვებელყოფს და მას რეჟისორის (თუნდაც გენიალური რეჟისორის, იური ლუბიმოვი კი სწორედ ასეთია) მხატვრული წარმოსახვის უბრალო, რომ არა ვთქვათ, მექანიკურ, ავტომატურ, შემსრულებლად აქცევს. თუმცა ეს აზრი ერთგვარ საფუძველს მოკლებული არც იყო, მაგრამ იგი, მაინც, წარსულის ინერციის ნაყოფი გახლდათ და ასეთი უნიკალური თეატრის ესთეტიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

მაშინ ახალგაზრდა რობერტ სტურუამ თავისი აღტაცება საჯაროდ გამოთქვა, ხოლო მოგვიანებით ისიც აღნიშნა, რომ "სეჩუანელის" ესთეტიკამ მასზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა.

ი.ლუბიმოვის სხვა ბრწყინვალე სპექტაკლები - "ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო", "ჰამლეტი", "დანაშაული და სასჯელი", "ოსტატი და მარგარიტა"... თამამად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის თეატრალური ხელოვნების განსაკუთრებულ მიღწევად.

და აი, XXI საუკუნეში გადმოსული ი.ლუბიმოვის "ტაგანკის ნახევარი" ("მეორე ნახევარი" ძველი შენობის გვერდით აშენებულ ახალ თეატრში გადავიდა და მისი ხელმძღვანელია ერთ დროს მეტრის თანამოაზრე და თანამებრძოლი ნ.გუბენკო, კომუნისტი და კულტურის ნამინისტრალი) დღეს, მსოფლიო თეატრალური ოლიმპიადის პროგრამით, წარმოგვიდგენს თავისი საყვარელი მწერლის, მიხაილ ბულგაკოვის "თეატრალურ რომანს".

ამ რომანის დადგმა ი.ლუბიმოვს ოცი წლის წინ ჰქონდა განზრახული, მაგრამ კომუნისტურმა რეჟიმმა ამის ნება არ დართო. ანდა, როგორ მისცემდა ამის ნებას, როცა რომანში 30-იანი წლების საბჭოეთის ერთ-ერთი ყველაზე ოფიციალური თეატრი - სამხატვრო თეატრი - რუსეთის სიწმინდეების ის რელიქტი, თუ გაშარჟებული არა, გროტესკულად მაინც იყო დახატული, ხოლო მისი დამაარსებელნი და ხელმძღვანელნი - კ.სტანისლავსკი და


იური ლუბიმოვი

ვლ.ნემიროვიჩ-დანჩენკო, ასევე საკულტო ფიგურები, მწერლის "შავი იუმორის" მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

ი.ლუბიმოვს ეს სპექტაკლი კარგა ხანია რაც მზად ჰქონდა, მაგრამ შეაჩერა და პრემიერა სწორედ ოლიმპიადის დასაწყისს დაამთხვია. პრემიერაზე "მთელი მოსკოვი" მოვიდა - თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეებიდან დაწყებული, რეჟისორის თანამოაზრე მწერლებითა და მხატვრებით დამთავრებული. ხალხით გაჭედილ დარბაზში შემოვიდა ელეგანტური ი.ლუბიმოვი - ეს ჭეშმარიტი მეტრი. ლაღად, მხნედ ეჭირა თავი, როგორც საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებულ კაცს შეეფერება. საერთო სალამი აახლა აუდიტორიას, ნაცნობები მოიკითხა, ზოგს ხელი ჩამოართვა და გაემართა მეორე რიგის იმ სავარძლისაკენ, სადაც ჩვეულებრივ ზის ხოლმე რეპეტიციების დროს. პარტერის გასასვლელში მიმავალმა შენიშნა, რომ ამფითეატრის კიბეებზე სხვებთან ერთად ისხდნენ პოეტები ბელა ახმადულინა და ანდრეი ვოზნესენსკი (სასტიკად მოტეხილა), სპექტაკლის და მთელი ამ სანახაობის დემიურგი გულთბილად მიესალმა მათ და ხმამაღლა იყვირა სცენისაკენ - ახლავე სკამები მოართვითო სტუმრებს. თვითონ თავის ჩვეულ ადგილზე დაჯდა და სპექტაკლის დაწყების რეპლიკა ისროლა (ეს ყოველივე ისე უნდა გაგვეგო, რომ რეპეტიციას იწყებდა, მითუმეტეს, რომ მალე გამოჩნდა ფიცარზე დაწერილი - "Тише, идет репетиция").

"პოლიტიკური თეატრის მეტრი" - თავისი თავის ერთგული დარჩენილა. დეკორაციები სიმულტანურია, ანუ აქ ვხედავთ სპექტაკლის მთავარი "გმირის" სამხატვრო თეატრის სცენას, კულისებს, საგრიმიორო ოთახებს (მაგიდებს სარკეებითა და შიშველი ნათურებით) კაბინეტებს და, რაც მთავარია, ამ თეატრის ფარდას, თავისი სიმბოლიკით - თოლიებით. მართალია, რეჟი-

ეროვნული ბიბლიოთეკა




სორმა ვლადიმირ მაშკოვმა იხუმრა, ეს თოლიები დიდი ხანია, რაც სამხატვრო თეატრის ფარდიდან გაფრინდნენო, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი "ტაგანკაზე" შემოფრენილან, იმისათვის, რომ რეჟისორმა ისინი საბოლოოდ "გაპუტოს". ასეა თუ ისე, სამხატვრო თეატრის საკრალური ფარდა ნახევრად ფარავს ყველაზე ერეტიკული თეატრის - "ტაგანკის" სცენას. ამ სცენის კიდეებში მოჩანს ორფრთიან კარებზე დახატული უზარმაზარი პორტრეტები (პლაკატურ სტილში) კ.სტანისლავსკისა და ვლ.ნემიროვიჩ-დანჩენკოსი (მოქმედების მსვლელობის დროს, სცენაზე შემოსული მსახიობები ამ კარის ერთ ფრთას ღიად ტოვებენ და იქიდან შემოგვცქერიან ამ "დამაარსებლების" განახევრებული სახეები, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კომიკურ ეფექტს). სპექტაკლი იწყება ისე, როგორც იწყებოდა ხოლმე ამ თეატრის მრავალი სპექტაკლი: მონაწილენი გამოდიან ცეკვით და სიმღერით, აჟღერებენ რუსულ გარმონს და გიტარას (ვლადიმერ ვისოცკიმ - ამ შესანიშნავმა მსახიობმა და ბრწყინვალე ბარდმა, ეს ინსტრუმენტი "ტაგანკის" სიმბოლურ-მეტაფორულ საგნად აქცია), გაითამაშებენ ინტერმედიას, პანტომიმურ სცენებს და "ჩასტუშკის" კუპლეტების მოტივებზე მოუწოდებენ მაყურებლებს - გამორთეთ თქვენი მობილურები, პეიჯერები და ნურც ფოტო, აუდიო-ვიდეო ტექნიკას გამოიყენებთო. ამ დროს სცენაზე, თითქოს შორიდან, შემოაღწევს კარგად ნაცნობი მელოდია - სსრკ-ს ჰიმნი. ფეხზე წამომდგარი მსახიობები მიგვანიშნებენ - ეს "იქიდან", ანუ კომუნისტების "ახალი ტაგანკიდან" ისმისო.

სწრაფად გაიხსნება ფარდა (სპექტაკლის ძალიან აქტიური, დინამიური "პერსონაჟი", რომელიც იმ მეტაფორულ ფარდას მოგვაგონებს, რომელიც ასე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ამ თეატრის "ჰამლეტში") და გამოჩნდება ყალყზე შემდგარი, უზარმაზარი, ბრინჯაოსფერი ცხენი, რომელზეც კიტელიანი, საოცრად დიდულვაშიანი და ასევე საოცრად პატარა ტანის სტალინი ამხედრებულა (ალუზია პეტერბურგის სიმბოლოდ ქცეული "ბრინჯაოს მხედრისა": პეტრეს ძლევამოსილ ფიგურასთან შედარებით სტალინი აქ ჯუჯაა, ანუ "კარნავალურად დამდაბლებული"). ამ ცხენის ფერდში რკინისგისოსებიანი მოზრდილი კარია დატოვებული, საიდანაც მოჩანს და ლაპარაკობს რომანის მთავარი გმირი, ახალგაზრდა დრამატურგი მასკულოვი, რომელმაც თავისი პიესა მოიტანა სამხატვრო თეატრში. დიდი მიხვედრილობა არ არის იმისათვის საჭირო, რომ დიქტატორი მხედრისა და ცხენის მუცელში საცოდავად მოკუნტული შემოქმედის დიალოგი პირდაპირი და, ვიტყოდი, ტლანქი მინიშნებების გარეშე გავიგოთ. აქედან მოყოლებული მთელ სპექტაკლს გასდევს სტალინისა და სამხატვრო თეატრის ურთიერთობის, უფრო ზოგადად კი, ხელისუფლების და ინდივიდის, დესპოტისა და ხელოვანის დამოკიდებულების თემა, რაც ი.ლუბიმოვის მთელი შემოქმედების ლაიტთემაა და რაც განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიხატა მის, ერთ დროს აკრძალულ, შესანიშნავ სპექტაკლ, პუშკინის "ბორის გოდუნოვში". მაგრამ თუ ადრე ხელისუფლების სიმბოლოები მხოლოდ მინიშნებული იყო (თუმცა დაუფარავი სარკაზმითა და პირდაპირობით) თავის ამ ახალ სპექტაკლში ისინი პერსონიფიცირებულია სტალინის გაშარჟებულ ფიგურაში, უფრო ზუსტად, ფარსულ-ბუფონადურ ფიგურაში. ის, რაც ადრე ი.ლუბიმოვის სპექტაკლებში აღიქმებოდა როგორც ტრაგედია, საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრებაში, დღეს ჟღერს როგორც გროტესკულად გამძაფრებული ფარსი, მაგრამ რეჟისორს აქ გამოეპარა ერთი უმთავრესი მოტივი, რაც სპექტაკლის ასეთი გადაწყვეტის დროს სახიფათოდ იჩენს ხოლმე თავს: - ფარსისა და ბუფონადის საგნად სტალინის გარდა აქ, ნებსით თუ უნებლიედ, თვით საზოგადოება, მეტიც, ამ შემთხვევაში არა ლოკალურად სამხატვრო თეატრი გამოდის, არამედ, მთელი ხალხი, რომლის ზნეობრივი გამოფხიზლებისათვის ასე იბრძოდა ლუბიმოვი და რომელსაც ახლა იგი თეატრალიზებული კარნავალით ართობს. თავისი არსით ტრაგიკული მოვლენა კლოუნადითაა შეცვლილი.

არც ერთ თავის ინსცენირებულ-თეატრალიზებულ რომანში ისე არ დასცილებია ი.ლუბიმოვი პირველწყაროს, როგორც ამ შემთხვევაში. "თეატრალური რომანი" მხოლოდ იმპულსია რეჟისორისათვის, რათა მან თავისუფალი ვარიაციების, ხშირად ერთმანეთთან დაუკავშირებელი ატრაქციონები შექმნას. ი.ლუბიმოვი არ ზრუნავს ეპიზოდების თანამიმდევრობაზე, ლოგიკურ გადასვლებზე, მეტაფორების გარკვეულობაზე. მას ასოციაციების ლაბირინთში შევყავართ. თავისი განსაცვიფრებელი ფანტაზიის სივრციდან თუ თეატრალური ხერხების, საშუალებების, მეტაფორების გრანდიოზული ენციკლოპედიიდან იღებს იმას, რასაც განწყობილება და ინტუიცია კარნახობს. ეს სპექტაკლი თეატრალურად განათლებულ მაყურებელს მოითხოვს. მას ნანახი უნდა ჰქონდეს ი.ლუბიმოვის ყველაზე სახელგანთქმული სპექტაკლები ("სეჩუანელი" და "ჰამლეტი" მაინც), სამხატვრო თეატრის "ლურჯი ფრინველი" და "ტურბინთა დღეები", რომლის ერთ სცენას, კერძოდ მთვრალი ლარიოსიკის ოჯახში დაბრუნებას, აქვე გაითამაშებენ. წაკითხული უნდა ჰქონდეს, ცხადია, თავად "თეატრალური რომანი", "ოსტატი და მარგარიტა", პიესები "სრბოლა" და "ფარისეველთა დღესასწაული"; უნდა იცოდეს კ.სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ურთიერთობა (თეატრის ეს მამები ათეული წლების მანძილზე არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და წერილობით ატყობინებდნენ თავიანთ მოსაზრებებს თეატრის ცხოვრებაზე, რაც ბრწყინვალედაა გათამაშებული ამ სპექტაკლში). რასაკვირველია, ყოველივე ამის ცოდნა კარგია, მაგრამ სპექტაკლის ესთეტიკური აღქმისათვის სავალდებულო არაა.

"ტაგანკის" 37-წლიანი არსებობის მანძილზე (სწორედ პრემიერის დღეს შესრულდა ეს თარიღი) ი.ლუბიმოვმა თეატრალური ხერხებისა და საშუალებების თვალშეუვლები არსენალი შექმნა და თუ ამ ხნის მანძილზე სხვებმა მისგან უამრავი რამ აიღეს (როგორც იღებდნენ, თავის დროზე, ვს.მეიერჰოლდისაგან, ისეთნაირად, რომ იძულებული გახდა დაეგმო ეს ტენდენცია თავის სტატიაში "მეიერჰოლდი მეიერჰოლდოვშჩინის წინააღმდეგ"). დიახ, რატომ არ შეუძლია მას, იური ლუბიმოვს, თავისი ბრწყინვალე კარიერის "მზის ჩასვლის წინ" საკუთარ თავს დაესესხოს?! ეს დადგმა განუწყვეტელი ბრძოლებით და წინააღმდეგობებით ერთგვარად, უკვე დაღლილი, ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი ცხოვრებით მოქანცული, ცოტა სკლეროზშეპარული ხელოვანის შემოქმედებაა. იგი თითქოს რიგრიგობით იღებს თავისი სკივრიდან მისთვის ძვირფას, თუმცა ჩვენთვის უკვე ფასდაკარგულ, მაგრამ მაინც თვალისმომჭრელ მეტაფორებს და ჩვენს თვალწინ აწყობს იმ კაცის თვითკმაყოფილებით, რომელიც დარწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნებულია თავის გენიალობაში და რომელიც ფიქრობს, რომ მას არა მხოლოდ ყველაფერი შეუძლია, არამედ ყველაფრის უფლებაცა აქვს.

ატრაქციონების სახით გათამაშებული არათანმიმდევრული, თითქოსდა, თავისთავად არსებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ასოციაციების და მეტაფორების ნაკადი, რეალობის რეპლიკები, მხოლოდ რიტმის "ლოგიკას" ანუ ამ სპექტაკლის რიტმის "ბუნებას" ემორჩილება.

ასოციაციების სივრცე, მეტაფორების სიმრავლე, სცენების განსაცვიფრებელი მონტაჟი, მოქმედების ტემპი - ეს ყველაფერი განსაზღვრულია რიტმით, რომელიც მაყურებელს პირდაპირ ატყვევებს, ვინაიდან მისით იქმნება გრანდიოზული მოზაიკური პანორამა, რომელიც ადრე რეჟისორის პროტესტანტული სულის ხატოვანი ემანაცია იყო.

ამგვარად აგებული მოქმედება, თითქოსდა, თავისთავად გულისხმობს კარნავალურ ეპიზოდებს. ამ დროს ყველაზე მოულოდნელიც კი არ უნდა იყოს მოულოდნელი, ყველაზე დაუჯერებელი სარწმუნოდ უნდა იქცეს. ამ ჭრელსა და სწრაფად ცვალებად სამყაროში დომინირებენ ი.ლუბიმოვის და არა მ.ბულგაკოვის მიერ გამოხმობილი პერსონაჟები, ბრინჯაოს ცხენზე ხან ნერონი ამხედრდება, ხან მეფის შეზარხოშებული პოლკოვნიკი, ხან ისევ სტალინი, რომელიც ვერ იქნა და ვერ ელევა ამ ბრინჯაოს ცხენს. ერთ სცენაში მას ხორცისფერი შემოტმასნილი ტრიკო აცვია, გეგონებათ მთლად შიშველიაო და შიშველი ფეხის ქუსლებს გამეტებით სცემს ფერდებში ცხენს, რათა რამდენიმე წუთის შემდეგ სცენის მეორე სართულის ხან ერთი, ხან მეორე, ხან კი მესამე ფანჯრიდან გამოყოს თავისი ულვაშებიანი თავი. ფანჯრებში მინის ნაცვლად სარკეებია ჩასმული და ამ სარკეებში არეკლილი სამი სტალინი ზევიდან მოძღვრავს სცენაზე მყოფთ. იგი ლაპარაკობს საშინელი აქცენტით, რაღაც ქუჩური სომხური ინტონაციით. შენელებულად, უადგილო პაუზებით, რის გამოც საკმაოდ გონივრული აზრებიც კი პრიმიტიულად ჟღერენ და ეს მტკნარი სისულელე ვითომც "ამაღლებულია" სავსებით უადგილო რიტორიკით.

მ.ბულგაკოვის "თეატრალურ რომანში" ნახსენებიც კი არ არის სტალინი, არც სხვა პერსონაჟებია ნახსენები, მაგრამ ეს არ უშლის ხელს რეჟისორს სტალინი სპექტაკლის უმთავრეს ფარსულ-გროტესკულ ფიგურად აქციოს, აქვე გამოიყვანოს მოლიერი უზარმაზარი შავი პარიკით, რომელსაც ერთ სცენაში სტალინიც დაიხურავს და რუს მსახიობებს შლეგური გახელებით "ლეზგინკას" გაკვეთილს ჩაუტარებს, "სულიკოს" პაროდირებული მელოდიის თანხლებით. ეს კარიკატურული სახე, ფარსის ან გაუგებარი "კაპუსტნიკის" პერსონაჟი, სხვა ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, სტილისტურად სავსებით ამოვარდნილია სპექტაკლის ესთეტიკიდან. ასეთი შეუსაბამობანი, თითქოსდა, შეიძლება იმით გამართლდეს, რომ ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა რომანის გმირის, მასკუდოვის ავადმყოფური გონების ხილვები, რაღაც სიზმრები და მოლანდებები.

ბევრი მეტაფორა ნაძალადევი და გაუგებარია. უმთავრესი მეტაფორა - ბრინჯაოს ცხენი თავისი მხედრით, მრავალვარიანტიანია და თითოეულ მათგანს არსებობის უფლება აქვს. საკითხავია, ბოლოს და ბოლოს რა ცხენია ეს ბრინჯაოსფერი მონსტრი, რომელსაც მთელი სცენური სივრცე უპყრია და რომელიც, მრგვალ კვარცხლბეკზე შემდგარი ბრუნავს და სპექტაკლის ტემპო-რიტმს ქმნის და აშვერილი წინა ფეხები მაყურებელთა დარბაზისაკენ მიუმართავს? იქნებ იგი გულისხმობს "ტროას ცხენს", რომელშიაც ოდისევსმა აქაველები დამალა ტროას ასაღებად? იქნებ ის ცხენია, რომელსაც ეტლით დაჰყავდა სტანისლავსკი ლეონტიევის ქუჩიდან "კამერგერსკის პერეულკამდე" ანუ სამხატვრო თეატრამდე, ვინაიდან მაესტროს ეშინოდა ეს ნახევარი კილომეტრი მანქანით გაევლო, ვაითუ გზაში მძღოლი ცუდად შეიქნას და ავარია მოახდინოსო (სხვათა შორის, ამ ცხენს სპექტაკლში ხშირად უსვამენ გავაზე უზარმაზარ ჯაგრისს); დაბოლოს, იქნებ მართლაც სისტემის სისასტიკით დათრგუნული და სამხატვრო თეატრში შექმნილი ატმოსფეროთი შეძრწუნებული მასკუდოვის ფანტაზიის ნაყოფია იგი და წარმოდგენილია, როგორც სიმბოლო ძლევამოსილი ცხენიურჩხულისა, ყველაფრის წამლეკავი მონსტრისა, რომელსაც თავის ნებაზე მართავს კაცი-მარიონეტი, კაცი-ნილაბი, კომიკურად დაპატარავებული, ცანცარა, მაგრამ დინჯად მოლაპარაკე სტალინი, რომელიც მრავალმნიშვნელოვნად იქნევს ჩიბუხიან ხელს?!

ი.ლუბიმოვის შემოქმედებაში ადრეც შეინიშნებოდა ეს კარნავალური ალოგიზმები, მეტაფორათა შეჯახებანი, სიმბოლოები, ჟანრული შეუსაბამობანი თუ აღრევები, მაგრამ სპექტაკლის დასასრულისათვის ეს ყველაფერი თავს იყრიდა ჭეშმარიტად დიად თეატრალურ პანოში, რომელიც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე, სწორედ თავისი ერთიანობით. გულწრფელად უნდა ვაღიარო, ვერ გავიგე, თუ რისთვისაა დადგმული ეს, ეპიზოდურად, ბრწყინვალე სპექტაკლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხუთიოდე წლის წინ ი.ლუბიმოვი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა - დიდი ხანია მაინტერესებს სტალინის ფენომენი, ვაგროვებ მასალებს, მასზე შექმნილ "ბაიკებსაც" კი და მსურს ვითამაშო ან დავდგა მასზე სპექტაკლი, მაგრამ არა ისე გატყლარჭულ-გადაპრანჭული მანერით, რასაც რუსული ტელევიზიიდან გვიჩვენებენო (რეჟისორი, ალბათ, გულისხმობდა დრამატურგ ედუარდ რაძინსკის გადაცემათა ციკლს), მაინც არა მგონია, რომ სწორედ სტალინი, როგორც, პოლიტიკურ-სოციალური თუ საზოგადოებრივი მოვლენა იყოს მისი ინტერესების სფერო. რაც შეეხება ხელისუფლებისა და შემოქმედების დაპირისპირების თემას, იგი დღევანდელ რუსეთში "არ ჟღერს" - რადგან ორივეს ერთმანეთი ფეხებზე ჰკიდია, ისევე, როგორც საქართველოში. გრიგორი ზასლავსკიმ შენიშნა ამასთან დაკავშირებით - "იური პეტროვიჩი თავისი მაგალითით გვიმტკიცებს, რომ დიდხანს უნდა იცოცხლო, რათა დარწმუნდე: - ყველაზე რადიკალური ცვლილებები არაფერს ცვლიან". ი.ლუბიმოვი არ არის იმ მასშტაბის რეჟისორი, რომ მხოლოდ სამხატვრო თეატრის და მისი დამაარსებლების პაროდირებით შემოიფარგლოს (თუმცა ეს ანიჭებს ამ სპექტაკლს ერთგვარ "კაპუსტნიკურ" ელფერს) - მაშ, რაღა დარჩა? დარჩა მახვილგონივრული მიგნებების და მეტაფორების ბრწყინვალება, ქაოსიდან ზოგჯერ წამოსული სინათლე, თეატრალური ხელოვნების მაგია, რაც თავისთავად, რასაკვირველია, უკვე დიდი და მომხიბლავი რამ არის. მაგრამ მაინც, მე ვეთანხმები თეატრალურ მიმომხილველს ოლგა ფუკსს, რომელიც ამბობს: "ბულგაკოვისაგან მიღებული სიამოვნება, უეჭველად, უფრო დიდია, ვიდრე ლუბიმოვისაგან, რომელსაც, პირდაპირ ვთქვათ, კონგენიალური ნაწარმოები არ გამოუვიდა".

არილი



ჯონ ჩემპლინ გარდნერი

# ლიტერატურის მორალური პასუხისმგებლობის შესახებ

ჯონ გარდნერის (დ.1933) წიგნი - "ლიტერატურის მორალური პასუხისმგებლობის შესახებ" - ამერიკაში ბოლო წლების მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომია. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან - "წინასწარი შენიშვნები ხელოვნებასა და ზნეობაზე" და "ხელოვნებისა და კრიტიკის პრინციპები". გარდნერი ღრმად აშუქებს რთულ დიალექტიკურ კავშირებს ლიტერატურასა და სინამდვილეს შორის და აღიარებს ხელოვნების "უკუფენით" ("ასახვით") ფუნქციას, მიაჩნია, რომ იგი არამც და არამც არ გულისხმობს კოპირებას, არამედ ცხოვრების გარდასახვას "მხატვრულ-ესთეტიკურ" ფორმებში.

გარდნერი იბრძვის იმ ხელოვნებისათვის, რომელიც განამტკიცებს ზნეობრივ ფასეულობებს. ჭეშმარიტი ხელოვნება ნათელყოფს და ამკვიდრებს რა კეთილს, ჭეშმარიტს, მშვენიერს, მიმართულია იდეალებისაკენ. ხელოვნების მიზანი იდეალებია, სხვა დანარჩენი მეთოდოლოგიააო, - წერს იგი.

*მთარგმნელი*



წიგნი, რომელიც ესოდენ ფართო საგანს აშუქებს, პირველსავე ფურცელზე საჭიროებს მეტაფორას, რომელიც იმედის ილუზიას დაბადებს. არის ერთი ძველი თქმულება, სადაც ღმერთი თორი მტრის მორიგი თავდასხმის მოსაგერიებლად ყოველ წელიწადს დედამიწას წრეს შემოატარებდა. მაგრამ გადიოდა წლები, თორს სიბერე ეძალებოდა და წრეც თანდათან ვიწროვდებოდა. მაშინ ომისა და მშვიდობის უზენაესი ღმერთი ოდინი ტროლების ხელმწიფესთან მივიდა, მკლავები მოხვია და სთხოვა, გაენდო ის საიდუმლო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რათა წესრიგს ქაოსი დაეჯაბნა. "მომეცი შენი მარცხენა თვალი და გეტყვი", - უპასუხა ტროლების ხელმწიფემ. ოდინმა უყოყმანოდ ამოიღო თავისი მარცხენა თვალი, ტროლების ხელმწიფეს გადასცა და - მიპასუხეო, - უთხრა. ამაზე ტროლმა უპასუხა: მთელი საიდუმლო ისაა, რომ ორი თვალით უნდა იყურებოდეო!

ოდინის მარცხენა თვალი იყო ის უკანასკნელი სარწმუნო იმედი, რომელიც ღმერთებსა და ადამიანებს თავიანთ ყოველის მხრივ წყვდიადით გარემოცულ სამყაროში დარჩათ. დიახ, ერთადერთი, რაც დაგვრჩა, თორის ჩაქუჩია. იგი უხეში ძალის სიმბოლო კი არა, ხელოვნების - უფრო სწორად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩაქუჩს ორი ბოლო აქვს - ხელოვნებისა და კრიტიკის სიმბოლოა. თვითონ თორი, ცხადია, ვერ დაგვეხმარება, რამეთუ მსგავსად სხვა ღმერთებისა, თორიც მოკვდა. ჩვენს ხელთ მხოლოდ მისი იარაღია, იგი ღობის ძირას, ხშირ შამბებშია მივიწყებული. კარგი იქნება თუ მივხვდებით, როგორ გამოვიყენოთ იგი.

ეს წიგნი წარმოადგენს სწორედ გარკვეული წესების შემუშავების მცდელობას, გაანალიზებას იმ არასასიკეთო მდგომარეობისას, რამაც ბოლო წლებში ერთგვარი ზიანი მიაყენა ხელოვნებას, კერძოდ, ლიტერატურას, სფეროს, სადაც ასე თუ ისე, გარკვეული გახლავართ. ასევე იმ მიზეზების გაანალიზების მცდელობას, რამაც ლიტერატურული კრიტიკის არასახარბიელო მდგომარეობა განაპირობა.

კრიტიკოსების ენა, აგრეთვე იმ ხელოვანთა ენაც, რომლებიც ყურს უგდებენ და ანგარიშს უწევენ კრიტიკას, მეტისმეტად უცნაური გახდა - აღარავინ ლაპარაკობს გრძნობებსა და მღელვარების მომგვრელ სიუჟეტებზე, მშვენიერ ხასიათებსა და იდეებზე. წინადადებები ისეთი გრძელი სიტყვებით არის სავსე, როგორიცაა ჰერმენევტიკული, ევრისტიკული, სტრუქტურალიზმი, ა.შ. და ა.შ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ცდილობენ ზუსტი განსაზღვრება მისცენ რაიმეს, მაგალითად, განსაზღვრონ, რა განსხვავებაა მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის - მათს ამ მსჯელობას შეუძლია ოდნავ საზრიანი ძროხებიც კი გაოცებაში მოიყვანოს. ისე, როგორც არასდროს, გართულდა რა აღსაქმელად კრიტიკა, იგი სულ უფრო ზერელე და ზედაპირული გახდა.

რაღაც დონეზე ამ ზედაპირულობას აქვს თავისი გამართლება, გასართობად მას რაღაც გარკვეული ღირებულება გააჩნია. მაგალითად, ხომ შეიძლება ვინმე სპილოს ხორთუმის მარცხენა მხარეს ამოსული ბუსუსების შესწავლის საქმეში დახელოვნდეს? კრიტიკა ხომ თავის უმაღლეს, უსერიოზულეს გამოვლინებებში, გარკვეულწილად თამაშია და ეს ყოველმა ნამდვილმა კრიტიკოსმა იცის. ჩემში წინააღმდეგობას იწვევს არა თამაშის ხასიათი, არამედ ის ფაქტი, რომ თანამედროვე კრიტიკოსების უმეტესობამ, ისე როგორც ხელოვანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, სრულიად დაივიწყა მისი არსი და მნიშვნელობა, რამეთუ ჩვენდა სამარცხვინოდ, თავს სპილოს ხორთუმზე ამოსული ბუსუსებით ვიქცევთ, მაშინ როცა სპილო ფეხქვეშ თოთო ბავშვს თელავს. ჩვენს დროში ალბათ აზრადაც არავის მოუვა, რომ ხელოვნებას, ყოველ შემთხვევაში, ამერიკაში მაინც, შეუძლია თოთო ბავშვები თელოს. თუმცა ამას იგი გამუდმებით და, რაც მთავარია და რაც ყველაზე უარესია, თვითკმაყოფილი ღიმილით სჩადის. მე მომიწია დავკვირვებოდი, გნებავთ მწერალი, გნებავთ კომპოზიტორი თუ მხატვარი როგორ სხვათა შორის მოახლაფორთებს ხოლმე თავის "ქმნილებებს", თუმცა ყველა ისინი თითქმის სახელოვანი ადამიანები არიან.

საერთოდ, შემოქმედი ადამიანები სასიამოვნონი არიან, ისინი სიძულვილშიც და სიყვარულშიც ბავშვებს ჰგვანან. ცუდ სურათს, ცუდ კომპოზიციას თუ წიგნს ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე ქმნიან. მხოლოდ მათი პატივმოყვარეობაა იმაზე უკეთესის შექმნის მცდელობის გარანტია, რისი უნარიც გააჩნიათ, ანდა მიიჩნევენ, რომ მის შესაქმნელად არიან გაჩენილნი. მაგრამ, წუნი არა იმდენად მათ მიერ შექმნილ სახეებშია, არამედ მათი აზროვნების ხასიათში. გვთავაზობენ რა თავიანთ ნაკლებყუათიან ხორაგეულს ისეთივე მომაკვდინებელი გულგრილობით, როგორითაც ჩასუქებული ქალიშვილი შეკვეთილ კოტლეტებს, ხელოვნება თამაში ანუ ნაწილობრივ თამაშიაო, - აცხადებენ მომხიბვლელი ღიმილით. ის, რასაც ისინი ამბობენ, ასე თუ ისე, სწორია თავისთავად. არავინ არის იმ ადამიანზე უფრო მოსაწყენი, ვინც სულ გაიძახის - კი, კმარა, მოდი უფრო სერიოზულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყოთო! მაგრამ ახლა, ამ მომენტში, სწორედ ამის ძახილია საჭირო.

აზრი, რომელიც ამ წიგნს უდევს საფუძვლად, ისეთივე ძველია, როგორც სამყარო, მე იგი ჰომეროსის, პლატონის, არისტოტელეს, დანტეს და მრავალ სხვათაგან მაქვს ნასესხები. დასავლური ცივილიზაციისათვის მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე ეს აზრი მუდამ მისაღებად ითვლებოდა. თითოეულ კრიტიკოსსა და ხელოვანს, ვფიქრობ იგი კარგად უნდა ჰქონდეს გათავისებული (ბევრს ალბათ აქვს კიდევაც), მაგრამ, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ხელოვნების შესახებ უნივერსიტეტების აუდიტორიებსა თუ საღამოს წვეულებების შემდეგ სამზარეულოების ღამეული საუბრებისას ეს ტრადიციული შეხედულება ბევრისათვის გასაოცარ აღმოჩენას წარმოადგენს.

ტრადიციული შეხედულება კი მდგომარეობს იმაში, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა მორალური უნდა იყოს, უნდა ისწრაფოდეს, ცხოვრება კი არ გააუარესოს და დაამდაბლოს, არამედ ცოტათი მაინც უკეთესი გახადოს. უნდა ისწრაფოდეს, თავიდან აიცილოს ღმერთების მწუხრი და ჩვენი მწუხრიც, ყოველ შემთხვევაში გადაავადოს მაინც. არ უარვყოფ, რომ ხელოვნებას, ისე როგორც კრიტიკას, უფლება აქვს, ქება-დიდება შეასხას სისულელეს, იხუმროს, იპამპულოს, გაერთოს, მაგრამ ზერელე, ზედაპირული ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა უფრო სერიოზული, ურჩხულებთან მებრძოლი, სამყაროს საიმედოდ დამცველი ხელოვნების აჩრდილი. ხელოვნება დამანგრეველი, ხელოვნება ნიჰილისტებისა, ცინიკოსებისა, სიცოცხლის მოძულეებისა, არ არის ჭეშმარიტი ხელოვნება - თავისი არსით იგი სერიოზული და სიკეთის მომტანია. ეს არის თამაში ქაოსისა და სიკვდილის წინააღმდეგ, ენთროპიის წინააღმდეგ თამაში, თამაში ტრაგიკული მათთვის, ვისაც ჰყოფნის მახვილგონიერება, მიიღოს იგი სერიოზულად, რამეთუ წაგება აქ გარდუვალია.

ნამდვილი კრიტიკა, ისე როგორც ნამდვილი ხელოვნება, ტრაგიკომიკურ ბრძოლას ეწევა ენთროპიის წინააღმდეგ. ცხოვრება მთლიანად თანაწყობის პრინციპზეა აგებული. საგნები და მოვლენები ცუდი თანაწყობით მისდევს ერთმანეთს. ხელოვნებაც თავისი საუკეთესო, უმნიშვნელოვანესი ნიმუშებით ურთიერთდაქვემდებარებას ეფუძნება. დანაშაული არის იმიტომ, რომ არის ცოდვა, ცოდვა არის იმიტომ, რომ არის ტკივილი. ხელოვნების ყველა დარგი სწორედ ურთიერთდაქვემდებარების ხერხებს შეისწავლის, ხოლო ლიტერატურა განსაკუთრებული ჩაკირკიტებით მსჯელობს იმაზე, თუ რას, როგორ და რისაკენ მივყავართ. ხელოვნება, იცავს რა ბუნების ყოვლის გამთანაბრებელი ძალისაგან იმას, რაც ჩვენში განსაკუთრებულია - ჩვენს ცნობიერებას, იმ არაჩვეულებრივ მდგომარეობას, რომელშიც ყველა ატომი არამც და არამც ურთიერთთანასწორი არ არის, დროებით თავშესაფარს აგებს. გვამი - ენთროპიის დღესასწაულია, გვამში ფეხის ფრჩხილებიცა და ტვინიც ერთმანეთთან არის გათანაბრებული. ხელოვნება კი, იცავს რა გონების სუვერენიტეტსა და მისი სამფლობელოების უსაფრთხოებას, იმ ღირებულებებს განამტკიცებს, რომელიც რღვევას და დაცემას ეწინააღმდეგება. ყოველ ახალ თაობაში ხელოვნება ისევ და ისევ თავიდან გამოავლენს იმას, რაც კაცობრიობას საარსებოდ ესაჭიროება. კრიტიკა განმარტავს ამას და ამით დაცვით საზღვრებს განამტკიცებს. წუთითაც რომ მოწყდეს თავის საქმეს, ვერც ხელოვანი და ვერც კრიტიკოსი ვერ ირწმუნებს, რომ შესძლებს და სამუდამოდ აიცილებს თავიდან გონებისდალუპვის საშიშროებას. დასცინიან რა ჩუმჩუმად თავიანთ მყიფე ქმნილებებს, თვითონვე იცნობიერებენ, რომ ეს თამაშია და რომ ამ თამაშში თავად ღებულობენ მონაწილეობას. ხელოვნებასაც და მის კვალდაკვალ კრიტიკასაც მხოლოდ სურათის მთლიანობაში აღქმით შეუძლია აკეთოს საკმაოდ ნაყოფიერად თავის საქმე, ვთქვათ, ციხესიმაგრის კედლების საიმედოობა თავისი მცირეოდენი ბზარებითა თუ კედლებს გარეთ მობობოქრე ქარიშხლის მძვინვარებით. მაგრამ საკმარისია ხელოვანისა თუ კრიტიკოსის ცნობიერებამ დაკარგოს აღქმის მთლიანობა და ყურადღება ცალმხრივად, ვთქვათ, ფორმაზე გადაიტანოს, რომ მთელი ნაგებობა უკვე ნგრევას იწყებს - კედლები წარმოუდგენელი სიჩქარით ინგრევა (დიახ, ჩვენ ველოდით, დაიბზარება და დასკდებაო, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს ასე სწრაფად შეიძლებოდა მომხდარიყო, აქაც, იქაც და აი იქაც), ხოლო ხუროთმოძღვარი ვარდება რა პანიკაში, სულ უფრო სასტიკი და გულქვა ხდება.

არავინ არის უფრო გულფიცხი და ჭირვეული, არავინ არის უფრო მიდრეკილი, ცაში აიყვანოს, ძალზე დიდი ფასი დასდოს თავის ნამუშევარს, ვიდრე ის ხელოვანი, რომელიც მართალია ბუნდოვნად, მაგრამ იცნობიერებს, რომ გზას ასცდა, რომ მის ნაღვაწს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რისთვისაც, გნებავთ, შექსპირი, გნებავთ, ბრამსი თუ რემბრანდტი იღვწოდა. ხელოვნებაში ხელოვნების სიყვარულის გამო მოსული როცა ერთხელაც აღმოაჩენს, რომ თურმე უნარი არ შესწევს თავის მოქმედებით დაიცვას ის, რაც განამტკიცებდა, ძალას მატებდა ხელოვნებას ყოველ დროში, გაავებული ილაშქრებს ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ. იცავს რა დაჟინებით თავის მიერ წარმოებული ჩხარუნების დიდმნიშვნელოვნებას, ცოფდება და ხშირად უკიდურეს ცინიზმამდეც კი მიდის. ასევე იქცევიან კრიტიკოსებიც, ებრძვიან რა შეუპოვრად ნამდვილ თუ გამოგონილ მოწინააღმდეგეებს, სულ უფრო მეტსა და მეტ ინტელექტუალურ ენერგიას ხარჯავენ წვრილმანებზე. მაგალითად, ზოგიერთების მთელი ძალისხმევა ისეთ რამეებს ხმარდება, როგორიცაა, ვთქვათ, ტერმინ "პოსტმორდერნიზმის" რაც შეიძლება ზუსტი განსაზღვრა. ხოლო ის, რომ ადვილი შესაძლებელია მასში არავითარი აზრი არ აღმოჩნდეს, ანდა იგი სრულიად არაარსებითი იყოს, ის, რომ ამ პრობლემის მიმართ კრიტიკოსების ინტერესი ადვილი შესაძლებელია შუა საუკუნეებში არსებული "ცეცხლის ბინადარი ცხოველების" მსგავსი კატეგორიების ცრუ წინამძღვრებიდან მომდინარეობდეს, არავის აწუხებს. აღნიშნულ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელოვნება, მსგავსად მეცნიერებისა, თანდათან ვითარდება, ისე რომ, აქედან გამომდინარე ჰემინგუეი ლოგიკურად ბელოუმდე უნდა მივიდეს, ხოლო ბელოუ - ბარტელმამდე. ამ თვალსაზრისით ტერნერი, თუ მას ადრიან იმპრესიონისტად ჩავთვლით, გამოჩენილი ხელოვანია, ხოლო სრულიად უმნიშვნელო, თუ მასში უკანასკნელ კლასიცისტს დავინახავთ. როცა კრიტიკოსი ამგვარად კარგავს თავის თამაშში იუმორის გრძნობას, იკავებს რა უკიდურეს პოზიციას და იცავს რა მას ძალის მეშვეობით, მისი შეცდომები ძალზე სერიოზულ ხასიათს იღებს. ხელოვნებაში, ისე როგორც პოლიტიკაში, კეთილი განზრახვითა თუ კეთილშობილი სიტყვებით გალამაზებულ შეცდომებს ამქვეყნად ყოველგვარი ღირებულების გაუფასურება შეუძლია. პრობლემა ნაწილობრივ იმითაც არის განპირობებული, რომ თვით ყველაზე საუკეთესო კრიტიკა, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა კრიტიკოსის როლში მწერალი, კომპოზიტორი, ფერმწერი, მოქანდაკე, მოცეკვავე თუ ფოტოგრაფი გამოდის, თავად ხელოვნებაზე გაცილებით მეტად ისწრაფის, რათა თავი უცილობელ დოქტრინად გაასაღოს. ემყარება რა ლოგიკასა და სქემას, ემყარება რა მტკიცების მკაცრ დასაბუთებულობას, კრიტიკა, განსხვავებით ხელოვნებისაგან, მიმართავს ცნობიერებისათვის უფრო ხელმისაწვდომსა და კონკრეტულს დაქვემდებარებულ უბნებს. კრიტიკის მიმართ წაყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა თანმიმდევრობა და მოვლენის სრული მოცვაა. ხელოვნების ქმნილება მხოლოდ მკითხველის წარმოსახვის შემოქმედებითი აქტიურობით მოწმდება და შესაბამისად, იოლადაც აღიქმება, ვინაიდან ეს პროცესი ცნობიერების ესოდენ მრავალგვარ თვისებას, მის მრავალმხრივობას არ მოითხოვს.

კრიტიკა თავისი ბუნებით უფრო რაციონალურ ხელოვნებად წარმოგვიდგება, ვიდრე სინამდვილეშია, უფრო ყაირათიანად და უფრო სისტემატურად. ანალიტიკური ცნობი-

ერება არ არის ცნობიერების ის სახე, რომელსაც კონკრეტული გამოცდილების იმიტაციის გზით ცხოვრების გაცილებით ღრმა ინტელექტუალურ და ემოციურ გაგებამდე მივყავართ - იგი უფრო ცივი და აბსტრაქტულია, გამოყოფს რთულ მოტივებს, ხედავს ნიუანსებს, განმარტავს და ავლენს შემოქმედის მიერ ნათქვამ გაცილებით ღრმა აზრებს. კრიტიკულ აზრს ხელოვნების ნაწარმოებში შეუძლია გამოავლინოს ის კავშირები, რომელიც შეიძლება თვითონ ხელოვანსაც შეუმჩნეველი დარჩა. სწორედ ამით ასრულებს იგი უკეთილშობილეს მისიას. ცოცხალი შემოქმედებისას კი ცივი ინტელექტის გამოყენება, როგორც ჩანს, წარმოშობს ზერელე, ზედაპირულ ნამუშევრებს, სადაც ხელოვნება მთლიანად გრძნობად განცდებსა ან იდეებამდეა დაყვანილი. ჩვენ ამას ვხვდებით ყველა იმ შემთხვევის დროს, როდესაც ხელოვნება აშკარად თეორიის მიხედვით კონსტრუირდება, როგორც ეს, მაგალითად, ჯონ კეიჯის მუსიკასა ან უილიამ ჰესის ბოლო წლების პროზაშია. ფორმათა ელემენტების სრულყოფილება, როგორც თვითმიზანი, ხშირად წმინდა ინტელექტუალურ, აკადემიურ ვარჯიშადაც კი იქცევა - ამ უკანასკნელის ნიმუშებად შეიძლება ის მხატვრული ნაწარმოები მოვიყვანოთ, სადაც სიუჟეტი აშკარად სქემამდეა დაყვანილი, ხოლო ხასიათები და ადამიანური ურთიერთობები - იდეის უფერულ განსხეულებამდე. ხელოვნება სულსა და სხეულს აერთიანებს, გონებით გაუსხივოსნებელ გრძნობას და ცივ აბსტრაქციას. ფილოსოფიისათვის უფრო თანამიმდევრობაა დამახასიათებელი. ის, რასაც ფილოსოფია სინამდვილესთან მიმართებაში ასრულებს, ამას ასრულებს კრიტიკა ხელოვნებასთან მიმართებაში. ხელოვნება კი ყურს უგდებს და აკვირდება რა ყველაფერს, რაც მასში და მის გარშემო ხდება, ისევე ალალბედზე დაეხეტება, როგორც ტყეში გზააბნეული მონადირე და იმის გამო, რომ არ სჯერა საკუთარი თავისა, ყოველ წუთს შეუპოვარ მოქმედებაზე გადასასვლელად არის მზად. აქედან, ცხადია, არ უნდა დავასკვნათ, თითქოს ხელოვნებასა და ფილოსოფიას შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. როცა რაღაც მეტაფიზიკური სისტემა ინგრევა, ან გგონია რომ უკვე დაინგრა, ხელოვნების ფორმები, რომელიც აძლიერებს მას, უკვე აღარ აღიქმება, როგორც ზუსტი და ადეკვატური. მაგალითად, ჰარტ˚კრეინმა როცა აღმოაჩინა, რომ "ცა ღმერთების გარეშე დარჩა", პოეტური წყობა მოშალა, ხოლო მისმა მეგობარმა - ჯონ ტუმერმა, როცა დარწმუნდა, რომ ძველ ფორმებს არ შეეძლო ზუსტად აესახა კრეინის გონების განათების რელიგიური ხასიათისაგან განსხვავებული მისი გონების განათების მისტიკური კალეიდოსკოპი, ტრადიციული ლიტერატურული ფორმები უარყო. არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში ტრადიციის რღვევა არ წარმოადგენდა ფილოსოფიურ აქციას. კრეინი და ტუმერი მზამზარეულ პასუხებს კი არ იძლეოდნენ, ნადირობდნენ. ესთეტიკური ფორმების ცვლა ფილოსოფიაში აუცილებლად პროგრესს როდი მოასწავებს - როგორც წესი, ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მონადირემ ტყის ერთი მონაკვეთი დააცარიელა და ახალ, ან უფრო სწორად, იმ ადრე დაცარიელებულ ადგილზე გადავიდა, რომელმაც უკვე მოასწრო ნადირით ავსება. ხელოვნება ფილოსოფია არ არის, მაგრამ, როგორც ამას კოლინგვუდი ამტკიცებს, "ფილოსოფიის მახვილი წახნაგია".

სხვა ტრადიციულ მეტაფორას თუ გამოვიყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკური სტილები ანუ გრძნობებისა და აზრების კომუნიკაციის ხერხები ისევე ჩლუნგდება ხმარებაში, როგორც სამზარეულოს დანები. ხოლო ვინაიდან სიჩლუნგე ხელოვნების უპირველესი მტერია, ხელოვანთა თითოეული თაობა სინამდვილის ხორცზე ქონის მოსაცილებლად იძულებულია სულ ახალი და ახალი ხერხები ეძებოს. დაადგება რა ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედებით მონიშნულ ბილიკს, ეს ძიება ხელოვანს ზოგჯერ აიძულებს, გაუცნობიერებლისაკენ განავითაროს იგი. ისე, როგორც ბრამსმა, დებიუსიმ, ვაგნერმა განავითარეს ის, რაც მხოლოდ საწყისის სახით იყო ბეთჰოვენის შემოქმედებაში მონიშნული. ან ისე, როგორც დოს პასოსმა, ჰემინგუეიმ, ფოლკნერმა აიტაცეს ჯოისისა და გერტრუდა სტაინის იდეები. ზოგჯერ ძველთან მიმართებაში ახალი რეაქციის სახეს იღებს. მაგალითად, ო'ჰარას დროინდელი სოციალური რეალიზმი ადგილს უთმობს ფაბულიზმს, ფაბულიზმი კი თავის მხრივ ადგილს უეჭველია სიურრეალიზმს, რეალიზმს ან რაღაც სხვას დაუთმობს. მიაჩნია რა ახლის აღმოჩენის ნიშნად და სინამდვილის ახლებური აღქმის გამოხატულებად, ზოგიერთი კრიტიკოსი მიესალმება ყოველგვარ ცვლილებას. მაგალითად, მკაფიოდ შემუშავებული სიუჟეტიანი რომანის, ანდა კარგად ორგანიზებული დრამის დაცემას, მუსიკაში მელოდიაზე, ანდა ფოტოგრაფიასა და კინემატოგრაფიაში რეალურ სახეებზე უარის თქმას მიესალმებიან როგორც ხელოვნებაში სამყარო-ქაოსზე უახლოესი წარმოდგენის გამოხატულებას. მაგრამ ამგვარი მიდგომა, როგორც ზევით უკვე აღვნიშნე, ადვილი შესაძლებელია უამრავი შეცდომის საფუძველი გახდეს.

შეცდომის საფუძვლად იგი შეიძლება ორი ძირითადი მიზეზის გამო იქცეს. მიუხედავად თანამედროვე ფილოსოფოსების მიერ ამასთან დაკავშირებით წამოძახილი ღრმააზროვანი შორისდებულებისა, მეტაფიზიკური სისტემები გონების შემდგომი და ღრმა განათების ზეწოლით კი არ ირღვევა, არამედ, როგორც წესი, იმ სისტემებს, უბრალოდ, აღარ იყენებენ. აღარ იყენებენ ისევე, როგორც დრომოჭმულ ციხესიმაგრეებს, ზოგჯერ გაუთავებელი შეკეთებებისა და უშედეგო განახლებების შემდეგაც კი. ცხადია, ნაწილობრივ სწორედ ამაზეა აგებული ირონიული თამაში კაფკას "ციხე-დარბაზსა" თუ სხვა ნაწარმოებებში. მას ხშირად იმ ხელოვანთა შორის ასახელებენ, ვინც ტრადიციული აზროვნების წესების კრახი "წარმოაჩინა" - მეტაფიზიკის ციხესიმაგრე, რომელსაც სასოწარკვეთილი ხალხი საუკუნეების მანძილზე შრომითა და გარჯით აგებდა, აფართოებდა, საკერებლებს ადებდა, საბოლოო ანგარიშში მაინც შეცდომა აღმოჩნდაო, მაგრამ, კაფკას შემოქმედებაში ბევრად მეტია განმჭვრეტელობა, კომიზმი, ირონია, ვიდრე ჩვენ მას ამგვარი წაკითხვის დროს აღმოვაჩენთ. მისი ნაწარმოებების ზემოქმედების ძალა მნიშვნელოვანწილად იმ გრძნობით არის განპირობებული, რომელიც მათი კითხვისას გვიჩნდება - ის, რომ ნამდვილი საიდუმლოებები დავიწყებულია, რომ საიდუმლოს ნამდვილი გასაღები შეუმჩნეველი დარჩა, ოდესღაც არსებული აღქმის მთლიანობა კი დაიკარგა და მისი აღდგენა ახლა უკვე შეუძლებელია. თითქმის ამასვე ამბობს მელვილი "თაღლითში", და უკვე სრულიად სხვა ტონში - "იზრაილ პოტერის" ბოლოს. იანკების ტრადიციულ ქრისტიანულ ზნეობას, რომლის განსახიერებასაც იზრაილ პოტერი წარმოადგენს, გვირგვინი კი არ აქვს აზდილი, ან უუნარობას კი არ ამჟღავნებს, არამედ, უბრალოდ, აღარავინ მისდევს, მისი უკვე აღარ ესმით, იგი უკვე მოძველებულად მიაჩნიათ.

*დასასრული შემდეგ ნომერში*

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა





ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუიჯი პირანდელო

# როცა ერთმანეთისა ესმით



2/952

რომიდან ფაბრიონის სადგურზე ღამით ჩამოსული მგზავრები გათენებას უნდა დალოდებოდნენ, რათა ზემოთ, მარკეს მიმართულებით განეგრძოთ გზა პატარა და ნელი, სულ მთლად დანჯღრეული მატარებლით.

განთიადისას, მეორე კლასის ჭუჭყიან ვაგონში, სადაც ხუთ მგზავრს უკვე დაეკავებინა ადგილი, თითქმის ხელით ამოიყვანეს ერთი მგლოვიარე ქალბატონი, რომელიც იმდენად მოეცვა მწუხარებას, რომ თავისით უკვე ვეღარ ადგამდა ფეხს.

გარიჟრაჟის მკვახე და უბადრუკმა ნათელმა კვამლით აყროლებული იმ ბინძური ვაგონის დამთრგუნველ სივიწროვეში ავბედით სიზმრად მოუვლინა ღამენათევ მგზავრებს ეს ძონძების ბოღჩა, მახინჯი და საწყალობელი, ხვნეშითა და წუწუნით რომ შედგა ჯერ ბაქანზე, მერე კი ვაგონის კიბეზე.

უკანმიდევნებული ხვნეშა და წუწუნი, თითქოსდა ქალის უნიათო მცდელობებს რომ ეშველებოდა, მისი ქმრისა იყო, რომელიც ბოლოსდაბოლოს თვითონაც გამოჩნდა, ჩია და ჩამომხმარი, მკვდარივით გაფითრებული. ოღონდაც თვალები ჰქონდა ცოცხალზე ცოცხალი: სიფითრეში ბასრად მოელვარე.

სასოწარკვეთილება და მძიმე უხერხულობა იმის გამო, რომ ცოლი ამ დღეში ჩავარდნოდა, ხელს არ უშლიდა მოსხეპილი თავაზიანობით მიემართა დამხვდურთათვის. და მაინც ეტყობოდა, რომ წელანდელ ძალისხმევას ოდნავ გაეღიზიანებინა, იქნებ იმიტომ, რომ სათანადო შნო და ძალღონე ვერ გამოიჩინა ხუთი მგზავრის წინაშე იმ მძიმე ტვირთის აწევისას და შემოტანისას, რადაც მისი ცოლი გადაქცეულიყო.

მაგრამ როგორც კი ადგილი დაიკავა და ბოდიში და მადლობა მიაგება ხუთივე მგზავრს, რმოლებიც იმწამსვე შევიწროვდნენ მგლოვიარე ქალბატონისათვის ადგილის დასათმობად, ცოლის მიმართაც შეძლო ზრუნვისა და ალერსის გამოვლენა. სამოსი შეუსწორა და ცხვირზე აფარებული მანდილის კიდე ჩამოუწია.

- ხომ კარგად ხარ გენაცვალე?

ცოლმა არათუ არ უპასუხა, კვლავ ჯიუტად ამოიწია პირსაბური უფრო ზემოთ, მთელი სახის დასაფარავად. ქმარმა უსასოოდ გაიღიმა და ამოიოხრა:

- ეჰ... ამ ცხოვრებას რა ვუთხარი!

აქ კი მოისურვა, თანამგზავრისათვის აეხსნა, რომ მისი ცოლი სიბრალულს იმსახურებდა, რომ ამგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ერთადერთი ვაჟის გამო, რომელიც მოულოდნელად და სასწრაფოდ მიჰყავდათ ომში. ერთი წლის წინათ, როცა ბიჭმა უნივერსიტეტში სწავლა გადაწყვიტა, ოღონდაც მარტო არ მიეტოვებინათ, მშობლები სულმონადან რომში გადავიდნენ საცხოვრებლად. ომი ატყდა და ჯარში გაწვეული მათი შვილი ოფიცერთა ხანმოკლე კურსებზე ჩაეწერა. სამი თვის მერე, უკვე ქვეითი ჯარის უმცროსი ლეიტენანტი ერქვა და კალაზეს დივიზიის მე-12 ლეგიონში დანიშნული, მაჩერატას მიდამოებში დაბანაკებულ ნაწილში მიემგზავრებოდა და მშობლებს აიმედებდა, რომ იქ ერთ თვეს მაინც დააყოვნებდნენ რეკრუტების გასავარჯიშებლად. და აჰა, ერთი თვის მაგიერ სულ რაღაც სამ დღეში ფრონტზე აგზავნიდნენ. გუშინ რომში დეპეშა მიეღოთ, რომელიც ამ მოულოდნელ გამგზავრებას იუწყებოდა. ახლა კი დასამშვიდობებლად მიეშურებოდნენ.

მანდილქვეშ ქალი ღელავდა, მოიკუნტა, მოიკრუნჩხა, ქმრის ამ ხანგრძლივი ახსნა-განმარტებით გაღიზიანებულმა რომელიღაც ცხოველივით დაიღრინა - ქმარს არ ესმოდა, რომ ვერავითარი განსაკუთრებული თანაგრძნობა ვერ შეხვდებოდათ იმის გამო, რაც უკვე მრავალს ან იქნებ ყველას გადახდენოდა. უფრო მეტიც, იქნებ წყრომითა და მრისხანებით ეპასუხათ. ამ ხუთი მგზავრიდან არცერთი არ ჩანდა მწუხარებისაგან მათსავით დათრგუნვილი და დამარცხებული, თუმცა შეიძლება, ყოველ მათგანს ერთი ან მეტი შვილი ჰყოლოდა ომში. მაგრამ ქმარი, ალბათ, განგებ ყვებოდა მათ ერთადერთ შვილზე, რათა სხვებს ცივად და სასტიკად გაემეორებინათ ქალისთვის ის სიტყვები, რომლებსაც თვითონ უკვე მრავალი თვე ეუბნებოდა, მას შემდეგ, რაც მათი ვაჟი გაიწვიეს. სანუგეშოდ კი არ ეუბნებოდა, არამედ ბედთან შესარიგებლად, ეს კი შეუძლებელი იყო. ასეც მოხდა, მგზავრები გულგრილად შეხვდნენ მონათხრობს. ერთმა თქვა:

- ღმერთს უმადლოდეთ, ჩემო ბატონო, რომ მხოლოდ ახლა მიჰყავთ თქვენი შვილი! ჩემი, მაგალითად, ომის პირველი დღიდან ფრონტზეა. იცით, რომ დაიჭრა კიდეც? უკვე ორჯერ. კიდევ კარგი, რომ ერთხელ მკლავში, მეორეჯერ - ფეხში. თანაც მსუბუქად. ერთი თვე შვებულება მისცეს და მერე ისევ ფრონტზე უკრეს თავი. სხვამაც თქვა:

- მე ორი შვილი მყავს ფრონტზე და სამიც ძმისშვილი.

- ჰო, მაგრამ დედისერთა ბიჭი... - შეკამათება სცადა ქმარმა.

- მაგას ნუ იტყვით! - გააწყვეტინეს უხეშად. - დედისერთას მეტად ანებივრებენ, მეტად კი არ უყვართ! ბევრ შვილს თითო ნაჭერ პურსაც თუ გაუყოფ, უკვე კარგია. მაგრამ მამის სიყვარულს ვერ გაყოფ, თითოეულს მამა ყველაფერს აძლევს, რამდენიც შეუძლია. და თუ ახლა ვიტანჯები, სანახევროდ კი არ ვიტანჯები ერთისთვის და სანახევროდ - მეორისთვის. ორივეზე მისკდება გული.

- მართალია, ჰო, ეს მართალია, - გაუბედავი ღიმილით დაეთანხმა საწყალობელ და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქმარი, - მაგრამ ერთი აქეთაც მომისმინეთ... (ახლა ვსაუბრობთ და ყველას ჯვარი გვწერია) დავუშვათ, შემთხვევით... არა, თქვენია არა, ბატონო ჩემო... დავუშვათ, რომ მამა, რომელსაც რამდენიმე შვილი ჰყავს ომში, ერთ მათგანს დაკარგავს (ყველას ჯვარი გვწერია-მეთქი!), მეორე ხომ მაინც დარჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი!

- ჰო, მართალია. თანაც ამ მეორისათვის უნდა იცოცხლოს, - მაშინვე დაეთანხმა წარბშეკრული თანამოსაუბრე, - ეს ნიშნავს, რომ თქვენ... არა, თქვენ კი არა, ერთი ვაჟის მამას, თუკი შემთხვევით შვილი დაეღუპება, შეუძლია თავიც მოიკლას, რადგანაც რაღა უნდა უყოს დარჩენილ სიცოცხლეს? მე კი, - გამიგეთ? - ჩემს ციცოხლეს უნდა გავუფრთხილდე ამ მეორის ხათრით. ასე რომ უარესი ისევ ჩემი შემთხვევაა!

- აბა, ეს რა ლაპარაკია?! - იფეთქა ამ დროს კიდევ ერთმა მგზავრმა, მსუქანმა და სახეაჭარხლებულმა. თან იქაურობას დიდი და წყალ-წყალა, ჩასისხლიანებული თვალები მოავლო. ქოშინებდა, თითქოსდა გაჭირვებით მოჯახირე სიცოცხლის ძალა, რომელსაც მისი ფორმადაკარგული, ვეება სხეული შიგნით უკვე ვერ იტევდა, გამორწყვით ემუქრებოდა მის თვალებს. პირზე უშველებელი ხელი აიფარა, თითქოსდა მოულოდნელად გაახსენდა ორი კბილი რომ აკლდა, მაგრამ მერე ამაზე აღარ დაფიქრებულა და მრისხანედ განაგრძო:

- რა, ბავშვებს ჩვენთვის ვაჩენთ თუ რა?

ყველამ კისერი დაიგრძელა, კარგად შევხედოთო. პირველმა, ვისაც ვაჟი ომის პირველი დღიდან ფრონტზე ეგულებოდა, ამოიოხრა:

- ეჰ, რა თქმა უნდა, სამშობლოსათვის...

- ეჰ, გააჯავრა მსუქანმა მგზავრმა, - თქვენ, ბატონო ჩემო, ასე ცალყბად რომ ამბობთ მაგას...

შვილო ჩემო, გაგაჩინე,
მამულს მსხვერპლად რომ შეგწირო

სისულელეა! რანაირად? - თქვენ რა, მამულზე ფიქრობთ, როცა შვილი გიჩნდებათ? სასაცილოა! ბავშვები იმიტომ კი არ იბადებიან, ორმ თქვენ გინდათ, იმიტომ იბადებიან, რომ უნდა დაიბადონ! ჰოდა თან მიაქვთ ცხოვრება, მარტო საკუთარი კი არა, - ჩვენიც. ესეც თქვენი სიმართლე. ჩვენ ვართ მათთვის, ისინი კი არ არიან ჩვენთვის. და როცა ოცი წლისანი ხდებიან... ერთი დაფიქრდით, ისინიც ხომ სწორედ ისეთები არიან, ჩვენ რომ ვიყავით ოცი წლისანი. დედაჩვენი ცოცხალი იყო, მამაჩვენიც. მაგრამ ათასი სხვა რამეც იყო ირგვლივ: ცუდი ჩვევები, გოგოები, ახალი ჰალსტუხები, ილუზიები, სიგარეტი და სამშობლოც. ოცი წლისა ვიყავით მაშინ და შვილებიც არ გვყავდა. და მაშინ რომ მამულს ებრძანებინა, ერთი მითხარით, მამაზე და დედაზე მეტი იქნებოდა ჩვენთვის? ახლა, ჩემო კარგო, ორმოცდაათისა და სამოცისა ვართ. მამულიც არის, კი ბატონო, მაგრამ ჩვენს შიგნით ახლა შვილების სიყვარულზე მეტი არაფერია. რომელი ჩვენგანი არ წავიდოდა საბრძოლველად შვილის მაგიერ, რომ შეეძლოს? ყველანი! რატომღა არ გვინდა გავიგოთ ჩვენი ოცი წლის შვილების გრძნობები? ჩვენი შვილებისა, რომლებსაც, რადგან ჟამმა დარეკა, ახლა ჩვენზე მეტად უყვართ სამშობლო? მე, გასაგებია, კარგ შვილებზე გეუბნებით, რადგან სამშობლოს თვალში ჩვენც შვილები ვართ, მოხუცი შვილები, რომლებიც შინ უნდა ისხდნენ. ასე ჯობია. თუკი სამშობლო არსებობს, თუკი ეს სამშობლო ისეთივე ბუნებრივი აუცილებლობაა, როგორც პური, რომელიც ყველამ უნდა ჭამოს, ვისაც შიმშილით სიკვდილი არ უნდა, საჭიროა, რომ ვიღაცა წავიდეს მის დასაცავად, როცა ჟამი დარეკავს. ჰოდა, ოცი წლისანი მიდიან, მიდიან იმიტომ, რომ არ უნდა წავიდნენ და არ სურთ ჩვენი ცრემლების დანახვა. არ სურთ, რადგანაც თუ კვდებიან, კმაყოფილნი და გულანთებულნი კვდებიან (ისევ კარგ შვილებზე მოგახსენებთ, გასაგებია!). ჰოდა თუკი კმაყოფილნი კვდებიან და ამ გაძაღლებულ ცხოვრებას არ ხედავენ, ყველა თავისი იმედგაცრუებით, სიმწარითა და საზიზღრობით, ამაზე მეტი რაღა გვინდა? კი არ უნდა ვიტიროთ, უნდა ვიცინოთ... ან მე როგორც ვტირი - კმაყოფილებით, დიახ ბატონებო, რადგანაც ჩემმა შვილმა შემომითვალა, რომ სიცოცხლე მან ისე დახარჯა, რომ უკეთესს ვერც ინატრებდა. და რომ ბედნიერი მოკვდა, და რომ მე შავი არ უნდა ჩამეცვა. ჰოდა, ბატონებო, ხომ ხედავთ, რომ არც მაცვია.

თავისი ღია ფერის ქურთუკი გადასწია საჩვენებლად. ნაკლულ კბილებს ზემოთ გალურჯებული ტუჩები უთრთოდა. წყალ-წყალა თვალები ეცრემლებოდა. სიცილით დაასრულა, რომელიც ქვითინადაც შეიძლება მოსჩვენებოდა კაცს:

- ხედავთ?.. ხედავთ?..

მანდილის ქვეშ დამალული დედა, ყველაფერში, რასაც ქმარი და სხვებიც ეუბნებოდნენ, რათა ვითომ ბედთან შეერიგებინათ, სამი თვის განმავლობაში ეძებდა ხელჩასაჭიდს, ერთადერთ სიტყვას, რომელიც მისი ყრუ ტკივილის ბნელ სიღრმეში რაიმე გამოძახილს იპოვიდა, გააგებინებდა, თუ როგორ უნდა შერიგებოდა იმ აზრს, რომ მის შვილს სიკვდილი კი არა, მხოლოდ სიცოცხლის საფრთხე ემუქრებოდა. მრავალთა და მრავალთა ნაუბარში მსგავსი ვერაფერი მოიძია. ამიტომაც მიაჩნდა, რომ სხვები მხოლოდ იმიტომ ანუგეშებდნენ და არწმუნებდნენ, ბედს შერიგებოდა, რომ თვითონ ვერ გრძნობდნენ, რასაც იგი გრძნობდა.

ამ მგზავრის სიტყვებმა კი თავბრუ დაახვია, სულ მთლად დააბნია. უეცრად მიხვდა, რომ არა თუ სხვებს არ ესმოდათ მისი წუხილი, არამედ თვითონ ვერ გაეგო, თუ რას გრძნობდნენ სხვები და რანაირად შეეძლოთ შერიგებოდნენ არა თუ შვილების ომში გამგზავრებას, არამედ თვით სიკვდილსაც კი.

თავი ასწია, ვაგონის კუთხიდან წამოიმართა, რათა ყური დაეგდო იმ პასუხებისათვის, მსუქანი რომ სცემდა თანამგზავრებს, თუ როგორ და როდის დაიღუპა მისი შვილი. განცვიფრდა, ეგონა, თითქოს ჯერაც უცნობ სამყაროში აღმოჩნდა, რომელსაც ახლა პირველად ხედავდა, რომ სხვებს არა მარტო ესმოდათ, არამედ აღაფრთოვანებდათ კიდეც იმ მოხუცის ქცევა, ულოცავდნენ, რომ ასე შეეძლო საუბარი საკუთარი შვილის სიკვდილზე.

უეცრად დაინახა, რომ ხუთივე მგზავრის სახეზე იგივე განცვიფრება გამოიხატა, როცა თვითონ თითქმის უნებურად, თითქოსდა ჯერაც ვერაფერს მიმხვდარიყო, ფეხზე წამოხტა და ჰკითხა მოხუცს:

- ესე იგი... ესე იგი, თქვენი ვაჟი დაიღუპა?

მოხუცი შემობრუნდა და თავისი საშინელი, უზომოდ გახელილი თვალები შეანათა. შეხედა, შეხედა და უეცრად, თავის მხრივ, თითქოსდა მხოლოდ ახლა, ამ შეუსაბამო კითხვამ, ამ უადგილო გაკვირვებამ მიახვედრა - ბოლოსდაბოლოს შვილი მართლა დაღუპული რომ ყავდა - მოიბუზა, უკან დაიხია, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სხვათა შეცბუნებული და აღელვებული მზერის ქვეშ მწარე, გულსაკლავი და შეუკავებელი ქვითინი აუტყდა.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკული გაკვეთილი

მიხეილ ქვლივიძე

ამერიკაში ხანმოკლე ყოფნის დროს, ერთი კაცი გავიცანი: მილიონერი, სამედიცინო აპარატურის დამამზადებელი ფირმის პრეზიდენტი. ეროვნებით რუსი, არისტოკრატი, გვარად გიაცინტოვი. პაპამისი ნიკოლოზ მეფის ადიუტანტი ყოფილა და ბოლშევიკებს დაუხვრეტიათ. მათი ოჯახი პარიზში გაქცეულა. კირილე (ასე ერქვა ჩემს მასპინძელს) იქ დაიბადა.

კარგა ხანია ამერიკაში ცხოვრობს. ცოლიც ჰყავს, შვილებიც, მაგრამ ახალგაზრდა მეუღლე თავისი საქმით არის გართული (კოსმეტიკით, ჩაცმა-დახურვით), შვილები კი მსოფლიოში მიმოიფანტნენ და მამამ არც იცის, სად ცხოვრობენ... სანამ ვახშმად დავსხდებოდით, სახლი დამათვალიერებინა. ავტოფარეხიც მაჩვენა, სადაც სამი მანქანა იდგა. მის კაბინეტში რომ შევედით, სასწორზე მიმითითა და "მიდი, აიწონეო!" მითხრა. სასწორზე შევდექი და დავიკუზე, რომ შემეხედა, რამდენს ვიწონიდი, მაგრამ კირილემ არ დამანება, უხილავ ღილაკს თითი დააჭირა და ჩემს ცხვირწინ კედელში ჩამალული უხილავი მიკროფონის ხმა გავიგონე "თქვენი სიმაღლე ამდენია, ამდენ კილოგრამს იწონით, სასურველია დიეტა დაიცვათ!" გაოცებისგან პირი გავაღე, მაგრამ შევეცადე გაკვირვება არ მეჩვენებინა და ესღა ვთქვი: ახლა თქვენ აიწონეთ-მეთქი. კირილეს მიკროფონმა სხვა ტექსტი შესთავაზა: ჭამას უმატეთ, წონაში რომ მოიმატოთო (ის ჩემზე დაბალი იყო)! როცა კომპიუტერულ სასწორთან თამაშს მოვრჩით, აივანზე გაშლილ სუფრას მივუსხედით. მაგიდაზე სასმელ-საჭმელების გარდა, რამდენიმე ტელეფონის აპარატიც იდგა. "გინდათ, მეცხრამეტე საუკუნეს დაგალაპარაკოთ?" - მოულოდნელად მკითხა მასპინძელმა. მინდა-მეთქი. "პარიზში ბიცოლაჩემი ცხოვრობს, 104 წლისაა. ახლავე შეგაერთებთ. "მან ნომერი აკრიფა და ყურმილს ჩასძახა: "გამარჯობა, ელიზა! ახლა ერთ ქართველს დაგალაპარაკებ, მოსკოვში ცხოვრობს და, ალბათ, გესიამოვნება მასთან საუბარი..." ყურმილი გამოვართვი და მოხუცი ქალის მთრთოლვარე ხმა გავიგონე: "გამარჯობათ, ჩემო ბატონო! ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ და ნუ დამძრახავთ, თუ გეტყვით, რომ ძალიან მშურს თქვენი, რადგან რუსეთში ცხოვრობთ... მე სულ იმას ვნატრობ, სანამ ცოცხალი ვარ, ერთხელ მაინც გამატარა პეტერბურგში, მანახა ნევის პროსპექტი, პეტერგოფის შადრევნები..." ალერსიანად მესაუბრებოდა, თან იმ საუცხოო რუსულით, თვით რუსებსაც რომ დავიწყებული აქვთ... და მე მეჩვენებოდა თითქოს მართლა მეცხრამეტე საუკუნიდან მესმოდა მისი ხმა, ხოლო მოხუცის უკანასკნელი გამოსამშვიდობელი სიტყვები "Храни Вас, Господь!" - ახლაც ჩამესმის ყურში...

კირილესთან სტუმრობა ამით არ დამთავრებულა. წასვლის წინ, ცოტა რომ გავშინაურდი, ვკითხე: - "უზრდელობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ხომ არ მეტყოდით როგორ მიაღწიეთ ყოველივე ამას რაც გაგაჩნიათ: სახელს, მატერიალურ მდგომარეობას?" ჩემმა მასპინძელმა გაიღიმა, მეგობრულად მხარზე ხელი დამადო და დაიწყო: "თქვენ, ჩემო ძვირფასო, საბჭოთა კავშირში ცხოვრობთ თუ ცხოვრობდით (ამას მნიშვნელობა არ აქვს), ამიტომ შეიძლება არ დაიჯეროთ, რასაც გიამბობთ, "კაპიტალისტურ პროპაგანდად" მოგეჩვენოთ! არა, გეთაყვა, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. რა ძალა მაქვს მოგატყუოთ, ჩვენ ხომ ვერასდროს ველარ შევხვდებით, მე



უკვე მოვხუცდი, თქვენც ახალგაზრდა არ ხართ... ერთი სიტყვით, მე და ჩემი უმცროსი ძმა პარიზიდან ამერიკაში რომ ჩამოვედით, ძალიან გაგვიჭირდა. ფული არ გვქონდა, მშობლებიც არ გვეხმარებოდნენ, საკუთარი თავი თვითონ უნდა გვერჩინა... ჯარისკაცური ფეხსაცმელი ჩავიცვით და დავიწყეთ კარდაკარ სიარული, სამუშაოს ვეძებდით. თითქმის მთელი ქვეყანა მოვიარეთ, შტატიდან შტატში გადავდიოდით, ხან მიწას ვთხრიდით, ხან ტყეს ვჩეხავდით, ხან საქონელს ვუვლიდით... რას არ ვაკეთებდით?! თითო დღის სამყოფ გასამრჯელოს გვაძლევდნენ და ამით ვკმაყოფილდებოდით. ახალგაზრდები ვიყავით, უდარდელები, მეტი რა გვინდოდა... ერთხელ აქ, ნიუჯერსის შტატში, ვილაც ბიზნესმენის სახლთან შეშას ვჭრიდით. მოულოდნელად ფანჯრიდან სახლის პატრონმა გამოიხედა და დამიძახა: მანდ, საფოსტო ყუთში წერილები იქნება და ამომიტანეო. მივუტანე. ჩემი თანდასწრებით ერთი კონვერტი გახსნა და სინანულით თქვა: ფრანგულად წერია, მე კი ფრანგული არ ვიცი, ხვალამდე უნდა მოვიცადო, სანამ ოფისში მივალ და თარჯიმანს გამოვიძახებო. ფრანგული მე ვიცი-მეთქი. "საიდან?" - გაუკვირდა ბიზნესმენს, რადგან ღარიბულად მეცვა და განათლებულ კაცს არ ვგავდი. საფრანგეთიდან ვარ, პარიზში ვსწავლობ-მეთქი და იქვე, სახელდახელოდ ვუთარგმნე წერილი, თან ზოგიერთი ჩემი მოსაზრებაც გამოვთქვი იმ საკითხზე, რასაც წერილი ეხებოდა. ნასწავლი ყმაწვილი ყოფილხარ, ჭკუაც გიჭრის, შეშის ჩეხვა რა შენი საქმეაო?! - მითხრა ბიზნესმენმა. - მოდი ხვალ ჩემთან ოფისში, რამეს მოვიფიქრებთო... იმ დღიდან შეიცვალა ჩემი ცხოვრება. სუფთა სამუშაოც მომცეს, კარგი ხელფასიც დამინიშნეს, ბინის საკითხიც მოგვარდა... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ორ წელიწადში იმ ბიზნესმენის თანაშემწე გავხდი, ბოლოს კი, როცა იმდენად გავმდიდრდი, რომ მისი ფირმის აქციები შევიძინე, მთელი კონცერნი ჩემს ხელში გადმოვიდა და ახლა ფირმის პრეზიდენტი ვარ!

- კი, მაგრამ... ასე რატომ გწყალობდათ ის ბიზნესმენი? იქნებ დაუნათესავდით, მისი ქალიშვილი ცოლად შეირთეთ? - არა, ბატონო, - მომიგო კირილემ, - უბრალოდ, ჩემს პატრონს, მის ფირმასაც ხელს აძლევდა ჩემთან თანამშრომლობა: კარგი სპეციალისტი ვიყავი და როგორ შემელეოდნენ? მე ხომ მათ მოგებას ვაძლევდი?!"

შინ რომ დავბრუნდი, დიდხანს არ დამეძინა. სულ კირილეს ნაამბობზე ვფიქრობდი... და გამახსენდა ჩემი საუბარი ვახუშტი კოტეტიშვილთან, როცა მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებული, სამუშაოს ვეძებდი და ყველგან უარით მისტუმრებდნენ. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, პირიქით, მუდამ მოკრძალებულად ვაფასებდი ჩემს შესაძლებლობებს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცოდი: ჩემთვის ყველაზე შესაფერი სამუშაო რუსული ჟურნალის "ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორობა იქნებოდა! ამ ჟურნალში ხელმძღვანელობა ბევრჯერ შეიცვალა, მაგრამ რედაქტორის ადგილი ჩემთვის არავის შეუთავაზებია. რაში იყო საქმე? განა "ზევით" (ცეკაში თუ მწერალთა კავშირში) არ იცოდნენ, რომ ჩემზე უკეთეს კანდიდატურას ვერ ნახავდნენ? მე ხომ 35 წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდი და სულ რუსულ პრესასთან მქონდა საქმე?!. და როცა ვახუშტის გავუზიარე ჩემი გასაჭირი, მან მითხრა: "შენ არასდროს არ დაგნიშნავენ "ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორად. იცი, რატომ? იმიტომ, რომ შენზე უკეთესი კანდიდატურა არ არსებობს, შენ ამ საქმისთვის ხარ გაჩენილი! ჩვენში კი როგორ ხდება? თანამდებობაზე ან ნაცნობობით ნიშნავენ, ანდა ქრთამით. პროფესიული მომზადება არავის აინტერესებს. პირადად შენ სოფლის მეურნეობის მინისტრად უფრო გაგამწესებენ, ვიდრე ჟურნალის რედაქტორად, რადგან პირველ შემთხვევაში, შენ, როგორც უვიცი, ვალდებული იქნები უხმოდ დაემორჩილო და ემსახურო იმათ, ვინც მინისტრის პოსტი "გიწყალობა", ხოლო მეორე შემთხვევაში, შენ, როგორც პროფესიონალი თვითნებობას გამოიჩენ და ფეხებზე დაიკიდებ იმათ, ვინც რედაქტორად დაგნიშნა!.. მიხვდი, რას ვამბობ?"

მივხვდი, ჩემო ვახუშტი! სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ მართალი იყავი და მე შუბლით კედელს ტყუილად ვასკდებოდი, მაინც არაფერი გამომივიდა: უმუშევარი დავრჩი და სულმნათ ოთარ ნოდიას რომ არ მიველე მთარგმნელობით კოლეგიაში, ალბათ, მეცა და ჩემს ცოლ-შვილს შიმშილით სული ამოგვხდებოდა!

არილი

Л.Г.

თომას ვულფი

# მე 38 წლის ვიყავი



ვულფს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ თომას მანი და უილიამ ფოლკნერი; ჰერმან ჰესე კი მის პირველ რომანს "სახლს მოხედე, ანგელოსო"(1929) აფასებდა როგორც "თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის უბრწყინვალეს ნიმუშს".

ვულფს კოლრიჯის პოეზია უყვარდა, იგი მისთვის იდეალად იქცა და არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა სასტუმროს რეგისტრატურაში ხელი სემიუელ ტეილორ კოლრიჯის სახელით მოუწერია. გული უთრთოდა ბუკინისტური წიგნის მაღაზიაში შესულს, აღმერთებდა პიტერ ბრეიგელს. იგი მუდამ ახლის ძიებაში იყო, ეძიებდა ახალ წიგნებს, ახალ სახელებს, ახალ სიტყვებს, ახალ ამერიკას. თომას ვულფი 38 წლის ასაკში გარდაიცვალა მენინგიტით.

დღევანდელ "პერსონას" თომას ვულფის უბის წიგნაკიდან ამოკრებილი ფრაგმენტებით დავიწყებთ, წარმოდგენას შეგიქმნით მწერლის თვალსაწიერზე და საშუალებას მოგცემთ, საკუთარი გემოვნებაც შეამოწმოთ.

* * *

რამდენ ამერიკელს შემიძლია შევხვდე, ვიდრე ოცდაათისა გავხდები: 1000 - დღეში, 365 000 - წელიწადში X 8 = 2 920 000, ეს კი ნამდვილად არაა საკმარისი.

* * *

მე მქვია ვულფი, მე ამერიკელი ვარ.

* * *

დავიბადე 1900 წელს, ახლა 26-ის ვარ. საუკეთესო, რაც ამ დროის განმავლობაში დაიწერა ინგლისურ ენაზე - ჯოისის "ულისეა".

მიმაჩნია, რომ საუკეთესო ბალადა გ.კ. ჩესტერტონის კალამს ეკუთვნის - "ლეპანტო".

საუკეთესო ეპიკური პოემა ჯონ მეისფილდმა შექმნა - განსაკუთრებით ეს ეხება "უხეირო მხატვარს", "მდინარეებს" და "ბაისტრიტელ ქვრივებს".

სატირული ეპიგრამის ყველაზე დიდი ოსტატი - ჰამბერტ ვულფი.

მწერალი, რომელიც სხვებზე უკეთ ანიჭებს მარტივ წინადადებას განუმეორებელ ხიბლს - სერ ჯეიმს ბარი.

უდიდესი და ყველაზე მრავალმხრივი პროზაული ტალანტი - ჰ.დ.უელსი.

ყველაზე გულმოდგინე ოსტატი მათ შორის, ვინც წიგნს წიგნზე წერს - არნოლდ ბენეტი.

საუკეთესო ესეისტი - ბელოკი.

რეალიზმის ურყევი გიგანტი - თეოდორ დრაიზერი.

ყველაზე ეკონომიური, დეტალებზე თავგადაკლული მწერალი, რომელიც სიყალბეს არ აჭაჭანებს - გულსუორსი.

საუკეთესო პიესა პოეტური თვალსაზრისით - "ვაჟკაცი დასავლეთის სიამაყეა" (ჯონ მილინგტონ სინგი).

საუკეთესო პიესა თავისი ხატოვანებით - ჩესტერტონის "ჯადოქრობა".

ყველაზე გამჭრიახი და იუმორისტული პიესა - "მაიორი ბარბარა" (ჯორჯ ბერნარდ შოუ).

საუკეთესო დრამატურგი - შოუ

პროზაიკოსი და დრამატურგი, რომელიც ყველაზე მეტად გვიცრუებს იმედებს - სომერსეტ მოემი.

საუკეთესო ნოველისტები - შერვუდ ანდერსონი და ა.ე.კოპარდი.

საუკეთესო ჟურნალისტი - ს.ლუისი.

ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდა მწერალი - ო.ჰაქსლი.

ყველაზე დახვეწილი კრიტიკოსი - ტ.ს.ელიოტი.

კრიტიკოსი, რომელიც დიდი თვალსაწიერით და მახვილგონივრობით გამოირჩევა - გ.ლამენკენი.

საუკეთესო მწერალი ქალი - მეი სინკლერი.

მას ვ.ვულფი მოსდევს.

შემდეგ - უილა კეზერი.

საუკეთესო პოეტესა - ჰ.დ.(ჰილდა დულიტლი).

## თანამედროვე ახალგაზრდის ბიბლიოთეკა

პლატონის "ფედონი", გოეთეს "მოგზაურობა იტალიაში", დოსტოევსკის "იდიოტი", ჰეროდოტეს "ქრონიკები", კლაისტის "პენტესილეა", პოს მოთხრობები, იბსენის "პერ გიუნტი", ზოლას "ჟერმინალი", ჰარდის პოემები, შექსპირის "ჰამლეტი", ჯოისის "ულისე", ბალზაკის "შაგრენის ტყავი", გოეთეს "ფაუსტი", სტრეჩის "დედოფალი ვიქტორია", სუინბერნის ლექსები და ბალადები, სტრინდბერგის "მამა", როლანის "ჟან კრისტოფი", რაბლეს "გარგანტუას ისტორია", ფრანსის "პინგვინთა კუნძული", რიდის "მონასტერი და მშობლიური კერა", ბაირონის "დონ-ჟუანი", გოლსუორსის "მესაკუთრე", ფილიპ სუპოს "ნიკ კარტერის სიკვდილი", შპენგლერის "ევროპის დაისი", ჰაინეს ლირიკა, ძმები გრიმების ზღაპრები, თომას მანის "ბუდენბროკები", კნუტ ჰამსუნის "შიმშილი", გეორგ კაიზერის "ოქტომბრის დღეს".

* * *

საკვირველია - ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე მწერალთაგან ბევრი უკვე საფლავშია - პლატონი, რაბლე, ვოლტერი, სვიფტი, დონი, ბლეიკი, მელვილი.

* * *

მე 28 წლის ვარ. ამ დროის მესამედი მეძინა, დანარჩენი ორი მესამედი ვჭამდი, ვსწავლობდი, ვოცნებობდი და შიგადაშიგ ვწერდი.

## 1914-29 წლების დიდი ამერიკელი პოეტები

მასტერსი, ფროსტი, რობინსონი, კრეინი, ლინდსეი, სენდბერგი, პაუნდი, ტ.ს.ელიოტი, გ.სტაინი, ემი ლოუელი, ე.უაილი, მილეი, ჯეფერსი, ე.ე.კამინგსი.

ამ დროის მანძილზე რამდენიმე პროზაიკოსმა თუ შეძლო ასეთ სიმაღლეებამდე ასვლა, თუმცა, ზოგადად, ისინი პოეტებზე ნიჭიერები არიან: დრაიზერი, კეიბლი, კეზერი, ლუისი, ჰემინგუეი, ჰერგესჰაიმერი, უელსი, ბენეტი, ვ.ვულფი, ო.ჰაქსლი, გოლსუორსი.

## "მოდერნისტები"

***(ინგლისურენოვან ლიტერატურაში)***

ჯოისი, სტაინი, სიტუელი, კამინგსი, კრეინი, პაუნდი, ელიოტი, გილესპი, ჰელდი, ტეიტი, კაული, პოლი, ჯოლასი, ვ.ვულფი, ა.მაკლიში, ტეინი, მ.მური, რ.გრეივსი, ლაურა რაიდინგი, კ.ბერკი, უ.კ. უილიამსი, ჰერბსტი, დიამანტი, ჰერმანი, უინდჰემ ლუისი, კ.ბოილი.

## "თანამედროვე მწერლები"

ჰემინგუეი, ლუისი, ანდერსონი, დრაიზერი, დ. გარნეტი, ო.ჰაქსლი, ფ.ფერიანკი, სენდბერგი, კელეგენი, ლიტონ სტრეჩი, კონრად ეიკენი.

## წიგნები, რომელთა გარეშეც კაცობრიობა ვერ იარსებებდა

"დონ კიხოტი", "ფაუსტი", "ომი და მშვიდობა", "ჯოჯოხეთი", "ბალახის ფოთლები", ყველაფერი, რაც შექსპირს დაუწერია.

* * *

ფოლკნერი 38-ის ან 39-ისაა, ჰემინგუეი 38 ან 39-ის, ფიცჯერალდი 39-ის, კოლდუელი 32 ან 33-ის, მე 34 წლის ვარ.

* * *

ხალხი, ვისაც მიაჩნია, რომ "არ კითხულობენ არაფერს, საუკეთესოს გარდა", სულაც არ არიან სნობები, ისინი ბრიყვები არიან.

პუბლიკაცია მოამზადა **მეგი ლორიამ**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

# თომას ვულფი საუბრობს ლიტერატურაზე

თომას ვულფის ნაფიქრი და ნააზრევი ლიტერატურის შესახებ ერთ მსხვილ ტომს შეადგენს. ამ ნააზრევის მიხედვითაც კარგად ჩანს ამერიკელი მწერლის ნატურა: ბობოქარი ტემპერამენტის მარადმაძიებელი კაცი. ეს ჩანაწერები, ესეები, ბარათები თუ სხვა სახის ფრაგმენტები ბევრად არ განსხვავდება მისივე რომანებისა თუ მოთხრობებისგან. აქაც თავბრუდამხვევი ექსპრესიაა, აზრის სხარტი მოძრაობა, ფრაზების წარღვნა. აშკარაა, რომ ჩვენს ხელთაა წერას ატანილი კაცის ნაფიქრ-ნაგრძნობი, რომელიც გავარვარებული ლავასავით იფრქვევა ყოველწამიერად.

თომას ვულფმა ჰარვარდის ბიბლიოთეკაში წლინახევრის მანძილზე დანთქა მთელი მსოფლიო კლასიკა. ამგვარი სულმოუთქმელობა მისი ცხოვრების სტილი იყო. შთაგონების, ე.ი. ნამდვილი თავდავიწყების გარეშე მას არაფრის კეთება არ შეეძლო. თუმცა ლიტერატურულ საქმიანობაზე და უშუალოდ მწერლობაზე როცა საუბრობს, იმასაც ამბობს, რომ მწერალი შთაგონებას არ უნდა დაელოდოს, ვინაიდან მწერლობა ყოველდღიური ჭაპანწყვეტაა. როგორც ჩანს, სწორედ ამგვარი ჭაპანწყვეტის პროცესში ეწვეოდა მას მუზა და საშველს არ აძლევდა. მერე კი წერდა და წერდა...

მაქსუელ პერკინსი იგონებს: "ერთხელ დილაუთენია, ჩუმ და ცარიელ ორმოცდამეცხრე ქუჩაზე ნენსი ჰეილს თავის ბინიდან ვიღაცის მელოდიური ბანი შემოესმა. ხმა ძლიერდებოდა, ქალი ფანჯარას მიუახლოვდა. ფანჯრის გასწვრივ, ქუჩაში, მამაკაცის მოუხეშავი ფიგურა შენიშნა, იგი ცეკვავდა, შავი შლიაპა ეხურა და ფართო, გახსნილი ლაბადა ეცვა. ეს ტომი იყო, მოზეიმე და გამარჯვებული, მხიარულად მოღიღინე: "მე დღეს დავწერე ათი ათასი სიტყვა. მე დღეს დავწერე ათი ათასი სიტყვა". ბევრი დრო კვლავინდებურად ცდილობდა მის დამარცხებას, მაგრამ იმ დღეს ტომმა იმარჯვა..."

მაქსუელ პერკინსმა შესანიშნავად იცოდა, თომას ვულფის შემოქმედების უმთავრესი მამოძრავებელი აზრი დროსთან ბრძოლა იყო. არა მხოლოდ რომანებში, არამედ რომანებზე საუბრისასაც კი ამერიკელი მწერალი დროში არსებობის პრობლემას უბრუნდებოდა. თუმცა ძნელია აქ პრობლემაზე ილაპარაკო. ეს ცნება, ალბათ უადგილოა, ვინაიდან დრო მისთვის ზოგადი და სიმბოლური კატეგორია უფრო იყო. დრო მისთვის მეტაფორად იქცა, რომელიც ძალიან მრავლისმომცველი გამოდგა და ადამიანიც მის საბურველში გაეხვია.

თომას ვულფს ლიტერატურაზე საუბრისას თავისი მხატვრული მეთოდის დადგენა არ უცდია. ალბათ იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ არ მიაჩნდა დასრულებულად ამგვარი მეთოდის დადგენის პროცესი. საერთოდ მისი საუბრები ლიტერატურაზე უდიდესი თავმდაბლობით გამოირჩევა. ეს თავმდაბლობა იმ პრეტენზიის პირდაპირპროპორციულია, რომელსაც ვულფი მწერლობას და მწერლის სახელს უცხადებდა. "მე მწერალი ვარ, ყოველ შემთხვევაში, მინდა ვიყო მწერალი. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ მწერალი ის ადამიანია, ვინც ყველანაირი თვალსაზრისით მუშაკობს. განსაკუთრებით - ფიზიკური თვალსაზრისით". ამ სიტყვებში კარგად ჩანს, თუ რა არის ვულფისეული გაგებით მწერლობა. მწერლობა, ყველაფერთან ერთად ფიზიკური შრომაა. ამ თეზას, ჩემი აზრით, ვულფი იმათ საპირისპიროდ, იმათ გასაგონად წარმოთქვამს, ვისაც ლიტერატურული საქმიანობა მხოლოდ ზეშთაგონებად, მხოლოდ ღვთის ნაბოძებ ფუფუნებად მიაჩნია. სტუდენტებთან შეხვედრისას ვულფი ამბობს: "მე თქვენთან მოვედი პირდაპირ სახელოსნოდან, სადაც დიდხანს და ბეჯითად ვირჯებოდი". საერთოდ, ამერიკელი მწერლის საუბრები ლიტერატურაზე სტილური თვალსაზრისით სრულიადაც არ განსხვავდება მისივე მხატვრული ნაწარმოებებისგან. ბიბლიური პათეტიკა და სიმბოლიკა აქაც იჩენს თავს. კერძოდ, მწერლობაზე საუბრისას, ცხადია, რომ ვულფისთვის არსებითია ოფლისღვრით ლუკმა-პურის მოპოვება, რაც ცოდვითდაცემის შემდეგ მიუზღო ღმერთმა ადამიანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწერლობა ისეთივე საქმიანობაა, როგორიც ყველა სხვა. ამიტომაც შრომობს ასე თავგადადებულად თომას ვულფი. მისთვის არჩეული საქმე ცხოვრების საზრისის მოპოვების ტოლფასია.

ორიოდე სიტყვა ბიბლიასთან ნათესაობაზე. ამერიკელი მწერალი ამბობს: "ამ ზაფხულს ბიბლიის კითხვისას აღმოვაჩინე, რომ ეკლესიასტე, იობის წიგნი, ქებათა-ქება იმას გადმოგვცემს, რასაც მე ოცდაათი წელი ბუნდოვნად ვგრძნობდი. მე არამცთუ ვერაფერს ვუმატებ იქ ნათქვამს, არამედ განცვიფრებული ვარ ამ არაჩვეულებრივი პოეზიის სიბრძნით და მშვენიერებით. ამავე დროს, ვგრძნობ საკუთარ არარაობას". სხვაგან ნათქვამი აქვს: "სიკვდილის წინ ვალტერ სკოტმა მოითხოვა: "წიგნი!" როდესაც მას ჰკითხეს, თუ კერძოდ რა წიგნი სურდა, პასუხი არ დაუყოვნებია: "წიგნი ამქვეყნად მხოლოდ ერთია". და ის აბსოლუტურად მართალი იყო. ბიბლია შექსპირზე მაღლამდგომია და მდიდარი".

ამ ბარათებიდან ამოკრეფილ დაკვირვებებში კარგად ჩანს თომას ვულფის ნატურა - ის უმაღლეს ღირებულებებს ეთაყვანება, მაგრამ არა ბრმად, არამედ წრფელად. მას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მიეცა ნიჭი ამ ღირებულებათა გაგებისა, მაგრამ ეს არ მომხდარა ერთბაშად. ვულფი სიყმაწვილიდანვე ეძებს თავის მძაფრი ტემპერამენტისთვის და ღრმა სულიერებისთვის გასასვლელ გზებს. თოთხმეტი წლის ასაკიდან ის იწყებს წერას. წერს უმთავრესად პიესებს. რატომღაც სურს დრამატურგობა, მაგრამ ამ ასპარეზზე ხელი მოეცარება. მიუხედავად ამისა, ეს პერიოდი უმნიშვნელოვანესია - იქმნება უამრავი ლექსი, ჩანაწერი, დღიური.

თომას ვულფის პიროვნებად ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მარგარეტ რობერტსმა. ეს ქალი კერძო სკოლის მასწავლებელი გახლდათ და მწერალს ბავშვობიდანვე აიძულებდა ეკითხა ყველაზე უფრო სერიოზული წიგნები: "ილიადა" და "ოდისეა", შექსპირის დრამები, თეკერეის "ამაოების ბაზარი".

სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში სწავლისას უკვე ხორეს უილიამსმა მიაქცია ნიჭიერ ჭაბუკს ყურადღება. სწორედ ამ პიროვნებამ შთააგონა ვულფს მარადიულ "დაწყევლილ" საკითხებზე მუდმივი ფიქრი. ვულფის მოთხოვნილებები მწერლობის მიმართ ძალზე მკაცრია. ის გაუთავებლად ადგენს ვრცელ რეესტრებს, ჩამონათვალებს, თავისებურ წერილობით კატალოგებს, სადაც ცდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს შეარჩიოს მსოფლიო ლიტერატურის ოკეანედან უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები. ეს რეესტრები სხვადასხვა ნიშნით არის შედგენილი. ფაქტობრივად, აქ სერიის ნიშნებია აღნუსხული. ვულფი მწერალთან ერთად გამომცემელიც რომ ყოფილიყო, ალბათ ამ სერიული ნიშნებით გამოსცემდა წიგნებს: "თანამედროვე ყმაწვილის ბიბლიოთეკა", "ამერიკული ლიტერატურის საუკეთესო დღევანდელი წარმომადგენლები", "თანამედროვე მწერლები, რომლებსაც ყველაზე მეტად კითხულობენ ევროპაში" და სხვა და სხვა. აქვეა ჩამონათვალი, სადაც რჩეულთა შორის რჩეული მწერლები და ნაწარმოებებია წარმოჩენილი.

თომას ვულფი აზარტული მოთამაშესავით ადგენს გაუთავებელ კატალოგებს და მწერალთა კლასიფიკაციის სენით არის შეპყრობილი. ეს მისი თვითგანათლების ეტაპია, რომელიც, რასაკვირველია, წერასთან ერთად ავსებდა მისსავე მრავალსაათიან სამუშაო დღეს. სიტყვა "თავდაუზოგავი" კარგად გამოხატავს თომას ვულფის ნატურას, მაგრამ აქვე უნდა მოვიხმოთ ეპითეტი "შეპყრობილი" ან "წერას ატანილი", ვინაიდან ამ კაცის თავდაუზოგაობა ოცდაოთხი საათის მანძილზე თითქმის განუწყვეტელი იყო. თუმცა თვითონ უკეთ იცოდა ყოველივე: "ჩემი ტვინის, გულის თუ მეხსიერების ერთი უჯრედი დღეიდან მარადიულად ენთება - დღისითაც და ღამითაც, ძილშიც და ღვიძილშიც; მატლი გაძღება, სინათლე გამოსხივდება და ვერავითარი წამალი, ვერც პური და ვერც წყალი, ვერც მეგობრობა და ვერც მოგზაურობა, ვერც სპორტი და ვერც ქალი ვერ გამამრთელებს. ვიქნები ასე განუკურნელი ამ სნეულებისგან, სანამ სიკვდილი არ წამაფარებს ბნელ საფარველს".



ასე იბადება მწერალი თომას ვულფი და რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, ის თვითონ ადევნებს თვალს საკუთარ თავის მწერლად დაბადებას. მას არ შეუძლია არ მიადევნოს თვალი უცნაურ და მშვენიერ აქტს, რომელიც დროშია გაშლილი. თომას ვულფის ესეისტიკა, კერძოდ კი "ერთი რომანის ისტორია" სწორედ ამ თემაზეა დაწერილი. ეს თემა მუდმივად ბრუნავს ამერიკელი მწერლის ცნობიერებაში, ვინაიდან მისი პროზა ავტობიოგრაფიულია, მწერლად დაბადებაზე მნიშვნელოვანი კი სხვა აბა რა უნდა მოხდეს. ეს აქტი თომას ვულფისთვის მეხსიერების ფანატიკური, ექსტაზური გამოფხიზლებით იწყება. ვულფმა თავის ხანმოკლე ცხოვრების - ოცდათვრამეტი წლის მანძილზე ოთხი რომანი დაწერა: "სახლს მოხედე, ანგელოსო", "დროის და მდინარის შესახებ", "აბლაბუდა და კლდე", "შინ ვერ დაბრუნდები". ეს ოთხივე რომანი, ფაქტობრივად ერთი წიგნია, ერთი ვრცელი ტილოა, თვალუწვდენელი პანორამა, რომელშიც უკვე მირაჟივით გამქრალი, არარსებული წარსულისკენ არის გაჭრილი მზერა. ეს არის გაუთავებელი ხეტიალი მეხსიერების ყველაზე მიუვალ ტალანებში, სადაც ყველაზე უფრო შორეული ნივთიც შეიძლება მოიხელთო, რაც იმის მტკიცება იქნება, რომ წარსული ნამდვილად იყო. ამიტომაც დაეძებს თომას ვულფი მეხსიერების კლოაკაში გამუდმებით არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ საგნებს, ხმებს, ფერებს. ვულფი წერს: "ჩემს ვრცელ ჩანაწერებში არის სექციები, რომელთაც იდუმალი და საერთო სათაური აქვს - "სად არის ახლა?" ეს რუბრიკა აერთიანებს იმ საგნების მოკლე აღწერებს, რომელთაც მხოლოდ ერთხელ გაიელვეს ჩვენს თვალწინ, ერთხელ და შემთხვევით, და მერე სამუდამოდ დარჩნენ ჩვენსავე გულში და მეხსიერებაში". ამის შემდეგ ჩამოთვლილია ზოგიერთი საგანი, მოვლენა თუ ჩქამი, მოულოდნელად რომ იჩინა თავი და მოულოდნელადვე გაუჩინარდა. აქ არიან, რა თქმა უნდა, ადამიანებიც - ნაცნობები და უცნობები - რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ თვალს მიეფარნენ და სიცარიელის ვეებერთელა გრძნობა დატოვეს.

თომას ვულფის სამყარო არ არის აბსტრაქტულ-პოეტური, ზოგადი და ამორფული, ის ყოველთვის ახერხებს თავისი პოეტური წარმოდგენების გასაგნებას, ჭვრეტითი, მეხსიერებაში აღბეჭდილი ხატების კონკრეტიზაციას. პირველი ორი რომანის - "სახლს მოხედე, ანგელოსო", "დროის და მდინარის შესახებ" - მთავარი გმირია იუჯინ განტი, ბოლო ორი რომანისა - "აბლაბუდა და კლდე", "შინ ვერ დაბრუნდები" - ჯორჯ უებერი. ეს ორი სხვადასხვა სახელის მქონე გმირი დროში არ თანხვდება ერთმანეთს, შინაგანი თვისებებით კი ბევრით არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თომას ვულფის, როგორც მწერლის და ადამიანის მეტამორფოზა თანმიმდევრულად განხორციელდა და აღიბეჭდა კიდეც ამ რომანებში. ბოლო რომანში კი ("შინ ვერ დაბრუნდები") მან თითქოს თვითონვე შეკრა წრე და მთელი თავისი მანამდე განვლილი გზა აქცია მხატვრული რეფლექსიის საგნად. აქ ვულფი თითქოს ფარულად ეკამათება კიდეც თავის მუდმივ ოპონენტებს, რომელთაც მისი რომანების საბედისწერო ნაკლად ამორფულობა და ავტობიოგრაფიულობა მიაჩნდათ.

ადრევე ჩანდა, რომ თომას ვულფი მხოლოდ პოეტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





რი წარმოდგენებით არ ავსებდა ცარიელ ფურცლებს. ამ წარმოდგენებს და ვიზუალურ ხატებს მწერლის ცნობიერებაში მოძრავი აზრი ამკვრივებდა და ამთლიანებდა. აი, ვთქვათ, რას ამბობს ის რომანზე "სახლს მოხედე, ანგელოსო": "იდეა, მთავარი ლეგენდა, რომლის გამოხატვასაც მე ვესწრაფვოდი ამ წიგნში, უცვლელი რჩებოდა. ეს იყო იდეა მამისმაძიებლობისა. ამგვარი ძიებაა ადამიანური არსებობის საფუძველთა საფუძველი. მამა სიბრძნის და სიძლიერის ხატია".

ბოლო რომანში უკვე აშკარად გაშლილია და გაღრმავებული ეს აზრი. ამავე დროს, თომას ვულფი დაუფარავად ჰყვება ყველაფერს საკუთარ თავზე და პირველი, უმნიშვნელოვანესი რომანის შექმნის პროცესზე. აქვეა გამოყვანილი მაქსველ პერკინსი, მისი რედაქტორი, რომელსაც მართლაც უდიდესი წვლილი მიუძღვის რომანების კომპოზიციურ მოწესრიგებაში. რაც მთავარია, ამერიკელი მწერალი ყოველივეზე გულღიად ლაპარაკობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოპონენტების შემოტევებზე მეტად მას თავისი შემოქმედებითი მიგნებების სჯეროდა. ავტობიოგრაფიულობის გამოც არ გამოდევნებია ვულფი მოკამათეებს. ავტობიოგრაფიულობა განზოგადებული სახით მისთვის უფრო მწერლის ღირსებაზე მეტყველებდა, ვიდრე ნაკლზე. და ალბათ, ამას გაუსვა კიდეც მკვეთრი ხაზი ბოლო რომანის მეშვეობით.

XX საუკუნის ევროპელმა ავტორიტეტებმა მაღალი შეფასება მისცეს თომას ვულფის შემოქმედებას. ნიშანდობლივია თომას მანის აღტაცება და ჰერმან ჰესეს მწერლის პირველ რომანზე ნათქვამი: "ეს არის ამერიკულ ლიტერატურაში სხვა ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი". თუმცა, როგორც მრავალრიცხოვანი ჩანაწერები, წერილები და ესეები ადასტურებს, ამერიკელმა თომას ვულფმა სხვაზე არანაკლებ იცოდა საკუთარი თავის ფასი.

ზაალ სამადაშვილი

# მაშინ, ოცდახუთი წლის წინ...

ოდესღაც, თუ არ ვცდები, ოცდახუთი წლის წინათ, ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ცნობილმა თავისი უჩვეულო უნარით - პროზაული ტექსტების ზუსტად დამახსოვრებითა და მათი ზეპირად ციტირებით, წასაკითხად მომცა წიგნი და გადმოცემის მომენტში შემატყო, რომ ამ სქელტანიანი ტომის ავტორი და სათაური სრულიად უცნობი იყო ჩემთვის...

მაშინ, ოცდახუთი წლის წინ, ჩემი მეგობარი მოიქცა ისე, როგორც იქცევიან ხოლმე მსგავს სიტუაციაში ადამიანები, რომლებსაც სურთ დაგაინტერესონ იმით, რაც უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია თავად მათთვის...

და მომიყვა:

როგორ გააცოფა ამ წიგნის ავტორმა, ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ ნეშვილში დაბადებულმა ორმეტრიანმა ამერიკელმა თვით ადოლფ ჰიტლერი მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე თავისი აშკარა ანტიარიული საქციელით, შავკანიანი ჯესი ოუენსის თავგადაკლული გულშემატკივრობით...

როგორ მოიშველია მისი ავტორიტეტი ჰემინგუეისთან ფარულ პაექრობაში თავად უდიდესმა ავტორიტეტმა უილიამ ფოლკნერმა ორჯერ, პირველად, როცა ის ჰემინგუეის "მოქნილ" სტილს, მისი აზრით ალღოთი და "ვიღაც დამრიგებლების" დახმარებით გამომუშავებულს, საკუთარს, მძიმედ აღსაქმელს უპირისპირებდა და მეორედ, როდესაც რისკის ბრწყინვალებაზე, დასახული მიზნის გრანდიოზულობით გამოწვეულ დამარცხებებზე საუბრობდა, რაც საკუთარი სტილის ერთგულ ჰემინგუეის, მისი ღრმა რწმენით, განცდილი არ ჰქონდა. ორჯერვე, მე და ეგ კაციო, ბრძანებდა თურმე "ხმაურისა და მძვინვარების" დამწერი...

როგორ გამოაძახებინა იგი რეი ბრედბერიმ თავისი მოთხრობის პერსონაჟს, მილიონერ ჰენრი უილიამ ფილდს დროის მანქანის მეშვეობით 2257 წელს, უდიდესი მისიის შესრულების მიზნით, მარსზე მოგზაურობის აღსაწერად ორი თვით, მხოლოდ ორი თვით...

მერე ის წიგნი წავიკითხე და როგორც დამწყები პროზაიკოსების უმრავლესობას სჩვევია, ერთხანს მისი გავლენით ვწერე. უარვყავი მოკლე, მშრალი ფრაზები და მოვინდომე ერთ წინადადებაში, მაქსიმუმ ერთ აბზაცში ჩამეტია ის, რასაც მანამდე გვერდებს ვუთმობდი. შევეცადე "მეიძულებინა ენა, ეთქვა იმაზე მეტი, რისი გამოთქმაც შეეძლო და მეიძულებინა ტვინი, ჩაწვდომოდა ისეთ რამეებს, რისი გააზრებაც არ ძალუძდა..."

ეს მცდელობა დღემდე გრძელდება...

წიგნს, ჩემმა უფროსმა მეგობარმა რომ გადმომცა ოცდახუთი წლის წინ, ერქვა - "სახლს მოხედე, ანგელოსო", ხოლო მისი ავტორი გახლდათ მწერალი ტომას ვულფი, გარდაცვლილი 1938 წელს, პნევმონიით...


არილი

ჯეიმს მანდელი

# თომას ვულფი: მოგონებები



სამწერლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით ვულფს მყარი პრინციპები ჰქონდა. საუკეთესო დრო სამუშაოდ, მისი აზრით, ღამე იყო, როცა გარეთ ბნელა და სიმშვიდეა... ასევე მიაჩნდა, რომ ეს შრომა რეგულარული უნდა ყოფილიყო, დღეში ხუთი-თხუთმეტი საათი მაინც. "თხზვისას არ არსებობს ღვთაებრივი ზეშთაგონება, - ამბობდბა ვულფი, - იგი უმძიმესი სამუშაოა, ოფლი უნდა დაღვარო... ჩემს წიგნს წელიწადნახევარი შევწირე". ვულფი თვლიდა, რომ მწერლისთვის მთავარია თავის საქმის სჯეროდეს, რადგანაც "ამის გარეშე შეუძლებელია წერა და თუკი ეს რწმენა გაქვს, სიცოცხლის მანძილზე ოცზე მეტი რომანის დაწერასაც მოასწრებ".

მაგიდაზე ყოველთვის ედო შექსპირის პიესების ერთტომეული, კითხვით გაცრეცილი, გვერდებშემოფლეთილი პატარა წიგნი და ზოგჯერ მთელ საათებს წინ და უკან დადიოდა და ხმამაღლა კითხულობდა ხოლმე ვრცელ ნაწყვეტებს. შემდეგ სამუშაოს უბრუნდებოდა გააფთრებული, საოცარი ენერგიით ანთებული და იწყებოდა სიტყვების თავგანწირული მდინარება, ნაკადები, რომელთა შეკავებასა და თავისი გროსბუხების ფურცლებზე აღბეჭდვას ვულფი ვერც ასწრებდა; მას აუარება ასეთი საბუღალტრო წიგნი ჰქონდა, გროვებად რომ ეყარა იატაკზე თუ საკუჭნაოში და რომლებიც ჩრდილოეთ კაროლინის, ჰარვარდისა თუ ნიუ-იორკის უნივერსიტეტებში ყოფნის პერიოდებში შექმნილი პიესებით იყო სავსე. იქვე იყო აუარება, "მოცალეობის" ჟამს დაწერილი ლექსები, ესეები და მოთხრობები - თვითგამოხატვის უკეთესი ხერხის ძიებისას ამ ადამიანმა ყველა ჟანრი გამოცადა და ბოლოს ყველაფერს რომანი არჩია.

ეს გროსბუხები გაურკვეველი, გაკრული ხელით ნაწერი ბატიფეხურით იყო გადაჭედილი! საათები ვუნდებოდი ხოლმე რამდენიმე გვერდის გაშიფვრას, ვიდრე გადავბეჭდავდი; იყო შემთხვევები, როცა თავად ვულფი ვერ



არჩევდა თავის ნაწერს. ერთხელ, როცა ერთ-ერთ ასეთ პასაჟზე ვანთხევდი ტვინს, რამდენიმე გვერდით ადრე ნახსენებ ფაქტს გადავეყარე და ვულფს მივუთითე, ვკითხე საჭირო იყო თუ არა ასეთი გამეორება და ღირდა თუ არა მისი დაბეჭდვა. ორიოდე წუთი ხმა არ ამოუღია, თვალებში მიყურებდა, შემდეგ კი გაკაპასებულმა მითხრა: "დაბეჭდე, დაბეჭდე, რა თქმა უნდა!" იგი თვლიდა, რომ გამეორებას არასდროს მოაქვს ზიანი. თუკი წერისას მისმა გრძნობებმა ასე ისურვეს, ე.ი. წიგნშიც უნდა ყოფილიყო ეს გამეორებები. სიმართლე ითქვას, იგი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი, რაც ადამიანის მეხსიერებაში იყო დალექილი, წიგნებშიც უნდა შესულიყო. მისი რედაქტორები კი მისგან თავშეკავებას მოითხოვდნენ; ურჩევდნენ, არ მიეცა სიუჟეტისთვის ათას ერთი მიმართულებით გაქცევის საშუალება - მაგრამ ვულფი ვერ ერეოდა თავს. გამომცემლებისგან აღშფოთებული და განრისხებული ბრუნდებოდა, ამბობდა, მთელი თავი ამოიღესო რომანიდან და დასჯილი ბიჭუნასავით რამდენიმე დღე იბუტებოდა, მანამ, სანამ დათანხმდებოდა რედაქტორების წინადადებას და გააცნობიერებდა, რომ ისინი შესაძლოა მართლებიც იყვნენ. ვულფისთვის სრულიად აუტანელი იყო ტექსტიდან გვერდების ამოღება; რაღა ხელფეხის ამპუტირება და რაღა ეგ, - ამბობდა იგი. გამომცემლები სანუგეშოდ საჟურნალო ვარიანტებად ბეჭდავდნენ ხოლმე დაწუნებულ თავებს, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ვულფს მაინც არ სჯეროდა მათი.

ვულფს უოლტ უიტმენის თავისუფალი, მედინი და მრავალნაკადიანი სტილი ხიბლავდა. როცა ვინმეს ნაწარმოებს შეაქებდა ხოლმე, იტყოდა: "აქ უიტმენისეული სივრცე და გაქანება იგრძნობა". ჰეივუდ ბრაუნის შესახებ თქვა ერთხელ: "ოდესღაც იმედისმომცემი ახალგაზრდა იყო, ახლა კი სრულიად უნაყოფო გახდა"-ო. ჯორჯ ბერნარდ შო ერთი მოკლე ფრაზით შეამკო: "პუბლიკას ღლის და საერთოდაც, ძალიან მოსაწყენი გაზდაო". რა აზრის იყო უხამს წიგნებზე? "პორნოგრაფიას არსებობის არანაირი უფლება არა აქვს, თუკი მასში ცხოვრების შემოქმედებითი ძალები არ ჩანს... მხოლოდ ჭუჭყისა და სექსისთვის შექმნილი წიგნები გულს მირევენ". უნდა იყოს თუ არა მწერალი ღრმა მოაზროვნე? "არა, დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დი მწერლები არასდროს ყოფილან დიდი მოაზროვნეები. ისინი თავისებურად ფიქრობენ, ესაა და ეს".

მისი საყვარელი მხატვრები ბრეიგელი და გოია იყვნენ, ვულფმა დიდი დრო გაატარა ევროპის სამხატვრო გალერეებში, სადაც მათ ტილოებს სწავლობდა. რატომ უყვარდა გოია? "იმიტომ, რომ მის ესკიზებშიც კი რაღაც ბოროტი გამოსჭვივის". ასეთ მოსაზრებას მხოლოდ ვულფისგან თუ გაიგონებდი.

რატომ უყვარდა მოგზაურობა? "ვმოგზაურობ, რათა თავი ვიპოვო. როცა ოცდაერთი წლის ვიყავი, მოგზაურობაზე ვოცნებობდი. მაგრამ ამ ასაკის ჯერ კიდევ არა ხარ მზად... ჯერ კიდევ არ ეძიებ ღირებულებებს... ახლა, როცა დაღლილობას ვგრძნობ და გაღიზიანებული ვარ, ევროპაში მივემგზავრები... მაგრამ ჩემი სახლი ნიუ-იორკია. ეს ქალაქი კულტურისა და დახვეწილობის ცენტრია. აქ ყველაფერია, რა გინდა სულო და გულო, მთავარია ფული გქონდეს. უფულოებს ეს ქალაქი მკაცრად ექცევა. როცა გავმდიდრდები, მხოლოდ აქ ვიცხოვრებ... საფრანგეთში ხალხი ფულის გარდა არაფერზე ფიქრობს. იტალიაში კიდევ უარესი. გერმანელები პატიოსანი ხალხია... ჩვენ ფულს ვფლანგავთ, ევროპელები კი დაჰკანკალებენ მას. აი, მხოლოდ ვენა! ვენელებს შეუძლიათ თავისუფლად, ლაღად ცხოვრება. უყვართ მუსიკა და შუბერტი (ვულფი ხშირად ღიღინებდა ხოლმე შუბერტის მიერ გოეთეს სიტყვებზე დაწერილ სიმღერას, რომელიც ოდესღაც ვენაში, შუბერტის ფესტივალზე მოუსმენია). დიახ, ვენელებმა მართლაც იციან ცხოვრების ყადრი - აგრძელებდა იგი - ვენელი, როცა მემკვიდრეობას მიიღებს თვეში ასოცდახუთდოლარიანი შემოსავლით, თავს ანებებს სამსახურს და დროს კინოში, კაფეებსა თუ ბორდელებში ატარებს... ვენელი მეძავები ხომ საუკეთესონი არიან მსოფლიოში. საფრანგეთში გულგრილი ქუჩის ქალები არიან, მოხერხება არ აკლიათ და დროს აფასებენ. მისი ალერსი მეთოდურია, თითქოს ხაზს უსვამენ, რომ ამ სიყვარულისთვის საათობრივად იხდით ფულს. ამერიკელი მეძავი, როგორც წესი, საქმიანია. დროს ისიც უფრთხილდება. მხოლოდ ვენელები არიან უდარდელნი, ისინი გულწრფელად გეალერსებიან, ცოტათი თითქოს უყვართ კიდეც თავიანთი "კლიენტი"".

მთელი ცხოვრება ვულფს მატარებლები უყვარდა. როცა მიწისქვეშა მატარებლები ჭრიალით უხვევდნენ და 14-ე ქუჩის სადგურს უახლოვდებოდნენ, ვულფის სხეული უეცრად რეზონატორად იქცეოდა ხოლმე; თითქოს ტოკავდა, როცა რკინის (ბორბლებისა და რელსების) ღრჭიალის გულგამაწვრილებელ, გამჭოლ ხმას ისმენდა.

ადამიანის საცხოვრისი ბევრ რამეს გეტყვით პატრონის შესახებ. 1929 წელს ვულფი ძველ და დიდ სახლში ცხოვრობდა 14-ე ქუჩის სიახლოვეს, 5-ე ავენიუს კუთხეში. ბინაში ორი ოთახი იყო, ერთი - უზარმაზარი, მობინადრის სიმაღლის შესაბამისი; ფართო სარკმლიდან შუქი მთელ ოთახს ეცემოდა; სარკმელთანვე იდგა სამუშაო მაგიდა, სადაც თეატრის მხატვრის, ელინ ბერნსტაინის ხელით დახატული კოსტუმებისა და დეკორაციების ესკიზები ელაგა. (სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ტომი არასდროს არაფერს ამბობდა ელინ ბერნსტაინის შესახებ, მაგრამ მისი არსებობა არავისთვის იყო საიდუმლო. იგი მაშინ წავიდოდა და მოვიდოდა, როცა მოისურვებდა. არაერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა აქეთ ოთახში დიდ მაგიდასთან ელინი ჩაჰკირკიტებდა თავის ესკიზებს, იქით კი, მეორე ოთახში, მე და ტომი ვმუშაობდით. ტომმა მითხრა, რომ ელინ ბერნსტაინი მას ქირას უხდიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ საბაბი იყო, რათა ამ ქალთან ერთად ცხოვრების მიზეზები აეხსნა).

ოთახის შუაგულში დიდი, მრგვალი მაგიდა იდგა ორი, ძველებური ხის სკამით. მაგიდაზე ერთმანეთში იყო არეული ქაღალდები, გროსბუხები, წიგნები, გაურეცხავი ჭურჭელი, ფერფლი, სიგარეტის ნამწვები და ჭიქები. იატაკი ყოველთვის მტვრით იყო გადაპენტილი. საკვირველია, როგორ გადიოდა ოთახიდან ოთახში ვულფი ისე, რომ არაფერს გამოსდებდა ფეხს... ავეჯიც მტვრიანი იყო. ფართო ტახტი, პირსაბანის გვერდით, ყოველთვის აულაგებელი მხვდებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ვულფს ფეხებზე ეკიდა ის, თუ როგორ გამოიყურებოდა მისი ოთახი. თავადაც ასეთივე შეუხედავი იყო იმ დღეებში, როცა წერდა - აჩეჩილი თმა, ჭუჭყი ფრჩხილებქვეშ, ბინძური ხელები, გაოფლილი პერანგი, გასაუთოვებელი შარვალი! ყოველთვის ფერმკრთალი ჩანდა. ეს ვულფი არაფრით ჰგავდა ადამიანს, ვინც მისი წიგნების სუპერიდან იმზირებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთ დაძაბულ დღეებში მაინც; რადგანაც, როცა იგი მუშაობდა, დაუდევარი და უგულისყურო ხდებოდა ხოლმე, როგორც ოდესღაც, ყმაწვილობისას, კაროლინაში.

მახსოვს, ერთ საღამოს გადაწყვიტა ჩაით გამმასპინძლებოდა. აადუღა წყალი, ფინჯანში დაასხა, ჩააგდო ჩაის პატარა პაკეტი და ფურცლებითა და წიგნებით გადაჭედილ მაგიდაზე დადგა. შემდეგ სიგარეტი გააბოლა და მანამ, სანამ ყლუპის გაკეთებას მოვასწრებდი, დაბნეულმა ფინჯანში ჩამიფერფლა!

ვულფი იმდენად იყო დანთქმული თავის თავში, რომ იშვიათად თუ გამოყოფდა თავს ნაჭუჭიდან, რათა მოყვასისთვის შეეხედა, დაკვირვებოდა. თავის ფიქრებში გართული, უცერემონიო და ეგოისტიც ხდებოდა ხოლმე. ტვინში მუდამ დუღდა და გადმოდიოდა იდეები... აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ფინჯანში ჩააფერფლა! ალბათ, საკუთარი თავისადმი სწორედ ამ ყოვლისშთანმთქმელი ინტერესით აიხსნება მისი არაჩვეულებრივი მახსოვრობა და ის სიზუსტე, რითაც იგი თავისი ცხოვრების დეტალებს აღწერდა.

და მაინც, მიუხედავად მკაცრი ხასიათისა, იგი სულის სიღრმეში მორცხვი ადამიანი იყო. ერთხელ, 1927 წელს, ევროპაში მოგზაურობის შემდეგ, უნივერსიტეტში გამოჩნდა; სამასწავლებლოში, სადაც ბლომად ხალხი ირეოდა, იქ მომუშავე ერთ-ერთ სტუდენტს ჰკითხა, წერილები ხომ არ არის ჩემს სახელზეო. სტუდენტმა გვარი ჰკითხა. მან

უპასუხა: "ვულფი". ახალგაზრდა ყმაწვილმა უბრალოდ გადახედა ასეულობით ყუთს და უთხრა: "თქვენს სახელზე არაფერია"-ო. ვულფმა შესანიშნავად იცოდა, რომ ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის მანძილზე აუარება წერილს მიიღებდა, მაგრამ გაბრუნდა და წავიდა. მას შერცხვა, ვერ მოიფიქრა, როგორ გამოსულიყო ამგვარი მარტივი სიტუაციიდან ისე, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინა უცნობი ადამიანისთვის... ამიტომაც ადგა და დატოვა იქაურობა!

თავისი გარგანტუასებრი გარეგნობის მიუხედავად, ვულფი ხშირად მაგონებდა ხოლმე პატარა მორცხვ ბიჭუნას. შინაგანად იგი ძალზე ფაქიზი ადამიანი იყო, საოცრად სამართლიანი. ხშირად მეკითხებოდა, ჰქონდა თუ არა ჩემი ვალი (მისი ნაწარმოებების გადაბეჭდვის საზღაურს გულისხმობდა). ამგვარი საზრუნავი ყოველთვის ტანჯავდა ვულფს.

რცხვენოდა თავისი ვეებერთელა აღნაგობისაც. ყოველთვის ეშინოდა, რომ მას ვინმე აწყენინებდა, ან რომელიმე უცნობი გამვლელი დასცინებდა ქუჩაში. მეტსახელები, რომლითაც ბავშვები აჯავრებდნენ ხოლმე, გულს ტკენდა. ერთხელ, როცა მოვუყევი, როგორ ვიტანჯებოდი ბავშვობაში ჩემი კოჭლობის გამო, ვულფმაც აღიარა, რომ მასაც ერიდებოდა თავისი გიგანტური ფიგურისა. მისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა გაგეცინა ვინმეს ფიზიკური ხინჯის გამო. "მაგრამ ხომ იცინიან! - წამოიყვირა ერთხელ ტომმა, - საშინელებაა, არა? მაგრამ მაინც იცინიან! უმრავლესობა იმიტომ, რომ პრიმიტივია, პირველყოფილი. გვიყურებენ, ხედავენ ჩვენს მოუქნელ სხეულებს, გიჟებივით ხარხარებენ და თანაც ამას ვერაფრით ვშველით". ბოლოს, აქაოდა ვხუმრობო, ტომმა შესძახა: "ჯანდაბას, შენ კოჭლი ხარ, მე - სპილო, მაგრამ ისინი ხომ ნაღდად გიჟები არიან!"

აი, ასეთს ვიცნობდი მე ტომას ვულფს.

თარგმნა გია შინდაგორიძე

არილი



ელინ ბერნსტაინი

ელიზაბეთ ჰარდუიკი

# ვულფის შემოქმედებითი ნიაღვრები



ზოგჯერ თომას ვულფის სახელი საგამომცემლო ისტორიასთან უფრო მძაფრ ასოციაციას იწვევს, ვიდრე ამერიკული ლიტერატურის მატიანესთან. ეს ფაქტი უმთავრესად - ვულფისა და მაქსუელ პერკინსის ურთიერთობას ეფუძნება. პერკინსი თავმდაბლურად ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობასა თუ პრივილეგიას - გაეკონტროლებინა და ფანქრით გადაეშალა რამდენიმე თუ - ათასობით სტრიქონი. თომას ვულფი კი დიდი ენერგიითა და არც თუ მომჭირნედ იყენებდა თავის მწერლურ ნიჭს და სტრიქონებს ფურცლებად აზვავებდა. ხშირად, პერკინსის მიერ შემოკლებული ადგილების გადასაბმელად ვულფი კვლავაც "საჭიროზე გრძელ" აბზაცებს თხზავდა.

თომას ვულფი, ოცდათვრამეტი წლის ასაკში, დასავლეთში მოგზაურობისას ფილტვების ანთებით დაავადდა და ბალტიმორში, ჯონ ჰოპკინსის საავადმყოფოში გარდაიცვალა. გიგანტურობა ვულფის ყოველმხრივ დამახასიათებელი ნიშანი იყო: ის იყო ექვსნახევარი ფუტის სიმაღლის, ტლანქი, მაგრამ შთამბეჭდავი, შესანიშნავი გარეგნობის და ამასთან - საშინელი ლოთი, ჩხუბისთავი, უზარმაზარი რომანების თხზვაში ღამეების მთენებელი. იგი დაუსრულებელ ძიებაში იყო როგორც მწერალი და როგორც ადამიანი. სახლიც ამიტომ მიატოვა და განუწყვეტლივ მოგზაურობდა. ვულფის ნაწერებში უჩვეულო სიხშირით მეორდება სიტყვები: "დაკარგულო, ო, დაკარგულო" და კიდევ - "შიმშილი"; შიმშილი - გამოცდილების, გადარჩენის, დიდებისათვის. მისი ამბავი - ყოველი ნაბიჯი, ოჯახი, ნათესავები, მატარებლის ლიანდაგები, გზად შემოყრილი სახეები, პეიზაჟები, ხმები, ხსოვნაში მოელვარე სურათები - ვულფის წიგნებში ნაკადივით მოედინება. ამასთან - ვულფი ნამდვილი სამხრეთელია - მისი დახასიათებისას ეს დეტალიც ყოველთვის საგულისხმოა.

თომას ვულფი ეშვილში, ჩრდილოეთ კაროლი-



ულიამ ოლივერ ვულფი, მწერლის მამა

ნის ერთ პატარა, სასიამოვნო ქალაქში დაიბადა. მთის ჰაერი აქ ტურისტებს მრავლად იზიდავდა და ქალაქი სავსე იყო დიდი და პატარა სასტუმროებით. მთელ ამ კომერციულ ქსელს თომას ვულფის დედამ ერთი ღარიბული, პატარა სასტუმრო "კენტუკი ჰოუმი" მიამატა, რომელსაც "სახლს მოხედე, ანგელოსში" ვულფმა "დიქსილენდი" უწოდა. რადგანაც მთის ჰაერი ჭლექიანებს არგებდათ, ეშვილს ფილტვებით ავადმყოფებიც ეტანებოდნენ.

თომას ვულფი ოჯახში უმცროსი ბავშვი იყო. შვიდი და-ძმა ჰყავდა. ერთ-ერთი, ძამიკო გროვერი ათი წლის ასაკში გარდაიცვალა. მამა, უ.ო.ვულფი წარმოშობით პენსილვანიიდან, ღარიბი ფერმერის ოჯახიდან იყო. ადრე დაობლდა და შეგირდად ქვისმთლელს დაუდგა. ხელი უბრალო საფლავის ქვების თლასა და ზედ დეკორატიული ბატკნების და ანგელოზების ამოჭრაში გაიწაფა. ეშვილში საცხოვრებლად ვულფი ჭლექით დაავადებული ცოლის გამო გადავიდა და სახლი აიშენა. ქალის გარდაცვალების შემდეგ მან ცოლად თომას ვულფის დედა შეირთო. მამა თავისი ხელობით მუშაობდა, მაგრამ ლოთობდა და ოჯახში სკანდალებს მართავდა. ხშირად, ქუჩიდან უგონოდ მოსულს ცოლი კარს არ უღებდა; და ასე - ორმხრივ სიძულვილში გრძელდებოდა მათი ქორწინება.

შვილის წიგნებში მამის სახე დრამატულია, ტკივილითა და მარტოობით გატანჯული. მისი სიკვდილის სურათი მწუხარეა, მაგრამ ფურცლებზე - მისი სიცოცხლეც იგივე წუხილითა და იმედგაცრუებითაა დამუხტული. ის საშინელი მამაა, თვითონაც - ბედისწერისგან დაშინებული. მის სასიკვდილო სარეცელთან:

"მრისხანებით სავსე ცხოვრებიდან, ძალისა და მღელვარებისგან კვალიც არ დარჩა - მისი ხელების გარდა. ხელები კი - კვლავაც — ქვისმთლელის გიგანტური ხელები იყო - ძველებურად ძლიერი, დაძარღვული და ბალნიანი და ახლა შემაძრწუნებელ კონტრასტს ქმნიდა - საფრთხობელას მომჩვარულ სხეულზე დაკრეფილი".

როდესაც მამის წარმომავლობა გაურკვეველია და უმჯობესიცაა - ჩრდილში დარჩეს, სამხრეთში (და ალბათ, ყველგან) მთელი მემკვიდრეობითი ტვირთი დედაზე გადადის-ხოლმე. ელიზა განტის ნამდვილი გვარი უესტოლი იყო. რომანებში ეს გვარი პენტოლდად არის მოცემული. მამამისი მაიორი პენტოლდი იყო. "პენტოლდების ოჯახი ნებისმიერი მკვიდრი ოჯახივით ძველი, მაგრამ ყოველთვის ღარიბი იყო და არისტოკრატიულობაზე პრეტენზიას არ აცხადებდა".

ელიზა განტი - ნაწარმოებებშიც და ცხოვრებაშიც - განსაკუთრებული ფენომენია. ის სამოქალაქო ომის წინ დაიბადა და თან დაჰყვა საქმიანი ქალის ყველა თვისება, როგორც ვთქვათ, ზოგიერთ გოგოს სილამაზე დაჰყვება ხოლმე. საკუთრება, უძრავი ქონება - მისი მოწოდება იყო. ქმრის საქმიანობას სკეპტიკურად უყურებდა: სიკვდილში ფული არ არის, ხალხი ძალიან ნელა იხოცებაო. 1904 წელს ელიზა ბავშვებთან ერთად სენტ ლუისში გაემგზავრა და იქ სცადა ბიზნესის წამოწყება, მაგრამ უშედეგოდ და ისევ ეშვილში დაბრუნდა (ნაწარმოებებში ქალაქს - ალტამონდი ჰქვია) და "დიქსილენდი" იყიდა, რომლის შეხუთული ჰაერიც ბავშვებს მცენარეებივით აჭკნობდა; მაგრამ არა თვითონ ლუიზას - სასტუმროს მეპატრონესა და მენეჯერს:

"დიქსილენდი" დიდი, უბრალო კონსტრუქციის სახლი იყო - თვრამეტი-ოცი მაღალჭერიანი ოთახით. დაუგეგმავი შენობის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ჭუჭყიან ყვითლად იყო შეღებილი... ზამთრობით ქარი ზუზუნებდა მის ღრიჭოებში... ოთახები პატარა ბუხრებით თბებოდა და როდესაც შეშას შეუკეთებდნენ, ქვემო სართულები ჭვარტლით, ხოლო ზემო სართულები - კვამლით ივსებოდა".

ამ აჩონჩხილ "სისხლიან თავლას", როგორც მას მამა უწოდებდა - ელიზა თავდაუზოგავი შრომითა და მომჭირნეობით მართავდა. ძუნწი ბუნება ჰქონდა და დამხმარედ ფერადკანიანები არ აჰყავდა. უკეთეს ოთახებს კარზე მიმაგრებული ჰქონდათ აბრა: "არა სნეულთათვის", მაგრამ "დიქსილენდის" კარი ყველასთვის ღია იყო. კლიენტის შესახებ, რომელიც საშინლად ახველებდა, დიასახლისი ამბობდა - უბრალოდ, ბრონქები აწუხებსო; საეჭვო ყოფაქცევის გოგოებს ის გართობისმოყვარე სასიამოვნო ახალგაზრდა ქალებს უწოდებდა. კლიენტების წასვლამდე ბავშვები სამზარეულოში სადილის ნარჩენებს ჭამდნენ და სხვენის ოთახებში ეძინათ. ავადმყოფი მამა ძველ სახლში ცხოვრობდა და თავის ქალიშვილებს, რომლებიც უვლიდნენ, ბუზღუნით მოძღვრავდა. იმ დროს პატარა ქალაქებში ეკლესიას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ვულფები პრესბუტერიანელები იყვნენ - ადგილობრივ მორწმუნეთა საშუალო ჯგუფს ეკუთვნოდნენ. ისინი ქედს უხრიდნენ უფრო მდიდარ ეპისკოპალინებს, მოწყალების თვალით უყურებდნენ მეთოდისტებს, ხოლო ბაპტისტებს ცხვირს უბზეკდნენ; თუმცა - ვულფების ოჯახი ეკლესიაში არც თუ მაინცდამაინც ხშირად დადიოდა. "სახლს მოხედე, ანგელოსო"-ში განტები ეშვილის შუაგულში ტყის პატარა ნაკვეთს ფლობდნენ და ჯგუფურად ცხოვრობდნენ.

თომას ვულფმა, რომელმაც იუჯინ განტი დაირქვა, ულრანი ტყიდან გამოაღწია და გასაოცარ წარმატებებს მიაღწია: იმდენს კითხულობდა და სწავლობდა, რომ ამ პატარა ქალაქში, იოლად მიიპყრო საჯარო სკოლი ინგლისურის მასწავლებლის ყურადღება (ინგლისურის მასწავლებელი: ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში ის არაერთხელ გამოჩნდება, როგორც მითიური ქმნილება, საბრალო ობლებისთვის გზის გამკვალავი). ქალაქში კერძო სკოლა გაიხსნა და ვულფიც იქ ჩარიცხეს. გადასახადის ხსენებამ ოჯახში ნამდვილი ჭექა-ქუხილი ატეხა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი თომასის სასარგებლოდ გადაწყდა. ახალი სკოლა, სადაც ლათინურს, შექსპირს, კლასიკურ ლიტერატურას სწავლობდა, ვულფმა წარჩინებით დაამთავრა. აქედან მოყოლებული, ის მხოლოდ წინ და ზემოთ მიიწევს. ოჯახში მის კოლეჯში გაგზავნაზე დათანხმდნენ. აქედან ვულფი პრინსტონში ან ვირჯინიის უნივერსიტეტში მოხვედრაზე ოცნებობდა, მაგრამ დედის სურვილის მიხედვით, სწავლას ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში აგრძელებს. და აი, "სახლს მოხედე, ანგელოსო"-ს ფინალში ვულფი ჰარვარდში წასასვლელად ემზადება. ამის შესახებ უკვე შემდეგ რომანში - "დროისა და მდინარის შესახებ" გვიამბობს.

როცა "სახლს მოხედე, ანგელოსო" გამოქვეყნდა, ვულფი ოცდაცხრა წლის იყო. ჰარვარდში იმ რწმენით წავიდა, რომ დრამატურგი გახდებოდა, მაგრამ მის პიესებს მოწონებით არ შეხვედრიან. თვითონ "სახლს მოხედე, ანგელოსოს" დაბეჭდვაზეც სამმა გამომცემელმა თქვა უარი და ბოლოს წიგნი "სქრიბნერს"-ში მოხვდა. აქ ნაწარმოებმა ინტერესთან ერთად პრობლემებიც აღძრა - "სიდიდესა და სხვა ნიუანსებთან დაკავშირებით". რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორც აღვნიშნეთ, ამ პრობლემების გადაჭრას, ტექსტის დამუშავებასა და გამოცემას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა და ამ პერიოდში მაქსუელ პერკინსის ვულფთან მეგობრობისა და პაექრობის შესახებ გაცილებით მეტია დაწერილი, ვიდრე იგივე გამომცემლის - ფიცჯერალდთან და ჰემინგუეისთან პროფესიული ურთიერთობის თაობაზე.

ფრაზა "ო, დაკარგულო" - ვულფის რომანის ყველა პერსონაჟსა და სახეს ეძლვნება. მთლიანად კი - ეს არის წიგნი იუჯინ განტის, მთიდან ჩამოსული გაუთლელი ბიჭის შესახებ, რომელიც:

"სრულ სიმარტოვეს ესწრაფვოდა. მის ბნელ წარმოსახვაში ზღვების, მიწის ქვეშ პირქუში ციხე-კოშკების, ელფების სამეფოები ჩამარხულიყო... აქ იგი "ცისტერნებიდან" ისუნთქავდა ჟანგბადს, მთის ფერდის ღრიჭოდან უთვალთვალებდა ქარიან გზებს, რომლებზეც შეიარაღებული კაცები მის კვალს დაეძებდნენ... მიწისქვეშა ტბებში მსუქან თევზებს დაიჭერდა; მიწის ვეებერთელა ქვევრები ღვინით ექნებოდა ამოვსებული... ის მსოფლიოს მოსტაცებდა უთვალავ საგანძურს, ულამაზესი ქალების ჩათვლით და მის სამყოფელს ვერასოდეს ვერავინ მიაგნებდა".

თომას ვულფი მოხეტიალე რაინდია, რომელსაც სდევნიან, ის კი - თავის მიწისქვეშა სამყაროში მშვიდად მიეცემა განცხრომას. ადრეული თავგადასავლებიდან მოყოლებული, ვულფი თავის ყოველ ნაბიჯს, ფანტაზიასთან შეზავებულს, წიგნებში ასახვას. თუმცა, ამ წიგნებში სხვა პერსონაჟებიც უხვად არიან, - ყველა და ყველაფერი, რაც მის წარმოსახვას აღაგზნებს: სკოლის მეპატრონე, მასწავლებლები, ჩეპელპილში ლოთობის ღამეები, "დიქსილენდის" მდგმურები, მისი და-ძმები, მათი მეუღლეები, გაცრუებული იმედები, ავადმყოფობები და სასიკვდილო სარეცლები.

იუჯინ განტის გარშემო ერთმანეთს ებრძვიან ცხოვრების წუთიერება და სიცოცხლით გაუმაძღარი ხალხი. თვითონ კი იგი გიგანტურ, აბსტრაქტულ გმირად ქცეულა:

"ის გრძნობდა, რომ მნიშვნელობა არა აქვს - კეთროვანის რა სამარცხვინო დაღიც არ უნდა დაჰქონდეს ხორცით, მასში არის სიჯანსაღე, სხვათა წარმოსახვის უნარს რომ აღემატება - რაღაც ცეცხლოვანი და სასტიკად დაჭრილი, მაგრამ ცოცხალი, რომელსაც ვერ ჩაძირავს მდინარის ეს საშინელი დინება; რაღაც სასოწარმკვეთი და ულმობელი, რომლის მიღმაც ფარული, ენით უთქმელი ვნებები იმალება და რომელიც აერთიანებს ამა სოფლის ყველა ტრაგიკულ მკვიდრს".

"სახლს მოხედე, ანგელოსო" ვულფმა მაშინ შექმნა, როცა ჰარვარდში უკვე დაცული ჰქონდა მაგისტრის ხარისხი და პროფესორების - ბეიკერისა და ლოუესის რეკომენდაციებით ვულფმა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კოლეჯში ინგლისურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. პირველი სემესტრის დასასრულს "ღარიბი ბიჭი" კვლავ სამოგზაუროდ გაეშურა: როგორღაც დედამისს სამოგზაუროდ ფული გამოსძალა. დაახლოებით ერთ წელიწადში ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია შემოიარა და დროის ეს მონაკვეთი შემდეგ მის წიგნად იქცა "დროისა და მდინარის შესახებ". შინისკენ მიმავალ გემზე ვულფი შეხვდა ელინ ბერნსტაინს, ნიუ-იორკელ, საკმაოდ ცნობილ სასცენო კოსტიუმების დიზაინერს. ამ ქალბატონმა, მოგვიანებით, საკუთარი თავის შესახებ "კლდე და ქსელში" ამოიკითხა. ბერნსტაინის დახმარებით ვულფმა პიესების დადგმა ხელახლა სცადა; შემდეგი ერთი სემესტრის განმავლობაში მასწავლებლობდა; მერე კვლავ საზღვარგარეთ იმოგზაურა და ამჯერად მოგზაურობის ხარჯები ელინმა დაფარა. და ბოლოს, დაიწყო "სახლს მოხედე, ანგელოსო"-ს წერა. წიგნი "სქრიბნერს"-მა მიიღო და წინააღმდეგობებით გატანჯული ავტორი მადლიერების გრძნობით დათანხმდა ნაწარმოების შეკვეცას. თუმცა, ეს ყოველივე გამომცემლობის ისტორიაში სისხლიან ფურცლად უნდა ჩაითვალოს.

ამ პერიოდში ვულფის შედარებით მცირე ზომის ნაწარმოებმა - "ბასკომ ჰაუკის პორტრეტი" Scribner's Magazine-ის კონკურსში გაიმარჯვა და 5000-დოლარიანი პრემია მიიღო. რაც შეეხება ვულფის, როგორც მასწავლებლის კარიერას, "ყველა მასწავლებელი ფიქრობდა, რომ ის მსახიობს ჰგავდა და ყველა მსახიობი ფიქრობდა, რომ ის მასწავლებელს ჰგავდა". ლექციების დროს სრულიად ბუნებრივად ჩაურთავდა ხოლმე თავისი მოგზაურობებისა და თავგადასავლების სურათებს. ხოლო თავის ნაწარმოებებში ვულფი, მიუხედავად ამდენი მოგზაურობისა და სწავლისა, კვლავაც სოფლელ ბიჭად რჩება და განაგრძობს სამყაროსთან საკუთარი ბავშვობიდან გამოყოლილი პრინციპებით ბრძოლას.

900-გვერდიანი "დროისა და მდინარის შესახებ", რომელიც "სქრიბნერსში" ასევე შეკვეცეს, კვლავ დამატყვევებელი, ნიაღვრად მომსკდარი ნიჭითაა შეთხზული. ამ წიგნშიც ყველაფერი გიგანტურია. წარმოსახვაში მწერალი. "ასობით ქუჩას შემოივლიდა, მილიონობით ადამიანის სახეს შეხედავდა, წარმოიდგენდა მდინარეებს, მინდვრებს, მთებს; ათი ათასობით მძინარე ქალაქს; ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყველაფერს თანადროულად ხედავდა". ეს არის გამოცდილების, ახალგაზრდული მღელვარებისა და ენის საზღვრებთან დაუსრულებელი ბრძოლის ნაკადი. თვითონ 60.000-ტონიანი, შინისკენ მიმავალი გემიც სიზმრისეულ მოჩვენებას ჰგავს, რომელსაც სილუეტს სიტყვები ანიჭებენ: "ის შორიდან იწოვს კონტინენტებს, ზღვასა და მიწას შთანთქავს, უცხო სამყაროდან შემოსულივით მოცურავს, ირწევა და ელავს ევროპის ნაზი, სველი ცის საფარველქვეშ".

"დროისა და მდინარის შესახებ" გვიამბობს საზღვარგარეთ ახალი მოგზაურობების, სასამართლო პროცესების, ელინ ბერნსტაინთან სასიყვარულო თავგადასავლისა და "სქრიბნერსთან" განხეთქილების შესახებ. ეს იყო ბოლო სქელტანიანი წიგნი, რომელიც ვულფის სიცოცხლეში გამოქვეყნდა. "კლდე და ქსელი" და "შინ ველარ დაბრუნდები" "ჰარპერის" მიერ ედუარდ ესვილის გარედაქტირებული ხელნაწერიდან გამოიცა. "სქრიბნერსთან" და მაქსველ პერკინსთან განხეთქილება ჩახლართული, დაძაბული ემოციებისა და ვითარების შედეგია: ვულფს მომდევნო წიგნებისათვის კონტრაქტი არ გაუფორმეს, არც თუ ხელსაყრელი ფინანსური პირობები შესთავაზეს და მთავარი მიზეზი კი ის გულისდაწყვეტა უნდა იყოს, რომელიც ვულფმა ჭორების გამო განიცადა. ამ ჭორების მიხედვით პერკინსი მისი ნაწარმოებების თანაავტორი თუ არა, ის პიროვნება მაინც იყო, ვინც ქაოსური, გამოუქვეყნებელი ფურცლები წიგნად მოაწესრიგა. "სახლს მოხედე, ანგელოსოს" ორიგინალური ვერსიის, "ო, დაკარგულოს" წინამდებარე გამოცემა ცხადყოფს, რომ ერთადერთი, რაც მას შეეძლო - თერძივით წიგნის საკუთარ თარგზე გამოჭრა იყო.

"კლდე და ქსელი" და "შინ ველარ დაბრუნდები" - თითოეული 700-გვერდიან წიგნად "ჰარპერის" მიერ ედვარდ ესვილის რედაქტორობით გამოიცა. მათში მთხრობელის სახე ვულფმა იუჯინ განტის მაგივრად ჯორჯ ვებერად შეცვალა, რადგან გამომცემლები და მიმომხილველები გამუდმებტთ აკრიტიკებდნენ მის წიგნებს "ზედმეტი ავტობიოგრაფიულობის გამო"... მოგვიანებით პერკინსმა ამ ცვლილებას "საშინელი შეცდომა" უწოდა.

წიგნში "კლდე და ქსელი" ესვილმაც საკუთარი ჩანართები გააკეთა. ეპილოგად ჩაამატა ვულფის დაუმთავრებელი და გაუგზავნელი წერილი. ხოლო მეორე ნაწარმოებში - "შინ ველარ დაბრუნდები" - რენდი შეპერტაინის სახელით ცნობილი პერსონაჟი მთლიანად ესვილის წარმოსახვის ნაყოფია. როგორც ვულფის ბიოგრაფი წერს: "ესვილის ჩარევამ სერიოზულად დააზიანა ვულფის ტექსტის მთლიანობა. არათუ საჭირო, ეს ჩარევა ლიტერატურული და ესთეტიკური თვალსაზრისითაც მიუღებელი იყო".

"კლდე და ქსელი" ვულფის მიერ საგამომცემლო და კრიტიკული შენიშვნების თავიდან აცილების მცდელობაა. წიგნი შენიღბულია გულგრილი თხრობითი ფორმით. აქ ჯორჯ ვებერს ახალგაზრდობაში "ბერს" უწოდებენ, მას ახალი ოჯახი ჰყავს - ჯოინერების გვარის, რითაც წინა წიგნებში მოცემული ელიზა განტის გვარი ჩანაცვლდა. ამ წიგნში იუჯინ გან-

ტი ჯორჯად, დედისერთად იქცა. დედის დაღუპვის შემდეგ იგი საცხოვრებლად ჯოინერებთან გადადის. ზრდის დეიდა მაუ, შინაბერა, "დაჟანგული იღბლის გვირგვინოსანი". შეცვლილია სკოლის სახელიც, ბევრი რამე გამოგონილია, მაგრამ იუჯინ განტვებერის აზირებული სურვილი უცვლელია - იგი ცდილობს თავისი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი აღბეჭდოს.

მწერლის უკანასკნელი წიგნები "კლდე და ქსელი" და "შინ ვეღარ დაბრუნდები" ვულფის სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ გვიამბობს. ელინ ბერნსტაინს ვულფი ევროპიდან შინ მიმავალ გემზე დაშორდა. ვულფმა ქალს წერილი მისწერა, რომელშიც შეხვედრას სთხოდა და ელინი დათანხმდა. ბერნსტაინი ცნობილი მსახიობის, ჯოზეფ ფრანკაუს ქალიშვილი იყო; კოსტიუმების დიზაინერის მშვენიერი კარიერა ჰქონდა, გათხოვილი იყო მდიდარ ბიზნესმენზე, ჰყავდა ორი შვილი, იყო თომას ვულფზე თვრამეტი წლით უფროსი და ებრაელი. რომანებში ის ესთერ ჯეკის სახელითაა ცნობილი და ვულფისთვის იგი: "მსოფლიოში ულამაზეს ქალად იქცა... ქმნილებად, რომლის სახესთან ერთადაც იგი წლების მანძილზე იხეტიალებდა ხალხით გადაჭედილ ქუჩებში".

ისინი მანჰეტენში თეატრალურ წარმოდგენაზე მიდიან და ვულფს, ჯერ კიდევ იმედით აღსავსე დრამატურგს, საბოლოოდ იპყრობს აუდიტორიის ზიზღი. ეს გადაპრანჭული ხალხი უეცრად მის მტრად იქცევა და "მზად არიან მთლიანად ამოთხარონ, გააპარტახონ მისი ნაწერები, თუკი ამის უფლებას მისცემს". ნიუიორკში ვულფს ხშირად იპყრობს დეპრესია. მისი შეყვარებული ერთადერთი ნათელი ქმნილებაა, "თითქოს სრულიად სხვა, უბრალო სიხარულის, სიტკბოებისა და ბუნებრიობის სამყაროს ეკუთვნოდეს".

ესთერ ჯეკი მხიარული, ენერგიული და ერთგული "ტყვეა სიყვარულისა". ჯორჯ ვებერის საცხოვრებელი ჭუჭყიანი და ნესტიანია. ქალი მისთვის მშვენიერ ბინას ქირაობს და თავისი სახლიდან მოტანილი ავეჯით აწყობს. ჯორჯისთვის, ფერმერის ცოლივით დიდებულ კერძებს ამზადებს, თან ცნობილი ადამიანებისა და მდიდრული წვეულებების შესახებ უამბობს. ჯორჯი კი, მას რომ უსმენს, იმაზე ფიქრობს, რომ ესთერს "შეუძლია, ყოველივე ამის ნაწილი იყოს", მაშინ როცა - "მოსახლეობის ნახევარი ჭუჭყსა და ნაგავში ცხოვრობს". ეს ფიქრი აეკვიატება, აცოფებს და ხანდახან მიუბრუნდება ქალს, მწარე ბრალდებებით, უხეში სიტყვებით ლანძლავს; აგინებს "მთელ ამ მილიონერი ებრაელებისა და დახვეწილი ესთეტიკოსების ბრბოს, რომლებსაც იგი ეზიზღებათ". ქალი პასუხობს: "მათ არც უყვარხარ და არც სძულხარ. მათ უმრავლესობას შენს შესახებ არც სმენია". ამ ადამიანების ურთიერთობა წყდება და ჯორჯი საზღვარგარეთ თავის მეშვიდე მოგზაურობას იწყებს. მიუნჰენში, სიმთვრალეში ატეხილი ჩხუბის შედეგად საშინლად არის ნაცემი.

"შინ ვეღარ დაბრუნდები" კვლავ ესთერ ჯეკს უბრუნდება. წიგნი უცნაური სურათით იწყება - ვულფის შეყვარებულის ქმრის, მისტერ ჯეკის აღწერით. კაცი 1929 წლის საბირჟო კრიზისამდე რამდენიმე დღით ადრე თავის მდიდრულ ბინაში, პარკ ავენიუზე იღვიძებს. აბაზანა, სადაც მისტერ ჯეკი პირს იპარსავს, სავსეა ათასგვარი ოდეკოლონებისა და კრემების კოლოფებით... შემდეგ ის დილის ვარჯიშს ასრულებს..." და ა.შ. ეს არის პორტრეტი წარმატებული ბიზნესმენისა, რომელსაც მაღალ საზოგადოებაში მყარი ადგილი უკავია, "ბუნებით დინჯი და მეგობრებისთვის საკმაოდ გულუხვი კაცია. ვულფის შინაგან სამყაროს კი, მის "სტრიქონებით მოწამლულ" ღამეებს სრულიად კონტრასტული კონფლიქტი გაუჩაღებია ყოველგვარ კომფორტთან და ძალაუფლებასთან. ის წერს მდიდრული წვეულების შესახებ, სადაც, ხანძრის დროს მდიდარი, მოხუცი ქალის გადასარჩენად ლიფტიორები იღუპებიან. ჯორჯისთვის ეს კვლავაც იმის შეგრძნებაა, "რომ სოციალური სტრუქტურის მთელი ეს ფუტურო პირამიდა - უბრალო ადამიანების სისხლს, ოფლსა და ტანჯვას ემყარება". ეს მისი ესთერი ჯეკთან განხეთქილების მომასწავებელია.

ელინ ბერნსტაინი ვულფს ებღაუჭება. თვითმკვლელობით იმუქრება, ამბობს, რომ მათი სიყვარულის დასასრული მაქსუელ პერკინსის ბრალია. წიგნის მიხედვითაც, ჯორჯ ვებერს უბედურება მოაქვს ესთერ ჯეკისთვის, მაგრამ ქალი მაინც გამარჯვებულია, რადგან ის არის კაცის ბედნიერების, რომანტიკული სიყვარულის, ნარცისობისგან თავისუფალი წუთების ერთადერთი მიზეზი.

ელინ ბერნსტაინის სიყვარულმა და ვულფის სტუდენტისა და შემდეგ - მეგობრის, ებრაელი აბრაჰამის სახემ მის ნაწერებში ანტისემიტიზმი შემოიტანა. არადა, მანამდე ვულფი ისე უყურებდა ებრაელებს, როგორც ნამდვილ საფრთხეს - მაშინდელ ამერიკაში ხელოვნებასა და ვაჭრობას რომ მთლიანად აკონტროლებდნენ.

და ისევ - ვულფი დაუსრულებლად უბრუნდება მშობლიურ სამხრეთს; მისი შემოქმედება თევზის ლაყუჩივითაა, გზადაგზა რომ ყლაპავს მის ოჯახს, ქუჩებს, მოქალაქეებს, ომის, ბრძოლების, სამხედრო სასამართლოების სურათებს, ევროპას, ამერიკას, ის მეტისმეტად ბევრ, გიგანტურ რაფსოდიას, ნაკადს მოიცავს, მკითხველს მრავალ აზირებას სთავაზობს. მთვრალი წიგნები აქვს, ზუსტად ისეთი, თვითონ რომ დაეხეტებოდა შუაღამის ქალაქში. და მაინც, მისი წიგნები გვატყვევებენ, რადგან ისინი დაწერილია მდიდარი, ნაყოფიერი ენით, უეცარი, ბრწყინვალე სახეებით, უჩვეულო უნარით - გზად შემხვედრი ყველა და ყველაფერი - სიტყვებად აქციოს.

2000

ინგლისურიდან თარგმნა ნინა პაპაშვილმა

## არილი



ალექსანდრ პიატიგორსკი

# წიგნის როლის ცვლილება საზოგადოებაში



მრავალი მათ შორის - ვინც დღეს მსჯელობს, თუ რა მოხდა XX საუკუნის ბოლო 30 წლის განმავლობაში და რამდენად ზემოქმედებს სრულიად ახალი საინფორმაციო საზოგადოების გლობალური სტრუქტურა წიგნის როლსა და სტატუსზე - თვლის, რომ ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში საზოგადოების კულტურული ცხოვრების არნახული გადატრიალება ხდება. თუმცაღა მე მინდოდა, ყურადღება გამემახვილებინა ადამიანის ცხოვრების კულტურაზე და არა იმაზე, რასაც დღეს ინფოკომუნიკაციას უწოდებენ (რადგან ეს სპეციფიკური ტერმინია), შემედარებინა ამ სფეროში მიმდინარე მოვლენები იმ პროცესებთან, რაც XV საუკუნეში ხდებოდა ევროპაში წიგნის ბეჭდვის გამოგონების შემდეგ.

ის, რაც ახლა ხდება, მახსენებს სხვა გადატრიალებას, თუმცა ეს სიტყვა არ შეეფერება დღევანდელ სიტუაციას. გადატრიალება ჩვენს კონტექსტში იმას აღნიშნავს, რომ შედარებით მოკლე ხანში შეიცვალა ტრადიციის ჩვეული გადაცემის საშუალებები, ანუ კულტურული ფასეულობები, შეიცვალა დროსა და სივრცეში ტექსტების თაობიდან თაობისთვის გადაცემის პრინციპებიც. გადატრიალება იყო ძველი, ზეპირი ტრანსლაციიდან წერილობითზე გადასვლა, რაც სულ ცოტა 3500 წელს გაგრძელდა (ქრონოლოგიური დიაპაზონით ჩვ.წ.აღ-მდე V ათასწლეულის დასასრულიდან IV-ის დასაწყისამდე და ლამის ჩვ.წ.აღით II ათასწლეულამდეც კი). ეს ძალიან საინტერესო ფენომენია. როცა ზეპირი გადაცემის ტრადიცია თანდათან წერილობითზე გადავიდა, იმდენად შეიცვალა ტრანსლაციის პირობები, რომ ახლა, ყოველი გამოცდილი ფილოლოგი, აღარ ვლაპარაკობ ტექსტოლოგზე, ტექსტის კითხვისას თითქმის მაშინვე დაინახავს, თავიდანვე დაიწერა იგი, თუ ზეპირი ფორმით არსებობდა და შემდეგ ჩაწერეს. ეს იყო საგრძნობი გადატრიალება, რადგან მან მიგვიყვანა ტექსტის მატერიალიზებასა და ფიქსაციამდე. მაგრამ რა ხდებოდა მანამდე? მე სპეციალურად მინდა შევჩერდე ტექსტის ზეპირად გადაცემისადმი კრიტიკულად განწყობილ ამ ძალზე საინტერესო ისტორიულ ვითარებაზე.

არსებობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე-მეოთხე ათასწლეულში ძველ ინდურზე ადრინდელი, ჩვენამდე მოუღწეველი ტრადიციები, სადაც ზეპირიდან წერილობით ფორმაზე გადასვლა მოხდა. როგორც ჩანს, ათეულობით თუ ასეულობით ტრადიცია არსებობდა, მათ შორის ძველეგვიპტურიც, რომელთა ზეპირი ტრანსლაციის სტილზე ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით.

მაგრამ როცა ვფიქრობთ ყველა ამ ტრადიციის არსებობაზე, გვეჩვენება, რომ კაცობრიობის ისტორიის რომელიღაც პერიოდში ყველაფერი ლოკალური იყო და ერთი კულტურული სივრციდან მეორეში ტრადიციის ტრანსლაცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ მისთვის წერილობითი ფორმის მიცემის შემდეგ. მე ვფიქრობ, ეს ასე სულაც არ იყო. ტრადიციის ზეპირი გადაცემის პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში საკმაოდ გახსნილი იყო, კულტურები ურთიერთშეღწევადნი იყვნენ, უბრალოდ, ტრანსლაცია სრულიად სხვა საშუალებებით ხორციელდებოდა. ამაზე ირიბად მიგვანიშნებს იეროგლიფურ, იდეოგრაფიულ და პიქტოგრაფიულ დამწერლობათა პირველი სისტემების გავრცელება. ახლა ფილოლოგისა და ლინგვისტისათვის აღარაა საიდუმლო ის, რომ როგორც ჩანს, ევროპულ, აფრიკულ, აზიურ კულტურულ სივრცეში დამწერლობის სათავედ იქცა შუმერი, საიდანაც იგი გავრცელდა, უეჭველად, არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ - ჩინეთშიც. ამგვარად, კულტურული ფასეულობების ტრანსლაცია დამწერლობაშიდაც ხორციელდებოდა წერილობითი ტექსტების გარეშე, საიდანაც თვით დამწერლობა გავრცელდა დაუწერელი ტექსტების ტოტალური სიჭარბის დროს, გადადიოდა რა ერთი ენიდან მეორეში. გარკვეული აზრით შეგვეძლო გვეთქვა, რომ არსებობდა "გლობალური" ინფორმაციის რაღაც, გასარკვევად განსაკუთრებით ძნელი სისტემა, თუმცაღა სიტყვა "ინფორმაცია" აქ ნაკლებად გამოდგება და არ მინდა, მოდის სასარგებლოდ იგი ბოროტად გამოვიყენო, როგორც ვიყენებთ ბოროტად სიტყვებს, რომელთა ზუსტი მნიშვნელობა დღეს ბევრმა არც იცის. მაგრამ სამაგიეროდ ასეთი სიტყვები ზოგავენ ჩვენს აზროვნებას: ისინი ჩვენ დაუფიქრებლად შეგვიძლია გავიმეოროთ. ამრიგად, ჩემი აზრით, ყოველმხრივ ნათელია, რომ დამწერლობამდელი პერიოდი გაცილებით თავისუფალი იყო ერთი კულტურიდან მეორე ტრადიციისა და მისი ელემენტების გადაცემის თვალსაზრისით.

თვით წიგნის, ანუ ნაწერის, შემდგომ უკვე წიგნის, როგორც ნაბეჭდი ტექსტის გამოჩენას მოჰყვა უმნიშვნელოვანესი გაგრძელება; მათ შორის, ერთი სრულიად თვალსაჩინოა: წიგნის გადაგზავნა დედამიწის ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი, ანუ წიგნის ბეჭდვა შემდგომი კულტურული ტრადიციების გლობალიზაციასთან მიმართებაში რევოლუციურ ნაბიჯად და, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნივერსალური კულტურისაკენ მოძრაობად იქცა. მეორე მხრივ (და ეს უფრო საინტერესოა), წარმოიშვა რა გეოგრაფიულად დაშორებულ სხვადასხვა სფეროებში, წიგნის კულტურა მნიშვნელოვნად დაცალკევდა. ეს ფაქტი კარგადაა ცნობილი ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთი აფრიკის ისტორიიდან. აღარაა საუბარი სპარსეთის, ინდოეთისა და ჩინეთის ანტიკურ კულტურებზე. თვითონ ტექსტის მატერიალიზაციის ფაქტს, მის ზეპირიდან წერილობით ფორმაში გადატანას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო მეტიც კი, ვიდრე ხელნაწერი ტექსტის ნაბეჭდ წიგნად გადაქცევის ფაქტს. მაგრამ, ამასთან ერთად, თვით ამ ფაქტს ცალკეულ კულტურათა ტექსტები არა მარტო გლობალიზაციისა და უნივერსალიზაციისაკენ მიჰყავდა, არამედ, რა თქმა უნდა, მათ განცალკევებამდეც, რადგან ნებისმიერი მატერიალიზება, ტექსტის მკაფიო ფიქსირება, მიუხედავად ამ ტექსტის დროსა და სივრცეში ნებისმიერი გადაგაადგილებისა, თავის თავში გულისხმობდა სპეციალიზაციის შესაძ-

ლებლობასაც.

ჩვენს დროში წიგნმა დაკარგა თავისი სპეციფიკა. მინდა, ყურადღება გავამახვილო ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე: ტექსტის დამწერლობამდელი მდგომარეობიდან წერილობითზე გადასვლა შეეხო მხოლოდ სპეციფიკურ ტექსტებს. ზოგი მათგანი ჩაიწერა, მეორენი ზეპირი ფორმით განაგრძობდნენ არსებობას. უფრო მეტიც, იყო აუარება ტექსტი, რომელიც ჩაწერას სხვადასხვა მიზეზით არ ექვემდებარებოდა, ანუ ის იყო ან საკრალური, საიდუმლო, ან იმდენად დაბალი დონის ყოფითი მნიშვნელობისა, რომ საჭიროც აღარ გახდა წერილობითი გაფორმება.

წიგნის განვითარება XV საუკუნიდან ევროპაში და ბოლოს და ბოლოს XIV საუკუნიდან ჩინურ-ტიბეტურ კულტურულ სივრცეში სრულიად ნათლად გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში წიგნი ტექსტის მატერიალიზების ისეთივე უნივერსალურ საშუალებად იქცა, როგორც კულტურის ფაქტებისა და ელემენტების მატერიალიზაციის სხვა საშუალებები. XX საუკუნის შუა წლებში ნაბეჭდი წიგნი კულტურის მატერიალიზაციისა და ფიქსაციის უნივერსალურ ფაქტორად იქცა. წიგნში შესაძლებელია ყველაფერი მოაქციო, რაც დღევანდელი გლობალური ინფორმაციის იდეას შეესაბამება. ახლა, როცა ყველა სასურველი ინფორმაციის შეტყობინება შესაძლებელია, წიგნმა დაკარგა თავისი სპეციფიკური დანიშნულება; როგორც კულტურის ტრანსლაციის ობიექტი, იგი საშიშროების წინაშეც დადგა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ კულტურის არც ერთი ობიექტი არ შეიძლება იყო უნივერსალური. თვით კულტურის გაგება გულისხმობს, რომ იგი კონკრეტული სპეციფიკური ობიექტებისაგან შედგება. დაკარგა რა თავისი კონკრეტულობა, იქცა რა სულ უფრო და უფრო უნივერსალურ ობიექტად და ერთი რეგიონიდან - მეორეში, ერთი თაობიდან მეორეში კულტურის გადატანის საშუალებად, წიგნი აღარაა სპეციფიკური ინფორმაციის ტრანსლატორი, მან დაკარგა თავისი უნივერსალობაც.

ვფიქრობ, რომ უსაფუძვლოა ბრალდებები, რომელსაც კონსერვატორები კომპიუტერულ კულტურას უყენებენ: ამ ახალი კულტურის გამოჩენამდეც წიგნი უკვე იქცა უნივერსალურ ობიექტად, რამაც თავისთავად შეუქმნა საშიშროება მის, როგორც კულტურის ფაქტისა და ფაქტორის არსებობას.

თავს უფლებას მივცემ, გამოვთქვა ერთი ვარაუდი: წიგნი შესაძლოა, დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეობას, ანუ გახდეს ისეთივე ობიექტი კულტურისა, რომელშიც დაფიქსირდება და რომლის საშუალებითაც გადაეცემა მხოლოდ გამორჩეული ინფორმაცია, ან ასე ვთქვათ, კულტურის სპეციფიკური შინაარსი, ხოლო სხვა შინაარსი დროსა და სივრცეში სხვა საშუალებით გადაიცემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წიგნს იგივე დაემართება, რაც თავიდან წერილობით ტექსტებს, რომელშიც მხოლოდ სპეციფიკური შინაარსის ზეპირი ტექსტები გადადიოდა.



თარგმნა
**მარინე ხუციშვილმა**




**უმბერტო ეკო**

# ინტერნეტიდან გუტენბერგამდე



პლატონს, "ფედროსის" დასასრულს ასეთი მაგალითი მოჰყავს: დამწერლობის სავარაუდო გამომგონებელი ჰერმესი ფარაონს უჩვენებს თავის აღმოჩენას: "ეს გამოგონება ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს, დაიხსომონ ის, რაც სხვაგვარად დავიწყებას მიეცემოდა". ფარაონი უკმაყოფილოა: "მოხერხებულო ტოტ, მეხსიერება საოცარი ნიჭია, მას შენარჩუნება უნდა. შენი გამოგონების წყალობით ადამიანებს მეხსიერება დაუჩლუნგდებათ, ისინი დაიხსომებენ არა შინაგანი ძალისხმევით, არამედ - გარეგანი საშუალებებით".

ამაში დავეთანხმოთ ფარაონს. როგორც ყველა ახალი ტექნიკური მხარდაჭერა, წერაც ადუნებს ადამიანს. მაგალითად, ავტომობილი ვნებს ფეხით სიარულს, წერა სახიფათოა, რადგან ადამიანებს სთავაზობს გაქვავებულ სულს, მინერალურ მეხსიერებას.

მაგრამ ჩვენს დროში დამწერლობის არსებობას ასე არ განიცდიან. ჯერ ერთი, ვიცით, რომ წიგნი სხვისი ფიქრების მითვისების საშუალება კი არა, პირიქით, საკუთარი აზრების მწარმოებელი მანქანაა. მხოლოდ დამწერლობის გამოგონების წყალობით შევინარჩუნეთ ისეთი შედევრი, როგორიცაა, მაგალითად, პრუსტის "დაკარგული დროის ძიებაში"; მეორეც, თუ ოდესლაც გონებას წვრთნიდნენ, ფაქტები რომ არ დაეკარგათ, დამწერლობის გამოგონების შემდეგ მეხსიერების ვარჯიში ამ ფაქტების წიგნში შესანარჩუნებლად დასჭირდათ. წიგნები ძილს კი არ ჰგვრიან გონებას, აკაჟებენ.

ფარაონი გამოხატავდა უძველეს შიშს, შიშს იმისას, რომ ახალი ტექნიკა რაღაც კარგს, დიდად ფასეულს, სულიერს შეცვლიდა ან მოსპობდა. ფარაონმა თითქოს ჯერ ნაწერზე მიუთითა, შემდეგ - ადამიანის მეხსიერების სიმბოლოზე და თქვა: ეს (ანუ დამწერლობა) მოკლავს იმას (ანუ მეხსიერებას).

აქ უადგილო არ იქნება ვ.ჰიუგოს "პარიზის ღვთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლის ტაძრიდან" ციტირება. სწორედ ამ წიგნში აბატი კლოდ ფროლო მიუთითებს ჯერ წიგნზე (იმ დროს მხოლოდ იწყებოდა წიგნების ბეჭდვა), შემდეგ თავის ტაძარზე და ამბობს: "ეს მოკლავს მას". XV საუკუნეში ბეჭდვა ახალი გამოგონებული იყო. მანამდე ხელნაწერები მხოლოდ მცირერიცხოვანი ელიტისთვის იყო განკუთვნილი, ფართო მასების განსწავლა კი ტაძრის ფრესკებსა და სკულპტურულ ფიგურებს ევალებოდა. შუასაუკუნეების ტაძარი თითქოს მუდმივი, შეცვლელი ტელეპროგრამა იყო, რაც ადამიანებს სიცოცხლისათვის აუცილებელს აძლევდა. წიგნები ხომ მოსწყვეტდნენ საბაზო ფასეულობებს, ხელს შეუწყობდნენ ზედმეტ ინფორმირებულობას, წმინდა წერილის თავისუფალ განმარტებასა და არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას.

მარშალ მაკ-ლიუენის წიგნის, "გუტენბერგის გალაქტიკის" თანახმად, ბეჭდვის გამოგონებიდან თანამედროვე ავტორებამდე გადაილახა აზროვნების სწორხაზოვნება, ხოლო 1960-იანი წლებიდან მას ცვლის უფრო გლობალური აღქმა: ჯერ ტელეგამოსახულებების, შემდეგ კი სხვა ელექტრონული საშუალებების სახით. თვითონ მაკ-ლიუენი თუ არა, მისი მკითხველები თითქოს თითს იშვერდნენ ჯერ მანჰეტენის დისკოთეკისკენ, შემდეგ კი წიგნისკენ - სიტყვებით: "ეს მოკლავს მას".

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საკმაოდ სწრაფად აითვისეს იდეა, რომ ჩვენი ცივილიზაცია ორიენტირებული ხდება გამოსახულებებზე, რაც, თავის მხრივ, წიგნიერების დონეს დასცემს. ახლა ეს ისეთი ტრუიზმია, რასაც ჟურნალის სტატიების უმეტესობაში შეხვდებით. მართლაც სასაცილოა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სწორედ მაშინ ალაპარაკდნენ სიტყვიერების დაცემაზე, როცა მსოფლიოს სცენაზე კომპიუტერი გამოჩნდა.

უდავოა, კომპიუტერი იარაღია გამოსახულების წარმოება-გადამუშავებისა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ძველი კომპიუტერები საწერი საშუალება იყო და არა - სანახაობითი: ეკრანზე მიცოცავდნენ სიტყვები და სტრიქონები, მომხმარებელს კი უნდა წაეკითხა. იმ კომპიუტერების თაობის ბავშვებმა ველური სისწრაფით ისწავლეს კითხვა და ახლა ისინი გაცილებით სწრაფად კითხულობენ, ვიდრე წიგნებზე ორიენტირებული უნივერსიტეტის პროფესორები. მოზარდები, თუ ისინი პროგრამირებაზე მუშაობენ, უნდა გამოიცნონ ლოგიკური პროცედურები, ალგორითმები და სწრაფად ბეჭდონ სიტყვები და ციფრები. ამ თვალსაზრისით კომპიუტერი ადამიანებს გუტენბერგის გალაქტიკაში აბრუნებს. ის, ვინც ღამღამობით განუწყვეტლივ დაძვრება ინტერნეტში, იარაღად სიტყვას იყენებს. თუ ტელეხედვა სახეებით წარმოდგენილი სამყაროა, დისპლეი უნივერსალური წიგნია, სადაც სამყარო სიტყვებითაა წარმოდგენილი და გვერდებადაა დაყოფილი.

პირველი კომპიუტერები (წარმოშობით დინოზავრები) ურთიერთობდნენ ნაწერი სტრიქონების საშუალებით. ეს იყო, თუ გნებავთ, მორბენალი წიგნი. თანამედროვე კომპიუტერებში გამოჩნდა ჰიპერტექსტები. ახლა წიგნი მარცხნიდან - მარჯვნივ, მარჯვნიდან - მარცხნივ ან ზემოდან ქვემოთ იკითხება (გააჩნია წერის შერჩეულ ხერხს). ჰიპერტექსტი მრავალგანზომილებიანი ქსელია, რომელშიც თითოეული წერტილი თუ კვანძი დამოუკიდებლად და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე უკავშირდება ტექსტის ნებისმიერ წერტილსა თუ კვანძს.

ახლა ვუახლოვდებით მკვლელობათა ისტორიის დასასრულს, ანუ რა მოკლავს რას. გვარწმუნებენ, რომ CD ავიწროებს წიგნებს. ეს რეალობაა თუ მეცნიერული ფანტასტიკა?

თვით ბეჭდვის გამოგონების შემდეგაც კი წიგნის გარდა ინფორმაციის ბევრი მატარებელი არსებობდა. ესაა ფერწერაც, ხალხური გრავიურებიცა და ზეპირი სწავლებაც, მაგრამ წიგნი რჩებოდა სამეცნიერო ცოდნის გადაცემის ბაზად. წიგნივე იყო დიდაქტიკოსთვის ოპტიმალური მასალა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სრულყოფასთან ერთად რაღაც შეიცვალა. არცთუ დიდი ხნის წინ ენების შეს-



წავლის ერთადერთი საშუალება (მოგზაურობის გარდა) იყო სახელმძღვანელო, ახლა ხომ სწავლობენ ბავშვები ფირფიტებით, ფილმებით, არჩევენ წარწერებს საფუთავებზე. შესაძლებელია, არაჩვეულებრივად შეისწავლო ფილმებით ძველი რომის ისტორია. ოღონდ სინამდვილის ამსახველი ფილმების შერჩევაა საჭირო. ჰოლივუდის შეცდომა ის კი არაა, ტაციტუსისა და ე.გიბონის ნაცვლად ფილმებს რომ გვჩრის, არამედ ის, რომ იგი ამ ისტორიკოსთა სიამაყით აღსავსე, ან ყოყოჩა და დათაფლული ვერსიებია. კარგი სამეცნიერო-პოპულარული ფილმით, რომ აღარაფერი ვთქვა კარგ CD-ზე, გენეტიკას სახელმძღვანელოზე უკეთესად ასწავლი. დღესდღეობით მასობრივი ინფორმაციის ბევრი საშუალება კულტურულ მუშაობაშიც მონაწილეობს, კულტურამაც ხომ უნდა გამოიყენოს მისი შესაძლებლობები. აუცილებელია მხოლოდ გულმოდგინედ მოფიქრებული საგანმანათლებლო მიდგომა. ენების შესასწავლად ფირი სახელმძღვანელოზე უკეთესია. აზრიანად შერჩეული კომენტარების საშუალებით კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი შოპენით უკეთესად შეიძლება გაერკვე მუსიკაში, ვიდრე კომპოზიტორის მრავალსმომცველი ბიოგრაფიით. ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდეს ვერბალური და ვიზუალური კომუნიკაციები (მათ სხვადასხვა ამოცანა აქვთ), უნდა სრულიყოს ერთიცა და მეორეც.

შუა საუკუნეებში ხალხისთვის ვიზუალური კომუნიკაცია ნაწერზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. შარტრის ტაძრის ვიზუალური "სახელმძღვანელო" არაფრით ჩამოუვარდება ონორე ოტონსკის "სამყაროს სახეს".

გამომსახველობას პლატონური ძალა აქვს, იგი ცალკეულ იდეას საყოველთაოდ გარდასახავს. ვიზუალური კომუნიკაციის საშუალებით ადვილია დარწმუნების სტრატეგიის შემუშავება. როდესაც გაზეთში წავიკითხავ, რომ მისტერ იგრეკმა იქსი პრეზიდენტად წამოაყენა, ვიცი, რომ გადმოცემულია მისტერ იგრეკის აზრი. მაგრამ თუ ტელევიზორში ჩემთვის სრულიად უცნობი პირი (არადა, სხვა კი არავინ, თუ არა მისტერ იგრეკი) აგიტაციას უწევს იქსის პრეზიდენტობას, მაშინ ინდივიდუუმის აზრი აღიქმება, როგორც საყოველთაო ნების გამოხატულება.

ხშირად ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან მალე გაიხლიჩება (ან უკვე გაიხლიჩა) ორ კლასად. ერთი, რომელიც მხოლოდ ტელევიზორს უყურებს, ანუ მხოლოდ მზა სახეებსა და სამყაროს შესახებ მზა განსჯას ღებულობს და მეორე, რომელიც კომპიუტერის ეკრანს უყურებს, ანუ შეუძლია შეარჩიოს და გადაამუშაოს ინფორმაცია.

თემა სამეცნიერო ფანტასტიკისათვის: მომავალი, სადაც უმრავლესობა მხოლოდ ვიზუალური ტელეკომუნიკაციებით სარგებლობს. ეს კომუნიკაცია კი კომპიუტერული და ლიტერატურული ელიტის მიერ იგეგმება.

დავუბრუნდეთ ჩვენს თემას: გაანადგურებს თუ არა კომპიუტერი წიგნს? არის ორი კატეგორიის წიგნი: ერთი - საკითხავი, მეორე - ცნობარები და საკონსულტაციო წიგნები. პირველი იმ პრინციპით იკითხება, რასაც მე ვუწოდებ "დეტექტიურ ისტორიას". იგი იწყება იმით, რომ პირველ გვერდ-

ზე ხდება მკვლელობა, რომელსაც მთელი წიგნის მანძილზე იძიებენ, რათა ბოლო გვერდზე აღმოჩნდეს, რომ, როგორც ყოველთვის, მკვლელი სახლმმართველია. ავტორს სურს, კითხვა პირველი გვერდიდან დაიწყოთ, წაიკითხოთ მის მიერ შემოთავაზებული გამოძიების შესახებ და შემდგომ დასკვნასაც თვითონვე მოგართმევთ. ერთადერთნი, არანორმალურები, ვინც ასე არ კითხულობს მსგავს წიგნებს, უნივერსიტეტის პროფესორები არიან. ისინი ციებიანივით აზტებიან გვერდებს, ეძებენ რა მინიშნებებსა და ანალოგიებს პირველსა და ბოლო თავს შორის. მათი საუკეთესო საქმიანობაა, გამოიკვლიონ ბიბლიასთან კავშირი და ა.შ. მაგრამ კითხვის ეს ხერხები არასპეციალისტს, რბილად რომ ვთქვათ, ხელოვნურად მოეჩვენება.

არსებობს წიგნების მეორე კატეგორიაც: წიგნები კონსულტაციისთვის, ცნობარები, ენციკლოპედიები, სახელმძღვანელოები. ბუნებრივია, რომ სკოლაში წიგნს თავიდან ბოლომდე კითხულობ. პრინციპში, ასეთი წიგნების ერთიანად წაკითხვა არაა აუცილებელი და საკითხავი თემის შერჩევა შეგიძლია. ვთქვათ, როცა გინდა ლოგარითმის განმარტება, პოულობ ამა და ამ გვერდზე. ასეთი წიგნი თაროზე ინახება არა იმისთვის, რომ ძილის მოსაგვრელად წაიკითხო, არამედ ათ წელიწადში ერთხელ რომ გადაშალო. ასეთი წიგნები სპორადული დანიშნულებისაა და არასოდეს იკითხება სიტყვასიტყვით. ისტორია ისეთი ადამიანისა, ენციკლოპედიას თავიდან ბოლომდე რომ წაიკითხავს, ფსიქიატრებისთვის მზა დიაგნოზია. ნორმალური ადამიანები ამ წიგნს გადაშლიან, რათა გაიგონ, როდის მოკვდა ნაპოლეონი ან როგორია გოგირდმჟავას ფორმულა. უნივერსიტეტის პროფესორები ხომ ენციკლოპედიას გამოძრომის განსაკუთრებულ ხერხად ხმარობენ. ნორმალური საკითხავი წიგნის კითხვა მათ არ შეუძლიათ, სამაგიეროდ, განსაკუთრებულად მკაცრი სისტემით ხელმძღვანელობენ ენციკლოპედიაში ჩახედვისას.

დავუშვათ, მინდა ვნახო, შეეძლო თუ არა ნაპოლეონს, კანტს შეხვედროდა. რასაკვირველია შემიძლია ჩავძვრე ნაპოლეონის ან კანტის ბიოგრაფიებში, უფრო კი კანტისაში, თუ გავითვალისწინებთ, რამდენ ადამიანს შეხვედრია ნაპოლეონი. აი, კანტის ბიოგრაფიაში კი ნაპოლეონთან შეხვედრას მოიხსენიებენ. ამ ცნობის მოსაპოვებლად მე მომიწევს თაროებზე ძრომიალი, დამქანცველი, ბინძური ფიზიკური სამუშაოს შესრულება ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამიტომ ხომ არ გამოიყურებიან უნივერსიტეტის პროფესორები ასე ღონემიხდილნი და დამტვერილნი?

ჰიპერტექსტში კი, როგორც თევზმა წყალში, შემიძლია ვიცურაო სხვადასხვა აზრობრივ ფენებში. განსხვავებით ენციკლოპედიისგან, სადაც ჩემთვის საჭირო ცნობები გაფანტულია, ჰიპერტექსტი მომცემს ყველა სიტყვის ჩამონათვალს ასო ა-ზე, ყველა იმ შემთხვევას გამოვავლენ, როცა ნაპოლეონის სახელი ემთხვევა კანტისას, შევადარებ ბევრი ადამიანის ბიოგრაფიულ თარიღებს. მოკლედ, იმ ყველაზე მტვრიან, ბინძურ და მომქანცველ ფიზიკურ სამუშაოს რამდენიმე წუთში ვასრულებ.

ადამიანს, შესაძლოა, უბრალოდ არ ჰყოფნის ფული "ბრიტანიკის" შესაძენად, მაგრამ რომც ეყოს, ეს ფული მაინც არასაკმარისი აღმოჩნდება შესაფერისი ბინის დასქირავებლად, ეს ფოლიანტები რომ დაეტიოს. შეეცადეთ, იაპონელს აჩუქოთ "ბრიტანიკა" და ნახავთ, სად ააკოკოლავებს ამ წიგნებს.

ჰიპერტექსტი უსარგებლოდ აქცევს ლექსიკონებსა და ცნობარებს. მაგრამ შეუძლია თუ არა კომპიუტერს საკითხავი წიგნის შევიწროება? - აი, ესაა საკითხავი. ასევე, შეუძლია თუ არა CD-ROM-ს შეცვალოს საკითხავად განკუთვნილი ნაწარმოების ბუნება?

როდესაც თორმეტ საათს კომპიუტერთან გავატარებ და თვალები ჩოგბურთის ბურთივით გამიხდება, საარსებო მოთხოვნილებას ვგრძნობ, ჩავეგდო ნებისმიერ სავარძელში და ჩავეფლო გაზეთში ან საყვარელ ლექსებში. ვიტყვი ასე: კომპიუტერები წიგნიერების ახალ ფორმას ავრცელებენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იმ ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც თვითონვე აძლევენ სტიმულს.

წიგნის მომავლის შესახებ სან-მარინოში გამართულ სიმპოზიუმზე რეჟი დერბე ამბობდა, რომ ძველებრაული კულტურა წიგნს ეყრდნობოდა, რადგან ძველი ებრაელები მომთაბარეობდნენ. ეს მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. ეგვიპტელები თავს უფლებას აძლევდნენ, თავიანთი ისტორია ობელისკებზე ამოეკვეთათ, მაგრამ მოსეს არ შეეძლო. ვისაც წითელი ზღვით უნდა სიარული, თავისი სიბრძნე მხოლოდ გრაგნილის ფორმით შეუძლია თან წაიღოს და არავითარ შემთხვევაში - ობელისკის სახით. სხვათა შორის, მეორე მომთაბარე ცივილიზაცია - არაბებისა, ასევე ეყრდნობოდა წიგნს და უპირატესობას ანიჭებდა დაწერილ ნახატს.

წიგნებს კიდევ ერთი უპირატესობა აქვთ: თვით თანამედროვე დაჟანგულ ქაღალდზე დაბეჭდილიც კი, რომელიც ცოცხლობს არაუმეტეს 70 წლისა, უფრო გამძლეა და დღეგრძელი, ვიდრე მაგნიტური ჩანაწერი.

ჰიპერტექსტუალურ ფორმაში დეტექტივს შეუძლია, მკითხველს ამოარჩევინოს მოვლენათა განვითარების სასურველი შესაძლებლობა და საკუთარი სიუჟეტი შექმნას. მისი გადასაწყვეტია, მკვლელი სახლმმართველი იქნება, ვინმე სხვა, თუ სულაც - გამომძიებელი.

ეს იდეა ახალი არაა. კომპიუტერის გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე მწერლები ოცნებობდნენ ბოლომდე ღია ტექსტზე, რისი უთვალავი სახით გადაწერა მკითხველს საკუთარი სურვილისამებრ შეეძლებოდა. ასეთი იყო სტეფან მალარმეს "წიგნის" იდეა.

ესაა ფიზიკური დეფორმაციისთვის მზადმყოფი ტექსტის იდეა, რაც მკითხველს სრული თავისუფლების შთაბეჭდილებას უქმნის. მაგრამ ეს თავისუფლების ილუზიაა. ერთადერთი მანქანა, რომელიც უთვალავი წიგნის წარმოშობას ჭეშმარიტ თავისუფლებას ანიჭებს, ათასწლეულების წინაა გამოგონილი. ესაა ანბანი. საბოლოო ჯამში ასოები შობს მილიარდ ტექსტს და ეს ასეა ჰომეროსიდან დღემდე. ამ თვალსაზრისით, ყველა კარგი წიგნის ამოსავალი ლექსიკონები და გრამატიკაა. უებსტერის ლექსიკონის სწორად გამოყენების შემთხვევაში სრული შესაძლებლობა გაქვთ,, დაწეროთ "დაკარგული სამოთხე".

ჰიპერტექსტუალური რომანი შემოქმედების ყურადსაღებ გაკვეთილს გვაძლევს, მაგრამ წერილობით "ომსა და მშვიდობას" მივყავართ არა უსაზღვრო თავისუფლებამდე, არამედ გარდუვალობის მკაცრ კანონამდე. თავისუფლებისათვის სიცოცხლისა და სიკვდილის ეს გაკვეთილი უნდა გავიაროთ და მხოლოდ წიგნებს შეუძლიათ გადმოგვცენ ჩვენ ეს ცოდნა.

თარგმნა მჭა წილოსანმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა შათირიშვილი

# სიტყვის მნიშვნელობა

გიორგი სანაიას მკვლელობის შემდეგ საბოლოოდ გამოიკვეთა დაცილება საზოგადოებრივ წრეებსა და პოლიტიკურ ძალებს შორის. ერთ მხარეს აღმოჩნდნენ პოლიტიკოსები, მეორეზე - ჟურნალისტები, არასამთავრობო სექტორი და, მაპატიეთ მაღალი სტილის გამო, საქართველოს მოქალაქეები. თვითონ ჟურნალისტები ლაპარაკობენ უფსკრულის შესახებ, რომელიც პოლიტიკოსებსა და მათ შორის არსებობს. მინდა კარგად დავაკვირდეთ ამ უფსკრულს.

ჩემის აზრით, საბოლოოდ გამოიკვეთა მინიმუმ ერთი რამ: პოლიტიკოსები (მმართველი პარტიიდანაც და ოპოზიციიდანაც) გუშინდელ დღეში ცხოვრობენ, საზოგადოებამ მათ გაუსწრო, უპირველეს ყოვლისა, იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ იგი საკუთარი კანით გრძნობს, რა აწუხებს, მაშინ, როდესაც პოლიტიკოსები ლაპარაკობენ აბსოლუტურად მოძველებული ენით და აზროვნებენ კიდევ უფრო მოძველებული კატეგორიებით (თუკი საერთოდ აზროვნებენ). ჯერ ჯერობით ამინდს ვერ ქმნისრამდენიმე ახალი ტიპის პოლიტიკოსი (მაგალითად მიხეილ სააკაშვილი), რომლებიც სწორედ არასამთავრობო სექტორმა და მას მედიამ წამოსწია, რაც არ არის შემთხვევითი.

დღეს ანაქრონიზმია არა მხოლოდ შევარდნაძე თუ რჩეულიშვილი, მანანა არჩვაძე თუ ირინა სარიშვილი, აკაკი ასათიანი თუ მამუკა გიორგაძე, არამედ გამყრელიძე, გაჩეჩილაძე, თოფაძე, შარაძე და, ასე განსაჯეთ, ივლიანე ხაინდრავა და დათო ბერძენიშვილიც კი, რომელთა პატიოსნებასა და პოლიტიკურ ინტელექტში წესიერი ადამიანი ეჭვს ვერ შეიტანს.

საქმე ისაა, რომ პოლიტიკოსები დღემდე ვერ გამოვიდნენ გამსახურდია/შევარდნაძის დაპირისპირებიდან. ანუ იმ დილემიდან, რასაც შეიძლება დავარქვათ ფაშიზმი/ნომენკლატურა. პოლიტიკოსები ვერ ხვდებიან, რომ სინამდვილეში ორივემ გაიმარჯვა: ჯერ გაბატონდა დაშვებული ქართული ფაშიზმი, რომელსაც თავისი ღრმა ფესვები ჰქონდა, შემდეგ კი გამსახურდიას "სახელმწიფოებრივი" ანარქიზმი, რომელმაც ვერ ზიდა ნომენკლატურის ჯვარი, შეიცვალა კრიმინალური ანარქიზმით, რომელიც, თავის მხრივ, შევარდნაძეების კრიმინალურმა სტაბილიზაციამ შეცვალა. ფაშიზმი არსად წასულა. სწორედ ამიტომაც იდევნებიან დღეს რელიგიური უმცირესობები, სწორედ ამიტომ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ანტიდასავლურადაა განწყობილი, სწორედ ამიტომ აქვს ნოყიერი ნიადაგი სანაიას შესახებ ჭორების გავრცელებას.

დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ეგუება შევარდნაძის კრიმინალურ სტაბილიზაციას, რომელიც უმარტივესი ფორმულით გამოიხატება: პოლიცია+კლანები. მაგრამ იგივე საზოგადოება ხელს უწყობს რეჟიმის შენარჩუნებას თავისი ქსენოფობიითა და შეუწყნარებლობით. იგი, ერთის მხრივ დასტირის გიორგი სანაიას, ხოლო, მეორეს მხრივ, ავრცელებს ჭორებს მის შესახებ.



მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ ქართულ ფაშიზმს დღეს არა აქვს პარტიული და რეპრესიული აპარატები, ესაა ბაცილა, რომელიც ჰაერში დაფრინავს და რომელსაც ნებისმიერი გადამტანი შეიძლება ჰყავდეს. სამაგიეროდ, არსებობს მას მედია, რომლის მეშვეობითაც უამრავი აზრი თუ პო-



ზიცია ვრცელდება, როგორც ფაშისტური, ისე ლიბერალური. ამ თვისებით დღევანდელი ქართული მედია ძალიან ჰგავს ქართულ საზოგადოებას, ამიტომაც ისინი გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ბუნებრივი მოკავშირეები აღმოჩნდნენ.

სწორედ ასე მოხდა გიორგი სანაიას მკვლელობის შემდეგ. ჟურნალისტებსა და საზოგადოებას შორის გაჩნდა სოლიდარობა, მათ დაინახეს, რომ "ჩვეულებრივი" ადამიანი და პოპულარული ჟურნალისტი ერთნაირად დაუცველები არიან. დაუცველები არიან იმიტომ, რომ განსაზღვრების თანახმად ჟურნალისტიკა კლანური ვერ იქნება. და ეს არა იმიტომ, რომ ჟურნალისტები თავისთავად კარგები არიან, ამას განაპირობებს თვითონ მას მედიის სპეციფიკა: თუკი ცენზურა არ არსებობს, მედია ძალაუნებურად გამოხატავს სხვადასხვა პოზიციას, რომელიც არ შეიძლება ყველას ერთნაირად მოსწონდეს.

დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ ვამბობდით, რომ პრესის თავისუფლებას არანაირი აზრი არა აქვს, რადგანაც მაინც არაფერი იცვლება - წერე და იკითხე. გიორგი სანაიას მკვლელობამ მთლიანად შეცალა სიტუაცია. ჩვენს ნიჰილისტურ საზოგადოებაში სიტყვის თავისუფლებისადმი ნიჰილიზმი ერთი ხელის მოსმით გაქრა. თუკი ჟურნალისტი შეიძლება მოკლან, ესე იგი სიტყვის თავისუფლება მართლა არსებობს და ეს თავისუფლება საშიშია. სწორედ ამიტომ ავრცელებენ ჭორებს "პირადი მოტივების" შესახებ.

გიორგი სანაიას მკვლელობით ჩვენს საზოგადოებაში დაიბადა ან გამოიკვეთა ახალი რეალობა - გამოჩნდა ადგილი, სადაც სიტყვას თურმე წონა და მნიშვნელობა ჰქონია. სწორედ ამიტომაც გამოჩნდა უფსკრული პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შორის. ეს უფსკრული გამოჩნდა იმ ადგილებს შორის, სადაც სიტყვას უკვე აქვს მნიშვნელობა და აზრი და სადაც სიტყვას მნიშვნელობა და აზრი ჯერ არა აქვს.

ზურაბ ქიაბერაშვილი

# დაკარგული რეალობის ძიებაში

გიორგი სანაიას მკვლელობამ ერთი წამით მოგვახელთებინა საკუთარი თავი და რეალობა, რომელსაც დიდი ხანია დავცილდით. რეალობა იყო ჟურნალისტის ერთოთახიანი ბინა 26 ივლისს, რეალობა იყო საზოგადოების გულწრფელი რეაქცია, რომელიც წუხილთან ერთად შეიცავდა დაგროვილ მუხტს. რეალური იყო შავი ლენტი, რომელიც მარტო, საკუთარ თავთან დარჩენილ ხალხს ეჭირა რუსთაველზე - ბოღმით და სიჩუმით.

სამწუხაროდ, ეს რეალობა ისევე გაქრა. ტელევიზიით კვლავ ვხედავთ იგივე ცინიკურ სახეებს, რომლებიც საათობით რაღაცას ყვებიან, გვამშვიდებენ, გვარწმუნებენ და - არაფერს ამბობენ. ისინი მოჩვენებები არიან. გავქრით ჩვენც - ხალხი, რომელსაც საკუთარი თავის შეგრძნება უჭირს შავი ლენტისა თუ არშიის გარეშე. გაქრა "ღამის კურიერი" და გიორგი სანაია.

რეალობა ყოველი საზოგადოების პრობლემაა, რომელმაც დაკარგა ნდობა - საკუთარი მთავრობის, საკუთარი სახელმწიფოს, საკუთარი ქვეყნის და, რაც მთავარია, საკუთარი თავის მიმართ. იმის შეგრძნებაც კი, რომ ხელისუფლება არაფერს შეცვლის, არაა საკმარისი, რათა საზოგადოებამ თავად დაიწყოს რაღაცის შეცვლა. საზოგადოებას, უბრალოდ, აღარ სჯერა, რომ თავად ძალუძს რაიმეს გაკეთება.

ყველა ითხოვს გამოძიების სწრაფ და შედეგიან დასრულებას, მაგრამ რეალურად



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველამ იცის, რომ ეს არ მოხდება. ყველა უსმენს გენერალურ პროკურორს და შინაგან საქმეთა მინისტრს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ახალს ვერაფერს გაიგებს. ყველა გრძნობს, რომ არავითარი ვერსია არ არსებობს გარდა სიმართლისა - გიორგი სანაია ხომ საზოგადოების მიერ რეალობაზე გულაცრუებამ იმსხვერპლა.

არაა საჭირო ფილოსოფოსთა 2500-წლოვანი კამათის გახსენება ჭეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ, რომ მივხვდეთ: იქ, სადაც არ არის ნდობა, ნებისმიერი ვერსია ყალბია. ჭეშმარიტების მოხელთება და რეალობასთან დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ ნდობით, როცა ვიღაცას ან რაღაცას ერწმუნები და საყრდენს ჰპოვებ. ამის გარეშე რეალობის გამაცოცხლებელი ხდება ტრაგედია: აი, ისეთი, 26 ივლისს თბილისში, ღრმაღელის მეტროსთან რომ გათამაშდა.

ისტორიული პროცესის ლოგიკასაც თუ მივაწერთ საზოგადოების არაცნობიერ წყურვილს - დაუბრუნდეს რეალობას. და რაც უფრო სარისკოა მასთან დაბრუნება, მით უფრო თავბრუდამხვევი სისწრაფით მიდის საზოგადოება მისკენ - პანკისი, ადამიანების გატაცება, კრიმინალური ავტორიტეტები, ხმაურიანი მკვლელობა. პარადოქსი კი ისაა, რომ რაც უფრო საცნაური ხდება ამ ლოგიკის ულოგიკობა, მით უფრო ძლიერდება ყოველივეს გამეორებისა და ახლიდან ნახვის სურვილი. ვინ იქნება შემდეგი? - აი, საზოგადოების მთავარი კითხვა.

ჩვენ ერთი წამით ვიგრძენით რეალობა, მაგრამ ვერ შევძელით მისი შენარჩუნება. ისე დავცილდით ერთმანეთს, რომ მხოლოდ გასვენების რიტუალს შეუძლია ჩვენი შეკრება და არა იმის ცხადად შეგრძნებას, რომ შეკრება საჭიროა მანამ, სანამ გასვენების წუთები მოვა. გრძელვადიანი გაერთიანება მართლა გრძელვადიანად მიგვაახლოებდა რეალობას, მაგრამ რა ვქნათ, როცა ყველას გვაქვს ჩვენ „ჩვენი რეალური საქმე"?

ჩვენ ვერ მოვიცალეთ დაფიქრებისთვის, რადგან არასოდეს ვყოფილვართ მარტო. გიორგი სანაიას მკვლელობისადმი პროტესტის ნიშნად რუსთაველზე მარტოდ დარჩენილი ხალხის ქცევა იყო პირველი ნიშანი იმისა, რამდენად კარგია საზოგადოება ბელადებისა და ხმამაღალი შეძახილების გარეშე. მაგრამ მაშინ შინაგანი შეძახილების ხმა უნდა იყოს მაღალი, რომ მარტოობის ბედნიერება ვიგრძნოთ. არ გვძლევა ხელისუფლებისგან, სახელმწიფოსგან, ჩინოვნიკური აპარატისგან, პოლიციისგან, ბიუროკრატიისაგან განმარტოების უფლება. ჩვენ საჭირონი ვართ, როგორც პურის, შაქრის, ასანთის, ბენზინის, სიგარეტისა და სხვა პირველადი მოხმარების ნივთების მომხმარე მუშტარი. როგორც კი დავაპირეთ სრული აპათია და უარი ვთქვით ყველაფერზე - თვით არჩევნებში მონაწილეობაზეც - გვესროლეს და გვითხრეს, რომ ასე ძალიან განდგომის უფლება არ გვაქვს, რადგან ჩვენ საჭირონი ვართ, როგორც ამომრჩევლებიც და როგორც „ღამის კურიერის" მაყურებლებიც. ჩვენ გვაგრძნობინეს რეალობა და ის, თუ ვინ მართავს (ან უფრო სწორად არ მართავს) ამ ქვეყანას. წამიერი რეალობის შეგრძნებიდან მომენტალურად ჩავერთეთ უსიტყვო ომში - ჩვენ და სახელმწიფო. ჩვენ ვითხოვდით, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივი პოლიტიკური ყოფილიყო, რადგან ამას გვკარნახობდა დაგროვილი სიძულვილი ხელისუფლების მიმართ. ისინი გვიმტკიცებდნენ, რომ მკვლელობის მოტივი აუცილებლად პირადულ ამბებში უნდა გვეძებნა, რადგან ამას კარნახობდათ ჩვენდამი სიძულვილი.

ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან ბინძურმა ჭორებმა იტრიალეს და რეალობა ვერ შექმნეს. საზოგადოებაში გამეფებული უნდობლობა, რომელმაც გიორგი სანაია იმსხვერპლა, ამ შემთხვევაში გიორგი სანაიას და საზოგადოებისავე სამსახურში აღმოჩნდა.

მაგრამ მოვიპოვეთ კი ნდობა თუნდაც ერთმანეთის მიმართ?

ამ ჭორებს უნდობლობა იმიტომ ხომ არ გამოვუცხადეთ, რომ სხვა, ჩვენთვის ახალი და გამოუცნობი რეალობა გვაშინებს?

ბელადები მარტო რუსთაველზე უარვყავით, თუ ჩვენს გულებშიც დავასამარეთ?

პოლიტიკა, რომელიც პოლიტიკანებისთვის გვქონდა დათმობილი, რეალურად დავისაკუთრეთ თუ მხოლოდ იმისთვის, რომ პოლიტიკით დაღლილებს წამიერი განტვირთვა გვჭირდებოდა?

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით პაიჭაძე

# ეჭვი და შიში

ამა წლის 31 ივლისს, ინგლისურ ჟურნალში Institute of War & Peace Reporting (ომისა და მშვიდობის რეპორტაჟების ინსტიტუტი), რომელიც მხოლოდ ინტერნეტით ვრცელდება, გამოქვეყნდა დიმა ბით-სულეიმანისა და მარინა რენაუს წერილი "საქართველო დასტირის მოკლულ ჟურნალისტს". უცხოელმა კოლეგებმა პირველად გაახმიანეს გიორგი სანაიას მკვლელობის ის ვერსია, რომელიც ჩვენთან მხოლოდ მითქმა-მოთქმის დონეზე გაისმის და ხმამაღლა გამოთქმას ჯერ-ჯერობით ვერავინ ბედავს. "არიან ადამიანები - წერენ რენაუ და ბით-სულეიმანი - ვინც ამბობს, რომ სანაია მოკლეს რაღაც ჰომოსექსუალური ინტრიგის შედეგად. ასეთი "თეორია" ცნობილი საშუალებაა პიროვნების დისკრედიტაციისათვის. ქართული მედია, ისევე როგორც მედია საერთოდ, შეუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას არ უცხოობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრთხილ ნართაულებს ჯერდება, ჩანს, განსვენებულის სახელისთვის ჩრდილის მიყენებას გაურბის. ამ დაშვებას, ყველა დანარჩენის მსგავსად, აქვს არსებობის უფლება - თუნდაც იმიტომ, რომ არცერთი ვერსიის დამაჯერებელი მტკიცებულება საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, ხოლო სამართალდამცავები ისეთ განცხადებებს აკეთებენ, როგორიცაა, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის ნათქვამი: "ვერსიებზე არ მალაპარაკოთ, თორემ ყველაფერი თავდაყირა დადგება".



რას ნიშნავს "ყველაფერი თავდაყირა დადგება"? კახა თარგამაძე ერთი მხრივ მართალია: ვერსიების ტრიალი და დახვავება უფრო დაძაბავს და ისტერიულს გახდის ვითარებას საზოგადოებაში. მეორე მხრივ კი არ შეიძლება არ ვიკითხოთ: ნებისმიერი ვერსია, რაც უნდა მწვავე და თავზარდამცემი იყოს, გამომძიებელთა ვიწრო წრეში საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ უნდა გაუმხილონ მოქალაქეებს თუ სატყუარად სხვა ვარიანტი შეთავაზონ, რომელიც ან ნეიტრალური იქნება ან მეტ-ნაკლებად შეესაბამება საზოგადო მოლოდინს. უკან დასახევი გზა ინგლისურმა ინტერნეტ-ჟურნალმაც დაიტოვა, როცა დაწერა, რომ ჰომოსექსუალური ინტრიგა, როგორც მკვლელობის მიზეზი, პიროვნების დისკრედიტაციისთვის გამოიყენება. ცხადია, არათუ საქართველოში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ითვლება: ჰომოსექსუალისტობა ადამიანს, რბილად რომ ვთქვათ, არ ამკობს. ისეთ ლიბერალურ ქვეყანაშიც კი, როგორიც ინგლისია, თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ცნობილ კონსერვატორ მაიკლ პორტილოს პარტიამ არ აპატია სტუდენტობის დროინდელი ერთჯერადი ჰომოსექსუალური კავშირი და მიუხედავად იმისა, რომ სამაგალითო მეოჯახე და აშკარა ფავორიტი იყო პარტიის ლიდერის პოსტზე, აიძულა საერთოდ წასულიყო პოლიტიკიდან.

გიორგი სანაიას გლოვით ჩვენმა საზოგადოებამ აჩვენა, რომ შეძრა და გულწრფელად დაამწუხრა ჟურნალისტის დაღუპვამ. ამავე დროს, ჩვენი საზოგადოება იტანს და არ დრტვინავს, როცა სხვადასხვა უმცირესობისადმი აშკარა თუ შესაძლო კუთვნილებას ადამიანს ძვირად უსვამენ. საქართველოში არბევენ და საკუთრებას უნადგურებენ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს; შერეული ქორწინების შვილობას, პიროვნების ან მისი ნათესავების წარმოშობას საქართველოს რომელიმე ეთნიკური უმცირესობის ჯგუფიდან საზოგადოების ნაწილი არასაკმარის ქართველობად მიიჩნევს და განიხილავს მას მიზეზად ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა შესაკვეცად, არა იურიდიულ, არამედ რეალურ თუ დისკურსის დონეზე. რაც შეეხება სექსუალურ უმცირესობას, მასზე მინიშნებაც კი - განსაკუთრებით, ეთნიკურ უმცირესობასთან დაწყვილებულად - ნაცადი იარაღია პიროვნების დასამარებისათვის. ჩვენს საზოგადოებას ძალიან უაირს არათუ პასუხი გასცეს, არამედ წამოარას კითხვა: მერე რა, რომ ადამიანი, ვთქვათ, ორმოცდაათიანელია, ან ბებია ჰყავდა სომეხი, ან, ჰომოსექსუალისტია? თუ ეს არ ვიცით და კონკრეტული ადამიანი გვიყვარს, ამ ახალი ცნობის დანამდვილებით შეტყობის შემდეგ ჩვენი სიყვარული გაქრება? ჩვენ აღარ გავიხარებთ მისი სიხარულით, უარს ვიტყვით მისი უბედურებით დამწუხრებაზე?

ინგლისური ჟურნალის უკიდურესი სიფრთხილით გამოთქმული აზრი ყველაზე ნაკლებად განსვენებულ გიორგი სანაიას ეხება. აქ უფრო მნიშვნელოვანი საკითხია - რას იზამს საზოგადოება, ამ ვერსიას რომ ვერსად გაექცეს? მიიღებს და გაიგებს ამ უაღრესად მწარე გაკვეთილს, თუ ამჯობინებს არავითარ შემთხვევაში არ დაიჯეროს და არ გაიაზროს იგი? დაუშვებს კი იმას, რომ ადამიანის მოკვლა რომელიმე უმცირესობისადმი მისი კუთვნილების გამო პოლიტიკურ მკვლელობაზე არანაკლებ საშიში და საზარელი დანაშაულია? ვიმეორებ, ჩვენი გარდაცვლილი კოლეგის სახელს ეს ირიბად უკავშირდება, დამტკიცებული არაფერი არ არის, მაგრამ საზოგადოებას ეშინია ეჭვისაც კი. ჩვენი აზრით, სჯობს გავიმარჯვოთ შიშზეც და ეჭვებზეც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ და გიორგი

ზაზა ფაჩუაშვილი

**26 ივლისს გამთენიისას საკუთარ ბინაში თავში ტყვიის ერთი გასროლით მოკლეს 26 წლის ჟურნალისტი გიორგი სანაია, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის "ღამის კურიერის" წამყვანი.**

## ჩვენ

ჟურნალისტის სიკვდილის ამბავი 26 ივლისს საღამოს ქვეყანას ამცნო "კურიერმა 9 საათზე", რომელიც დაახლოებით ათის ნახევარზე დაიწყო მდუმარედ. ეკრანზე გამოჩნდა გიორგის ფოტო წარწერით - "გიორგი სანაია დაიღუპა". სხვადასხვა ვერსიების თავდაპირველი ნარევი თანდათანობით დაიწმინდა და ბოლოს, როგორც იქნა ითქვა, რომ იგი მოკლეს. გამოძიებაში ჩაერთო სამართალდამცავი სტატუსის მქონე ყველა უწყება. პირველად თავის ცხოვრებაში თანდაყოლილ ფართო ღიმილზე უარი თქვა შსს მინისტრმა. მრავალი წლის მანძილზე მუდმივ სტრესებში მყოფი ხალხისთვის ეს იმდენად დიდი დარტყმა აღმოჩნდა, რომ ადამიანებმა ნიჰილიზმის დამყაყებული გრძნობა გადალახეს და ხელისუფლებისადმი ტოტალური უნდობლობის პირობებშიც კი სიმართლის პოვნა მოითხოვეს. ცხადია, ამ საქმეში სხვაზე მეტად ჟურნალისტები აქტიურობდნენ. კანცელარიასთან გამართული პროტესტის დროს მათ გაავრცელეს 1968 წელს პარიზში ამბოხებული სტუდენტების მოდიფიცირებული დევიზი: "ვიყოთ რეალისტები - მოვითხოვოთ შეუძლებელი!".

ეს იყო 27 ივლისის საღამოს. მანამდე კი დღის სამ საათზე ჟურნალისტები პარლამენტს მიადგნენ, სადაც სოლიდარობის ნიშნად მოვიდა და თავისი უცვლელი სიტყვა თქვა ქუჩის ოპოზიციამ. ყველაფერში ხელისუფლების დადანაშაულების და მისი გადაყენების მოთხოვნის კონონადის ქვეშ ჟურნალისტები აკაკი სიხარულიძესთან ერთად თავისი პროფესიული სახლისკენ გაიკრიფნენ, რითაც რადიკალების გულისწყრომა დაიმსახურეს.

მას შემდეგ კონკრეტული საქმის დროული გამოძიების სამართლიან მოთხოვნას გვერდით ამოუდგა სპეკულაციური ხასიათის მრავალი განცხადება, თუმცა ამ საერთო ორომტრიალში არ ჩაკარგულა წმინდა სამგლოვიარო საქციელი - მდუმარე მსვლელობა, სანთლებით მეტყველი ცოცხალი ჯაჭვი და ორდღიანი სამოქალაქო პანაშვიდი სიონში.

## დაკრძალვა

მოკლედ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობამ 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე გიორგი სანაიას სიკვდილით იცოცხლა. ამ ბობოქარ სიცოცხლეს ცხელი გამოცდა ელოდა 31 ივლისს, გიორგის დაკრძალვის დღეს, სიონის საკათედრო ტაძრიდან საბურთალოს პანთეონამდე გაწელილ გზაზე.

განსვენებულმა სიონის ტაძარში ამქვეყნიური უკანასკნელი დღე-ღამე გაატარა. გამოსვენება შედგა ზაფხულის ყველაზე ცხელი თვის ბოლო სამ საათზე. სიონის მიმდებარე ტერიტორია მტკვრის მოაჯირამდე ხალხით იყო სავსე. წესრიგს ენერგიის დაუზოგავად ამყარებდა ხმის ჩახლეჩვის ზღვარზე მყოფი შავზონრიანი ბიჭების ახალი თაობა. ისინი გზის გამწმენდ მოწინავე რაზმს წარმოადგენდნენ და შიშის ზარს სცემდნენ ტროტუართან მიყუჟული მანქანების მძღოლებს.

ქუჩის ორივე მხარეს მიუყვებოდა ცოცხალი ჯაჭვი, შუაში კი მოდიოდა ხელიხელჩაკიდებული გოგო-ბიჭების სოლისებური მწკრივი და გიორგის ფოტოიანი კაცი. მოუსვენრად ირეოდა უამრავი ფოტო და ვიდეო ოპერატორი. ტროტუარები, გაზონები და ხიდები ადამიანთა სიმრავლემ დამალა. მცხუნვარე მზე და გახურებული ასფალტი ხალხს ორი ულმობელი მწყემსივით მიერეკებოდა. სიჩქარე თანდათან მატულობდა. ბარათაშვილის ხიდის შემდეგ მსვლელობის სათავეში მოქცეული ახალგაზრდა შემადგენლობა უნებურად სპორტულ სიარულზე გადავიდა. ამ დროისათვის გიორგი უკვე მანქანაში ესვენა. ქალები კივილით იხვეწებოდნენ, ნელა იარეთო. პროცესია მართლაც ჩერდებოდა, მაგრამ ხანმოკლე შესვენება და ჩქარი ნაბიჯი ქალებისათვის ისევ საკივლელ სიტუაციას ქმნიდა.



ამის მიუხედავად სასტუმრო "აჭარამდე" მწყობრიდან არავინ გამოსულა. "აჭარასთან" კი სტარტი აიღო სპრინტერულმა გადარბენამ თითქმის ვაჟა-ფშაველას გამზირამდე. იყო ხმა, გვეჩქარებაო და შავ კატაფალკას გარშემორტყმულმა ახალგაზრდებმა მძღოლს "გაზზე" ფეხი დააჭერინეს. გაქცეულ მანქანას თავად სირბილით გაეკიდნენ. სირბილი აღმოჩნდა გადამდები, მაგრამ არა ყოვლისშემძლე, რომ ყველას მორეოდა. პროცესია გაიწელა და გაწყდა, რასაც უსტატუსო პოლიტიკოსების მხრიდან უმალ მოჰყვა სიტუაციის შეფასება და ადეკვატური ზომების მიღება. შეურაცხყოფილი ქალბატონების მტკიცებით, ეს სპეციალურად გაკეთდა, რათა არ გამოჩენილიყო, რომ გიორგის მთელი საქართველო მიაცილებდა. ამ ლოგიკით გაჩერება შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩამორჩენილთაგან ვინც შეძლო, მიაფურთხა გულსისხლძარღვთა დაავადებულ სისტემას და კატაფალკას გამოუდგა. შეუპოვარი ერთგულება გამოიჩინეს ქალებმა და ბავშვებმაც, რომლებიც უკანასკნელი ძალ-ღონით გარბოდნენ.

დაშლილი პროცესია დელისის მეტროსთან სრულიად მოულოდნელად ისევ გამთლიანდა, როცა გამზირით მოსულ თავს მეტროთი გადმოადგილებული მოწყვეტილი ბოლო დახვდა.

მწუხარებასავით უსაზღვრო იყო საყვარელი ადამიანის ნეშტისადმი თითო მუჭა მშობლიური მიწის მიყრის სურვილი, რომელმაც ერთი ახალგაზრდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქართველის საფლავი ხალხის ზღვაში ჩაძირულ პატარა მარტოხელა ნავად აქცია.

ასე დამთავრდა დამკრძალავი მარათონი, რომლის დროსაც, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა და გზაში გული არავის გახეთქია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ალბათ, ის დღე თავისი სიკვდილით მთლიანად შეავსო გიორგი სანაიამ.

## გიორგი

საერთო შეფასებით ეროვნული მოძრაობისა და ზნეობრივი გმირების დაკრძალვების წლების შემდეგ ეს იყო პროტესტში გადაზრდილი სახალხო გლოვის პირველი ფართომასშტაბიანი პრეცედენტი, რომელმაც თავაზიანად მიიღო მიცვალებულის მიერ გაწეული სამსახური. გიორგის სიკვდილით შექმნილი ხელსაყრელი პირობები მაქსიმალურად იქნა გამოყენებული და ქვეყანაში, ფაქტობრივად, ჩატარდა პიროვნების დაუცველობის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული.

გიორგის აქვს სიცოცხლის უფლება, რომელიც ამ ქვეყნად გრძელდება ხსოვნისმიერად, ხოლო იმქვეყნად - სულისმიერად. არც ერთ და არც მეორე სიცოცხლეს არ სჭირდება არაჯანსაღი მითქმა-მოთქმის გამომწვევი ზედმეტად ემოციური აჟიოტაჟი, საპროტესტო აქციები, ქუჩის გადაკეტვები და თუნდაც ხელისუფლების ლანძღვაგინება, ვინაიდან ამას ყოველთვის მოჰყვება მიცვალებულის პირად საქმეებში ქექვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის დაცვისა და მთავრობის გადაყენების მოთხოვნა შეიძლება ნებისმიერ დროს, გარდა სამგლოვიარო დღეების მცირედი გამონაკლისებისა, რომლის დროსაც მთავარია მიცვალებულის უფლებების დაცვა.

* * *

გიორგის მკვლელობის ღამეს უცებ ისე შეშინებულს გამომეღვიძა, თითქოს ომი დაწყებულიყოს და სანამ აზრზე მოვიდოდი, სულ ქვემეხების ბრახა-ბრუხს ველოდებოდი, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ თვალწინ დამიდგა ტელევიზორის ცისფერ ეკრანზე გამოტანილი გიორგის პორტრეტი, რომელიც თითქოს ღიმილით გვამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, ხალხო, არავითარი ომი, ჯერ მხოლოდ მე მომკლესო.

P.S.

## ეჭვმიტანილი ქვეყნომანები

ქვეყნომანია ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ვითარდება სისტემატური მომხვეჭელობის პერიოდში ამ ქვეყნიურ სიკეთეთა ჭარბი მიღებისა და ბოროტად გამოყენების დროს. იგი მიმდინარეობს სიმდიდრის სიყვარულისა და მისით ტკბობის დაუოკებელი სურვილით და ხასიათდება ფიზიკური, სულიერი და სოციალური დაავადებების საერთო ნიშნებით. როცა გარეშე ფაქტორი, რაღაც ფორმით მაინც ემუქრება მომხვეჭელობის პროცესს ავადმყოფებს ეწყებათ "ლომკა". ისინი უმართავები ხდებიან და მსხვერპლს მოითხოვენ.

თანამედროვე გისოსიანი მეთოდებით შეიძლება ქვეყნომანის სიმდიდრეზე დამოკიდებულების მოხსნა, მაგრამ ამ პროცესს, "მკურნალობის" დამთავრების შემდეგ, პირველი გალიზიანებისთანავე ახასიათებს რეციდივის თითქმის ასპროცენტიანი მაჩვენებელი. ამიტომ დაავადების სრული განკურნება შესაძლებელია მხოლოდ სამარის პირობებში.

ჰოდა ქვეყნომანების ავადმყოფური წარმოდგენით, ჟურნალისტის პროფესიაში ყველაზე საჭირო ასო არის "ჟ", რომლის გარეშეც სიტყვა "ჟურნალისტისგან" დარჩებოდა "ურნალისტი" (სანაგვე ფურცელი), ხოლო თავად ჟურნალისტისგან - ადამიანი, რომლის შემოქმედებით მხოლოდ სანაგვე ყუთებს აავსებდნენ. ასეთ საზოგადოებაზე კარგა ხანია ოცნებობენ ქვეყნომანების თივა-წრეებში (თივა-ბალახი, რომელიც დღეს ყვავის, ხვალ თონეში შთაეგზნების), სადაც "ჟ"-ს მოცილების ყველაზე ეფექტურ მეთოდად კვლავაც იარაღის ჟღარუნი მიაჩნიათ.

მოწვეულ ამერიკელ ექსპერტთა დასკვნით, ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობა დაგეგმილი და შესრულებულია ძალიან მაღალ დონეზე, რის გამოც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი გახსნის საკითხი. ასე რომ, ჟურნალისტების მკვლელებო, თუ ზედმიწევნით ზუსტად გაითვალისწინებთ ჩასაფრების, ტვინის გახვრეტისა და უკვალოდ გაქრობის ყველა დეტალს, შეგიძლიათ, გვესროლოთ! ჩვენ მზად ვართ!



ეროვნული ბიბლიოთეკა



**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE

ყ323/4
ეროვნული ბიბლიოთეკა

გუტენბერგიდან



ინტერნეტამდე

